მაია თადუმაძე

საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში

XIX საუკუნის I ნახევარი

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2006

უაკ (UDC) 342(=9.463.7)
თ 128

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში საეკლესიო მეურნეობის ძირითადი საკითხები, ტრადიციული საეკლესიო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები; საეკლესიო მამულებისა და ქონების სეკულარიზაცია და ეტაპები. ნაჩვენებია რუსეთის თვითმპყრობელობის ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შტრიხები საეკლესიო მამულებისა და შემოსავლების სახაზინო უწყებაში გადარიცხვასთან დაკავშირებით.

განკუთვნილია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
ზაზა აბაშიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ეთერ ორჯონიკიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნანა ხაზარაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006

© მ. თადუმაძე

ISBN 99940-46-41-1

საეკლესიო მიწათმფლობელობა და რეფორმა

საქართველოში საეკლესიო მიწათმფლობელობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნდა. საეკლესიო მიწების ფონდი ძირითადად კერძო შემოწირულობის ხარჯზე იზრდებოდა. ეკლესია ამ მიწებზე საბატონო უფლებით სარგებლობდა. საეკლესიო მამულები, ჩვეულებრივ, ორ ნაწილად იყოფოდა: დასახლებული საეკლესიო მამულები, რომლითაც საეკლესიო გლეხები სარგებლობდნენ და ეკლესიას გადასახადებს უხდიდნენ და დაუსახლებელი საეკლესიო მამულები, რომლებიც იჯარით გაიცემოდა. დასახლებულ საეკლესიო მიწებს შორის შეიძლება გავარჩიოთ: საკომლო, სახნავი, საბაღ-ვენახე, სარწყავი და ურწყავი და სხვა; დაუსახლებელ მიწებს კი შეადგენდა — სათიბი, საძოვარი, ტყე, მინდორი და სხვ. საეკლესიო შემოსავლის სხვა წყარო შეიძლება ამ მიწებზე განლაგებული შენობები, წისქვილები, თევზსაჭერები, აბანოები, მინერალური წყაროები, ქვანახშირი, კირისა თუ სხვა სახის საბადოები და სხვ. ყოფილიყო. ეს საეკლესიო ქონებაც ასევე იჯარით გაიცემოდა სხვადასხვა პირზე. ამდენად, ეკლესია, როგორც მსხვილი ფეოდალური ორგანიზაცია, ისევე იყო დაინტერესებული მიწისა და ყმის შეძენით, როგორც მეფე ან დიდებული.

საეკლესიო მამულები ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა განმგებლობაში იმყოფებოდა და ეპარქიებად (უბნებად) იყოფოდა. რუსული მმართველობის დამყარებამდე საქართველოში სულ 25 ეპარქია და 9 საარქიმანდრიტო არსებობდა. 1801 წლიდან რუსეთის თვითმპყრობელობა აქტიურად ჩაერია ქვეყნის საშინაო და საეკლესიო ცხოვრებაში. საეკლესიო საკითხის გაცნობის მიზნით გენერალმა კნორინგმა საქართველოს მაშინდელ კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს რამდენიმე კითხვისგან შემდგარი წერილი გაუგზავნა. კითხვები შემდეგი შინაარსის იყო:

1. რამდენი ეპარქიაა საქართველოში?

2. რამდენი მამათა და დედათა მონასტერია თითოეულ ეპარქიაში?

3. მონასტრებსა და ეკლესიებს სასულიერო იერარქები მართავენ, თუ არსებობს რაიმე ორგანიზაცია, დიკასტერია ან სასულიერო მმართველობა?

4. ვის მიმართავს სასულიერო წოდება სამოქალაქო საქმეებისათვის, სამოქალაქო სასამართლოს თუ სასულიეროს?

5. სასულიერო პირთა ხელდასმა ხორციელდება მრევლის მიერ ნებისმიერი წოდებიდან არჩევითი წესით და სასულიერო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თუ როგორც რუსეთში, ქონებრივი ცენზით?

6. არის თუ არა ეპარქიებში სასულიერო პირთათვის სასწავლებელი და რა ხარჯით?

7. აქ წარმოდგენილ საკითხთა გარდა კიდევ თუ რამეა საგულისხმო საქართველოში სამღვდელოების უკეთეს მდგომარეობაში მოსაყვანად?

კათოლიკოსი სამოქალაქო მთავრობისადმი თავის პასუხში ხაზს უსვამდა რა საქართველოს ეკლესიის უძველეს ისტორიულ წარსულს, აღნიშნავდა, რომ მის საპწყსოში შედიან: ქართლში — სამთავროს, თბილისის, რუისის, წილკნის მიტროპოლიტები, მანგლისის არქიეპისკოპოსი, ურბნისის, სამთავროს, ნიქოზის ეპისკოპოსები; კახეთში — ბოდბის, ნინოწმინდის მიტროპოლიტები, რუსთავის არქიეპისკოპოსი და ნეკრესისა და ხარჭაშნევის ეპისკოპოსები, ალავერდის მიტროპოლიას უძღვება თავად. ამასთან, იგი დასძენს, რომ ყველა მათგანი არჩეული და დანიშნულია მეფისა და კათოლიკოსის ნებით და „მოწოდებულია იღვაწოს თავისი მრევლის კეთილ მწყემსად", რომ გლეხებსა და მამულებს ისინი მართავენ თავიანთი მოხელეებით (იგულისხმება საეკლესიო აზნაურები, რომლებიც ხშირად ეპარქიებში მოურავის ფუნქციას ასრულებდნენ). პასუხიდან ირკვევა, რომ, გარდა საკუთრივ ალავერდის კათედრალური ტაძრისა, კათოლიკოსის სამწყსოს შეადგენდა — ქართლში არსებული 28 სოფელი, კახეთში, მტკვრისა და არაგვის მხარეს — 10 სოფელი, ზემო კახეთში — 48 სოფელი. ამას გარდა, 11 მონასტერი, 36 თავადი და 35 აზნაური [1].

რუსეთის უწმინდეს სინოდში საქართველოს ეკლესიის ინკორპორაციის მიზნით მთავრობამ რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. 1807 წლის 7 დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც საქართველოს სამღვდელოება უფლებრივად გაუთანასწორეს რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოებას [2]. 1809 წელს, საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვის ობერ-პროკურორ გოლიცინისადმი წერილში კი, უკვე აშკარად

გამოიკვეთა ხელისუფლების ინტერესი საქართველოში სასულიერო სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით: „პატრიარქობის ნაცვლად, — აღნიშნავდა მათავარმართებელი, — ანტონ II კათალიკოსისათვის მემეტება დიკასტერიის I პრეზიდენტის ადგილი, ხოლო მის მოადგილედ სასურველ კანდიდატურად მივიჩნევ ვარლაამს (ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან), რომელიც შემდეგ დაიკავებს ამ ადგილს“ [3]. „შემდგომსაც“ აღარ დაუყოვნებია და 1810 წელს კათალიკოსი ანტონ II ძალით გაიწვიეს პეტერბურგში. სწორედ საქართველოდან ყოველგვარი საფუძვლიანი ბრალდების, სასამართლოსა და ძიების გარეშე გაშვება ჰქონდა მხედველობაში დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს, როდესაც გულისტკივილით წერდა: „როგორ შეიძლებოდა, რომ მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტს, რომელიც საქართველოს ეკლესიას IV საუკუნიდან მოყოლებული მართლმადიდებლობის მთელი თავისი სიწმინდით შემომნახველად და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის უფროს დად და მოწმედ თვლიდა, ეს და და მოწმე ბრალდებულად ეცნო, თვითონ კი ერთდროულად ყოფილიყო მისი პროკურორიც, მოსამართლეც და მსაჯულიც“ [4]. გენერალი ტორმასოვი უფრო შორს მიდის და ობერ-პროკურორის წინაშე სომხურ სამღვდელოებასაც შუამდგომლობს, მისი აზრით საქართველოში სომხური სამღვდელოება „ანალოგიურ მოუწესრიგებელ მდგომარეობაშია“ და საჭიროა სომხური კონსისტორიის დაარსება [5].

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შედგენა დაევალა რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრს ვარლაამს. „მისი საიმპერატორო უმაღლესობის წინაშე“ 1811 წლის 30 ივნისს წარმოდგენილი პროექტი — „საქართველოში სასულიერო მმართველობის შესახებ“ — პეტერბურგმა თითქმის უცვლელად დაამტკიცა [6]. ამ პროექტის მიხედვით გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ძველი ტრადიციული საპატრიარქოს ნაცვლად შეიქმნა რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებული ჩინოვნიკური ორგანიზაცია საქართველოში — ე. წ. დიკასტერია. 1815 წლიდან დიკასტერია სინოდალურ კანტორად გადაკეთდა, ხოლო კათოლიკოსების ადგილი ეგზარქოსებმა დაიკავეს. საქართველოს ეგზარქოსები რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრებიც იყვნენ. საგულისხმოა, რომ იმ დროისათვის იმპერიის ფარგლებში უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში მხოლოდ

ორი სინოდალური კანტორა არსებობდა, ამათგან ერთი მოსკოვის, რომლის კომპეტენცია საგანმანათლო საქმიანობით შემოიფარგლებოდა, ხოლო მეორე — საქართველო-იმერეთის, რომელიც სამეურნეო და ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის საქმიანობას ეწეოდა. სამოქალაქო მთავრობამ საქართველოში, სასულიერო შემოსავლების გაცნობამდე, განიზრახა ახალი სამოხელეო აპარატის რუსეთის ხაზინიდან 5000 მანეთის ოდენობით დაფინანსება. ამასთან, სასარგებლოდ მიიჩნიეს საეკლესიო წესებსა და საკითხებში გათვიცნობიერებული „თუნდაც ერთი" ადგილობრივი სასულიერო პირის „საქმეში" ჩართვა და ამ მიზნით თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პროტოიერი ალექსეი პეტრიევი (ალექსანდრე პეტრიაშვილი) იქნა მოწონებული [7].

ამდენად, აღნიშნულმა საკითხმა XX საუკუნის დასაწყისშივე შეუქცევადი ხასიათი მიიღო და თვითმპყრობელობის ინტერესი საქართველოს საეკლესიო საქმეებისადმი დღითი დღე მატულობდა. 1811 წელს დადგინდა ახალი საშტატო განრიგი. ქვეყანაში არსებული 25 ეპარქიიდან აღმოსავლეთ საქართველოში დარჩა 5 ეპარქია, ხოლო 9 საარქიმანდრიტოდან დარჩა — 5 საარქიმანდრიტო. ქართლის ეპარქიაში შევიდნენ: ყოფილი მცხეთის, თბილისის, სამთავროს, რუისის, ურბნისის, ნიქოზის ეპარქიები და ქვათახევის, შიომღვიმის საარქიმანდრიტოები, ასევე აბოცის, საბას, არბოს, ოჟიოს, საკვირის საუფლისწულო ეკლესიები. კახეთის ეპარქიაში შევიდნენ: ყოფილი ალავერდის, ნინოწმინდის, ნეკრესის, წილკნის, სამთავისის ეპარქიები და კახეთის, შუამთის, იოანე-ნათლისმცემლის, დავითგარეჯის საარქიმანდრიტოები [8]. თუ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამდე 80 000 მართლმადიდებელ მოსახლეს 800 მღვდელი ემსახურებოდა, ანუ ყოველ 100 სულზე 1 მღვდელი, ახალი განრიგით განისაზღვრა, რომ თითოეულ სამრევლოში უნდა ყოფილიყო არანაკლებ 300 სულისა, რომელსაც 2 მღვდელი მოემსახურებოდა [9]. ამ ღონისძიების გატარებით მთავრობა იმედოვნებდა, რომ ხაზინიდან ხარჯების გამოყოფის გარეშე „გაუმჯობესებდა" სამღვდელოების მდგომარეობას, თუმცა, მოგვიანებით როგორც უწმინდესი სინოდის წევრი და საქართველოს ეკლესიის ჩინებული მცოდნე ნ. დურნოვო წერდა, არსებობდა უფრო დაფარული მიზეზებიც: „ქართველი ეპისკოპოსების ხალხთან სიახლოვე და მჭიდრო კავშირი არ მოსწონდათ რუს ეგზარქოსებს, რომ-

ლებიც როგორც ენით, ასევე სულით უცხონი იყვნენ ქართველი ხალხისათვის; ისინი შეეცადნენ ქართველი ეპისკოპოსების ხალხისაგან განცალკევებას, რის გამოც დახურეს 25 სასულიერო-უწმინდესობის კათედრა და რომელთა შესანახად რუსეთის სახელმწიფო არც ერთ გროშს არ გამოყოფდა" [10]. რუსეთის იმპერიის ფინანსური სიდუხჭირე ამ დროისათვის ისე შორს იყო წასული, რომ ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებდა საქართველოს ეკლესიის სულიერი მდგომარეობა და პოზიცია, იგი უფრო იმ მდიდარი უძრავ-მოძრავი ქონების ხელში ჩაგდებას ლამობდა, რომელსაც ეს ეკლესია ფლობდა. ახალი სეკულატორული იდეების გამტარებელი სამოქალაქო მთავრობა სასულიერო უწყებას მდიდარი საეკლესიო მამულების სანაცვლოდ ხაზინიდან ხელფასს ჰპირდებოდა, თანაც ამას „სამღვდელოებისათვის შეუფერებელი სამეურნეო საქმიანობისაგან გათავისუფლების კეთილშობილური" მიზნით ხსნიდა. ხელფასებისათვის გამოყოფილი თანხების სიძუნწემ თვით რუსეთშიც ეკლესია-მონასტრები სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა. ანალოგიური რეფორმების მოლოდინით შეფიქრიანებული საქართველოს სამღვდელოება გულისტკივილით წერდა: „ჩვენ ახლა მივიღეთ საქართველოს სინოდალური კანტორისაგან ქაღალდი, სადაც წერია, რომ ჩვენი ეკლესიის ყველა შემოსავალი და საეკლესიო ნაწაროები (გადასახადი) კანტორის უფლებაში გადავა,.... ჩვენ არ გვინდა ამას შევესწროთ და წავალთ სადმე უდაბნოში" [11].

თვითმპყრობელობა დასახული მიზნიდან უკან არ იხევდა. მომზადდა ზონრიანი წიგნები, ფორმები ვედომოსტების, ექსტრაქტების, რაპორტებისა და სხვა საეკლესიო საქმისწარმოებისათვის. სასულიერო პირები მტკივნეულად განიცდიან სამოქალაქო მთავრობის მოთხოვნებზე რეაგირების აუცილებლობას. „ნუღარ გვამძიმებენ უსარგებლო მიწერ-მოწერითა", — აღნიშნავდნენ ისინი. „აქამომდე არა მქონებიეს საკუთარსა ჩემსა უწყებასა შინა საეკლესიო შემოსავლის გამო ფორმებნი ანგარიშის შედგენისა და ზონრიანი წიგნები ჩასაწერად შემოსავალთა და გასავალთა", — წერდა იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონი [12]. ხოლო, როდესაც ეპისკოპოსებისა და არქიმანდრიტებისაგან წარმოდგენილ ანგარიშებს ეჭვითაც შეხედავდნენ, ისინი განმარტავდნენ: „ვგრძნობ თავსა ჩემსა სრულიად მართლად," და აქვე დასძენდნენ, თუმცა „ანგარიშთა რწმუნებული, ხაზინადარი დეკანოზი ნი-

კოლოზ გაბაშვილი არ განმიჩხრეკია .... მევალისამებრ ქრისტიანობისა, სულიერის სვინდისისა და მოსილისა ჩემისა მღვდლისა ხარისხისა“ ისე ვიქცევიო [13].

ახალი წესების, ახალი ტიპის ანგარიშწარმოებისა და მეტადრე კი უცხო ენის არცოდნას ქაოსი და დაბნეულობა შეჰქონდა ქვეყნის სასულიერო საქმეებში. „....ამგვარნი ეკსტრაქტნი დაწერილ არიან რუსულ ენაზე; აწ გარდასთარგმნა მათი ქართულით ძლიერ სამძიმოდ აღმომაჩნდა ....ჯერ თარგმნა სჭირდება, შემდეგ წაკითხვა და შემდეგ შემეცნება“ — წერდა იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონი [14].

მეორე მხრივ, საქართველოს ეკლესიისა და ისტორიის სრული უცოდინარობით გამოირჩეოდნენ საქართველოს ეკლესიის ახალი „თავები“ — რუსი ეგზარქოსები. აი, რას წერდა 1830 წელს ეგზარქოსი იოანე საქართველოს მთავარმართებელ გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის: „პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ სინოდალური კანტორა ხელმძღვანელობს საქართველოსა და იმერეთის იმ მამულებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ბერძნულ-ქართულ და ბერძნულ-იმერულ აღმსარებლობებს და იწოდება ბერძნულ და სომხურ ეკლესიებად. პირველს განაგებენ ბერძნული საპატრიარქოს არქიმანდრიტები, მეორეს სომხური სასულიერო წოდება. საქართველოსა და იმერეთის ეკლესიების მთელ ქონებას, რომელიც შედგება გლეხებისა და სხვადასხვა სახის უძრავი ქონებისაგან, განკარგავს სინოდალური კანტორა“ [15].

თუ როგორ და რას განკარგავდა სინოდალური კანტორა, ამაზე კარგად მიუთითებს 1811 წლის 30 ივნისის საეკლესიო რეორგანიზაციის პროექტში მოტანილი ტექსტი, რომლის მიხედვითაც იწყებოდა საეკლესიო აზნაურების მამულებისა და გლეხების სახაზინო უწყებაში გადაცემა. აღნიშნული მოვლენა ისტორიოგრაფიაში სეკულარიზაციის სახელით არის ცნობილი და ცარიზმის რელიგიური პოლიტიკის ნაწილის წარმოადგენდა. სინოდალური კანტორის ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ საეკლესიო აზნაურებს „.... გააჩნიათ რა საეკლესიო მამულების მმართველის უფლებები და სარგებლობენ მით, გააკოტრეს მამულები საეპარქიო არქიეპისკოპოსებთან ერთად, ხოლო რადგან ქართული კანონების მიხედვით არქიეპისკოპოსებს არავითარი უფლება არა აქვთ მეფის დასტურის გარეშე გაანაწილონ საეკლესიო მამულები, ...ამიტომ არქიეპისკოპოსი ვარლაამი თვლის, რომ ის მა-

მულები, რომლებიც საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ არქიეპისკოპოსებმა უბოძეს ვინმეს, დაუბრუნდეს ეკლესიას, ხოლო ყველა საეკლესიო აზნაური თავისი ყმა-მამულით გადაეცეს სახაზინო უწყებას" [16]. ამჯერადაც, აღნიშნული საკითხები ნაკლებად შეადგენდა იმპერიის მესვეურების ზრუნვის საგანს. მათი ძირითადი ამოცანა საეკლესიო მამულების დაპატრონება და სეკულარიზაციის ეტაპების გეგმაზომიერი განხორციელება იყო.

ცხადია, საეკლესიო აზნაურები ადვილად ვერ შეურიგდებოდნენ შექმნილ მდგომარეობას. მით უფრო, რომ აღნიშნულ კანონპროექტში გენერალ რტიშჩევს ასეთი დამატება შეუტანია: „ ყველა საეკლესიო აზნაური თავის ყმა-მამულითურთ თავისი არსებული საცხოვრებლიდან გადასახლდეს უშენ სახაზინო მიწებზე" [17]. საეკლესიო აზნაურები, რომლებიც ისტორიულად ეკლესიისადმი გარკვეული სამსახურის ან დამსახურების ფასად (ან ჯილდოდ), საჩუქრდებოდნენ საეკლესიო მამულებით, ერთგულების გამო არცთუ იშვიათად ინიშნებოდნენ საეკლესიო მამულების განმგებლებად, ბოქაულებად, მოურავებად და სხვ. აჭიანურებდნენ საკითხის მოგვარებას. ხელს უშლიდნენ აღწერათა წარმოებას და ფარავდნენ მათ ყმობაში მყოფ საეკლესიო კომლების რაოდენობას. 1821 წლიდან კანონი ყველა კერძო მფლობელობაში არსებულ საეკლესიო მიწებსაც შეეხო, თუმცა იგი მთავრობამ მალევე პოლიტიკური მოსაზრების გამო შეაჩერა: „....კერძო მფლობელობაში არსებული მიწების გადაცემა შეჩერებულ იქნეს სპარსეთის ომის დასრულებამდე, რათა არ დათესილიყო გონებასა შინა აზრი, რომელ მთავრობასა სწადს მოკლება მათი საკუთრებისგან, არა განცივებოდეთ ერთგულება" [18]. „ხოლო რა გარდაწყდა ომი არა თუ სპარსთა, არამედ ოსმალთა თანაცა", 1827 წლის აპრილიდან, სამოქალაქო მთავრობა საეკლესიო აზნაურთა სიების მოთხოვნით კვლავ მიმართავს სასულიერო უწყებას. ამაზე იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონი პასუხობს: „ამგვარი ყმები შემოდიან ჩემთან და სამოქალაქო მთავრობისადმი ყოველ წელს აზრებათა ძიებასა ზედა მათ მიერ საბატონო მფლობელობისაგან საეკლესიო უწყებასა შინა თავისუფლებასა (იგულისხმება საეკლესიო აზნაურების სახაზინო უწყებაში გადასვლასთან დაკავშირებული აქტები) ....ნუღარ მამძიმებენ" [19]. მიუხედავად ამისა, საეკლესიო აზნაურების აღრიცხვა 30-იანი წლებ-

ის ბოლოსათვის მაინც მომხდარა. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო თავად-აზნაურთა შორის ირიცხებოდნენ: [20]

ქართლში:

1.მაღალაშვილი – 38 კომლი
2. გედევანიშვილი – 35
3. მაღალაშვილი –30
4. ქარსიძე – 20
5. ელიოზიშვილი –8
6. კვალიაშვილი – 12
7. თაზიაშვილი – 7
8. ზუმბულიძე –
9. ყანდიღაშვილი – 2
10. ყავრიშვილი – 2
11. თუხარელი – 13
12. ბოგორაძე – 8
13. ანანიაშვილი – 8
14. მამაცაშვილი – 12

კახეთში:

1. კარაკანიძე – 8 კომლი
2. მიცობლიძე – 12
3. გიჟიმყრელი – 15
4. სულხანიშვილი – 60
5. ანდრონიკაშვილი – 50
6. აბელიშვილი – 15
7. მგალობლიშვილი – 50
8. იორამაშვილი – 25
9. ტანიაშვილი – 5
10. ნაცვლიშვილი – 10
11. დეკანოზიშვილი – 10
12. შატბერიშვილი – 15

რაც შეეხება კერძო პირებს, რომლებსაც საეკლესიო მამულები გააჩნდათ, სამოქალაქო მთავრობის წინაშე ამ პერიოდში სპეციალური დოკუმენტაციის წარდგენა სჭირდებათ. მაგალითად, თავადი დიმიტრი ჯორჯაძე საჩივარს აღძრავს სინოდალურ კანტორაში, რადგან მისთვის ვეძისხევში მცხოვრებ მცხეთის ტაძრის საეკლესიო გლეხებზე მოურავობა ჩამოურთმევიათ. თავადი თავის მოთხოვნას მოურავობის დაბრუნების შესახებ ანტონ კათალიკოსის 1810 წლით დათარიღებული დოკუმენტით ასაბუთებს, რომლის ძალითაც, მამამისს – გრიგოლ ნოდარის ძეს და მას – დიმიტრის ეს თანამდებობა მიუღიათ [21]. ასეთი თავადები არცთუ მცირეა. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ამ ღონისძიებას საფუძვლად ედო მთავარმართებელ ციციანოვის 1804 წლის 29 იანვრის კანონპროექტი „საქართველოში მოურავობის გაუქმების

შესახებ“ [22], რის შემდეგაც საეკლესიო მიწებზე კერძო პირებმა ფაქტობრივად დაკარგეს კანონიერი უფლება.

ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხს რუსეთის თვითმპყრობელობა დასავლეთ საქართველოში მეტი სიფრთხილით მოეკიდა. 1815 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „იმერეთიდან თურქეთში გაქცეულმა თავადებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნან იმპერატორის ხელისუფლებას და იმერეთის სიმშვიდეს, ამიტომ იმერეთის (იგულისხმება დასავლეთ საქართველო) საეკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში გადაცემა არა უცბად, არამედ თანდათანობით უნდა მოხდეს“ [23].

საეკლესიო მამამულების სეკულარიზაციის I ეტაპი თუმცა შეფერხებებით, მაგრამ მაინც აღმოსავლეთ საქართველოში 1841 წლისათვის დასრულდა. ამ დროისათვის აქ სულ 28 საეკლესიო აზნაური და 407 საეკლესიო აზნაურის გლეხი აღიწერა [24]. დასავლეთ საქართველოში იგივე პროცესი 1849 წელს დასრულდა და სულ აღწერილ საეკლესიო აზნაურთა რაოდენობა 180 კომლია და საეკლესიო გლეხთა 409 კომლი [25]. საგულისხმოა, რომ ბატონყმური ხანის დასავლეთ საქართველოში „ყოველი ერთი გლეხური ოჯახი ინახავდა მღვდლის, ან თავადის 1 ოჯახს“ [26]. კანონში ნათქვამი იყო, რომ საეკლესიო აზნაურები „კავკასიაში მამულების გადაცემის დასრულებამდე კვლავ ისარგებლებენ საეკლესიო გლეხების გადასახადებით“ [27]. საეკლესიო აზნაურების მიწები იმერეთში ამ დროისათვის შეადგენდა: სახნავი – 4754 ქცევა, ბაღები და ნაკვეთები – 2379 ქცევა, ტყე – 9724 ქცევა. სულ – 16 857 ქცევა. ხოლო მათგან გაღებული გადასახადების რაოდენობა 273 მანეთსა და 16 კაპიკს უდრიდა [28]. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო აზნაურთა ყმები ძირითადად ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა მომსახურებითა და ფიზიკური შრომით იყვნენ დაკავებულნი და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, მათზე საეკლესიო გადასახადის დაბალი განაკვეთი გაიწერებოდა, ან სულაც არ იბეგრებოდნენ. მასალებიდან ირკვევა, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში იმერეთისა და გურიის საეკლესიო აზნაურთა ყმებზე მხოლოდ 60 კაპიკიდან მანეთამდე გაიწერა, მაშინ როცა ახალი საგადასახადო სისტემით დასავლეთ საქართველოში კომლზე 2 მანეთიდან 3 მანეთამდე იკრიფებოდა [29]. ზოგიერთ თავადს საეკლესიო გლეხ-

ების ნაცვლად ხაზინიდან თანხაც მიულია. მაგალითად, მღვიმის მონასტრის გლეხებისათვის თავად წერეთლებს გადაუხადეს საფასური, ხოლო კაცხის მონასტრის გლეხებისათვის — თავად აბაშიძეებს [30].

ამრიგად, საეკლესიო აზნაურებისა და ყველა კერძო მფლობელობაში არსებული საეკლესიო მამულებისა და გლეხების სახაზინო უწყებაში გადარიცხვით საქართველოში დასრულდა სეკულარიზაციის I ეტაპი. ამ ღონისძიებით რუსეთის თვითმპყრობელობამ მკვეთრად შეარყია ტრადიციული საეკლესიო მიწათმფლობელობის საფუძვლები და საეკლესიო მამულების საბოლოოდ დაპატრონების გეგმა დასახა.

XIX საუკუნის 40 -იანი წლები რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის გავლენის განსაკუთრებული ზრდით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში შექმნილი ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებად რუსეთში სამღვდელოებისათვის მიწების გამოყოფა დაისახა. მიწების სპეციალური ზომა 33-დან 90 — დესეტინამდე მერყეობდა [31]. რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში, სეკულარიზაციის არე გაფართოვდა და სპეციალურ მოხელე-ჩინოვნიკთა რიცხვმა იმატა. როგორც კამერალური აღწერებიდან ჩანს, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ამ ეტაპზეც გაძნელებულა. ჩინოვნიკები აღნიშნავენ, რომ საეკლესიო მამულების „სამძღუარნი და ზომანი" მეტად რთული და შრომატევადი საქმეა. საეკლესიო მამულების რევიზიის თაობაზე სენატორების — ქუთაისოვისა და მეჩნიკოვის მიმართვაზე ეგზარქოსი იოანე ზემოთ დასახელებულ პირებს აცნობებდა, რომ „აქ (საქართველოში) დღემდე საბატონო, სახაზინო და საეკლესიო მამულები ერთად" არის და დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი საეკლესიო მამულებზე" [32]. 1844 წლის 6 სექტემბერს გენერალური შტაბის მიერ მიღებულ იქნა დებულება „ამიერკავკასიის მხარეში მიწების აზომვების საშუალებათა გაძლიერების შესახებ". დებულება ითვალისწინებდა „სპეციალისტების" ჩამოყვანას როგორც რუსეთიდან, ასევე ახალი კადრების მომზადებას „აბორიგენებისაგან", იმდენად რამდენადაც, „ადგილობრივი ენის ცოდნა აზომვების წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა", — ნათქვამია დოკუმენტებში [33]. მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ ვერ გამოიღო სათანადო შედეგი.

მიწების აზომვა სამოქალაქო მთავრობას დამაბრკოლებელ გარემოებად ექცა მთელი XIX საუკუნის I ნახევარის განმავლობაში.

50-იან წლებში საეკლესიო მამულების სეკულარიზაციის დასრულების მიზნით, შეიქმნა სპეციალური დროებითი კომისია. საეკლესიო ყმა-მამულზე „ზრუნვა და მეურვეობა" კომისისის კომპეტენციაში გადავიდა. ამ პერიოდის დავთრებში ვკითხულობთ, რომ „...საჭიროა მათი (საეკლესიო გლეხების) ხელახალი აღწერა საეკლესიო მთავრობის შეხედულებისამებრ, მათზე გადასახადის დაკისრებით, რაც გაადვილებს მათ სახაზინო უწყებაში გადაყვანას, და მეორეს მხრივ, სამოქალაქო მთავრობა სიძნელეების გარეშე გაარკვევს როგორი სარგებელი დაუნიშნოს ეკლესიას მამულებისა და გლეხების სანაცვლოდ" [34].

საეკლესიო გლეხების შესახებ ცნობების შეგროვების გარდა, სამოქალაქო მთავრობა არაერთგზის მიმართავდა ეკლესია-მონასტრების წინამძღვრებს კომისიაში წარედგინათ შეწირული საეკლესიო მამულის ფლობის დამადასტურებელი გუჯრები, დოკუმენტაცია და შემდეგ „თავად გადაწყვეტს ვის დაუტოვოს მამული და ვის არა". ეგზარქოსის კანცელარიაში დაცული მასალის მიხედვით „ნადელის" ფლობის დოკუმენტი თბილისის 74 ეკლესიიდან 15 აღმოაჩნდა [35]. კომისია ვალდებული იყო დროულად დაესრულებინა სადავო და გაუხსნელი საქმეებიც. ამგვარი „პროკურორსკი საქმეების" რაოდენობამ 4292-ს გადააჭარბა. კომისიის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე საღალე და სხვა სახის ვალდებულებითი ხელშეკრულებების, კონტრაქტების მოძიება, „დანაშთენების" აღრიცხვა, თბილისში იჯარით გაცემულ საეკლესიო ტერიტორიებზე მშენებლობების გაკონტროლება და სხვ. [36].

1852 წლის 25 მაისს ეგზარქოსმა ისიდორემ მითითება მისცა მხოლოდ თბილისის გუბერნიის ეკლესია-მონასტრების წინამძღვრებს: გაეკეთებინათ დაწვრილებითი ჩანაწერები, განესაზღვრათ თითოეულის განმგებლობაში არსებული მამულების ფართობი, დაედგინათ საზღვრები. ეს ეხებოდა დაუსახლებელ საეკლესიო მიწებსაც, რომლებიც იჯარით გაიცემოდა და როგორიც იყო: მინდორი, ტყე, ბაღი, სახნავი, სათიბი, საძოვარი, ასევე ქვანახშირის, კირისა და სხვ. საბადოების მოპოვების ადგილები, „რათა გადაცემის მომენტში (იგულისხმება სახაზინო უწყებაში გადაცემა), ყველა ცნობები მზად იყოს" [37].

1852 წლის 5 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი თბილისის გუბერნიაში „უძრავი საეკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში გადაცემის შესახებ“ [38]. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლის დღიდან სპეციალურ სამოხელეო აპარატს „სტოლონაჩალნიკებისა“ და „კაპიტანისპრავნიკების“ შემადგენლობით დაევალა:

ა) აღეწერა თავის კომპეტენციაში არსებული ყველა საეკლესიო მამული.

ბ) დაედგინა დასახლებული და დაუსახლებელი საეკლესიო მამულების საზღვრები. გაეკეთებინა დაწვრილებითი ჩანაწერები.

გ) ეზრუნა სინოდალური კანტორის მიერ გაცემული ბრძანებების დროულად შესრულებაზე [39].

1853 წლის იანვრისათვის თბილისის გუბერნიის მღვდელმთავრებმა საეკლესიო მამულების შესახებ ანგარიშები (კვიტანციები) წარუდგინეს ეგზარქოსის კანცელარიას. წარმოდგენილი ანგარიშებს შორის იყო: არქიმანდრიტ მაკარის (ალავერდი), არქიმანდრიტ გერონტის (სამთავისის), არქიმანდრიტ იონას (იოანე ნათლისმცემლის), არქიმანდრიტ თეოფანეს (დავითგარეჯის), არქიმანდრიტ დიონისეს, პროტოიერ ლომოუროვის, პროტოიერ იმნაძის, პროტოიერ პაპიტოვის, მღვდელ სავანელოვის, მღვდელ ხატიევის, მღვდელ ზურიევისა და სხვათა ანგარიშები [40].

1853 წლის 4 თებერვალს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სრული შემადგენლობით შედგა კრება, რომელმაც [41] მოისმინა პროტოიერ პ. იოსელიანის ანგარიში სასულიერო უწყების განკარგულებაში დარჩენილი საეკლესიო მამულების თაობაზე, ესენია:

1. საეგზარქოსო სახლს — სათიბი სოფელ ახალსოფელთან, სახელწოდებით საცხენისი და თევზსაჭერი მდინარე მტკვარზე დინების მიმართულებით მცხეთიდან წითელ ხიდამდე.

2. საქართველოს ვიკარიუსის სახლს — რუსთავის ეპარქიის სათიბი მიწები და ბაღი თბილისში, სოლოლაკში.

3. თბილისის ფერისცვალების მონასტერს — წისქვილი გორში და სათიბი მინდორი, რომელიც ივჯარით იყო გაცემული „პაჟარნი კომანდაზე“.

4. შიომღვიმის უდაბნოს — შემოგარენში მინდორი ტყით და ბაღი ძეგვში.

5. დავითგარეჯის უდაბნოს – ბაღი საგარეჯოში, სახელწოდებით დოდოს ზვარი. წისქვილი მდინარე იორზე სოფელთან ახლოს. ასევე ნინოწმინდა და მიწის ნაწილი უდაბნოს გარშემო შემდეგ საზღვრებში: მწვერვალებიდან წამებული და დოდოსი ციცაბო მწვერვალების დასრულებამდე, რომელსაც თეთრი კიდეები ეწოდება. ამ მწვერვალებს შორის მოქცეული იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მიწებიდან გავაზის მწვერვალის ქვემოთ ჭამიანთ-ხევის სარწყავამდე და პირდაპირი ხაზით ყაზახეთის გზამდე, რომლის სახელწოდებაა დაყუდებულის გადასახედავი.

6. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს – ბაღი და წისქვილი ხაშმში. იქვე წისქვილი და მიწები უდაბნოს გარშემო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით – სახელწოდებით ყაზახთა გზა, რომლის პირდაპირი ხაზი გადის მწვერვალ საგაჯებამდე, სამხრეთით დაბლობი – „დაბლაღელისტბა, ისევ სამხრეთით – ძეძვიანის ხრამების შეერთების ადგილამდე, აქედან დასავლეთით – ფშატიანთ ხევამდე, საიდანაც გზა მიდის მონასტრისაკენ მწვერვალამდე – თეთრი კონკულები, და მწვერვალამდე – თეთრი უდაბნო, სადაც გადის სოფელ საგარეჯოსკენ მიმავალი საცხენოსნო ბილიკი.

7. ხირსის მონასტერს – სახნავი ადგილი, სათიბი (60 დღიური) და ბაღი (2,5 დღიური).

8. შუამთის მონასტერს – სოფელ არტოზანში ბაღი, ჰქვია ზვარი. ტყის ნაწილი მონასტრის გარშემო შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით სოფელ ვარდისუბნის ტყე და ხრამი, რომელსაც ეწოდება შუშანა; დასავლეთით ხრამი, ეწოდება მღვრივე და ეშვება ხრამ ტურდოში, სამხრეთით სარწყავი ორღარები და ჩრდილოეთით საერთო გზა, რომელიც გადის ფშავიდან გომბორისა და თბილისისაკენ.

9. სამთავროს დედათა მონასტერს – სოფელ ძეგვში ბაღი და საბოსტნე მიწა მონასტერსა და დიდ გზას შორის [42].

როგორც ვხედავთ, ანგარიშებში ფართობი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, თუმცა შედარებით ზუსტად იყო მითითებული საეკლესიო მამულების საზღვრები ლანდშაფტის მიხედვით.

დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ იმ საეკლესიო მამულებიდან, რომლებიც სახაზინო უწყებაში გადაცემის შემდეგ დარჩა სასულიერო პირთა განმგებლობაში, გადასახადები არ აიკრიფება ხაზინი-

სათვის, შესაბამისად, არც აღნიშნული არქიმანდრიტები დაფინანსდებიან, რაზედაც თანახმა არიან „ქვემორე ხელის მომწერნი“ [43].

სეკულარიზაციის ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ საქართველოში სულ სახაზინო უწყებაში გადარიცხულ საეკლესიო გლეხთა რაოდენობა უდრიდა – 6 126 კომლს [44], ხოლო საეკლესიო მამულების ფართობი შეადგენდა: აღმოსავლეთ საქართველოში დასახლებული მიწები – 218 000 დესეტინას, დაუსახლებელი – 61 000 დესეტინას. სულ – 279 000 დესეტინას* [45]. 1853 წელს საეკლესიო მამულებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 68 814,47 მანეთს (ვერცხლის კურსით). სეკულარიზაციის შემდეგ სახაზინო უწყებაში გადაცემული მამულების სანაცვლოდ ხაზინიდან ჯილდოდ გამოიყო 72 053,51 მანეთი, რაც ბოლო წლის საეკლესიო შემოსავლების მიხედვით განისაზღვრა [46].

1853 წელს დასავლეთ საქართველოშიც გადაწყდა ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მიწების სახაზინო უწყებაში გადაცემა. დოკუმენტებში ნათქვამი იყო, რომ უკვე 1828 წლიდან „საქართველოსა და იმერეთის ყველა საეკლესიო გლეხი ექვემდებარება სინოდალურ კანტორას, მხოლოდ მათ სარგებლობაში არსებული საეკლესიო მიწებისა და ეკლესიის სასარგებლოდ გაცემული გადასახადების შემთხვევაში, ყველა სხვა შემთხვევაში, 1828 წლის უმაღლესი ბრძანებულების საფუძველზე ისინი ექვემდებარებიან სამოქალაქო მთავრობას“ [47]. გენერალ-გუბერნატორის სინოდალური კანტორისადმი მიმართვაში კი ნათქვამი იყო: რომ „ისინი (საეკლესიო გლეხები) შედიან ორი ხელისუფლების დაქვემდებარებაში – სასოფლო მმართველობის, სასამართლოს და საეკლესიო მიწების გამგებელთა დაქვემდებარებაში. მათ შორის რაიმე უთანხმოებისა და სოფლის საზოგადოებაში დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სასულიერო უწყებაში სრულიად ჩამოშორებულ იქნეს საეკლესიო გლეხებთან დაკავშირებული საქმეებისაგან და შეიზღუდოს მათი გავლენა გადასახადების აკრეფის საკითხებზე“ [48], თუმცა ამ ღონისძიებას ხელი შეუშალა ჯერ თურქეთთან (1853-1856 წწ.) ომმა, ხოლო შემდეგ საეკლესიო უწყების მოთხოვნაზე უარის თქმამ, რომ მამულების გადაცემისას საეკლესიო გლეხები წინასწარ დაბეგრილიყვნენ სულადობრივად და ისიც ფულადი გადასახადის გადიდებული ნორმით“ [49].

თურქეთთან ომის დასრულების შემდეგ (იგულისხმება ყირიმის ომი 1853-1856 წწ.) თვითმპყრობელობა აქტიურად ჩაება საეკლესიო მამულებისა და ქონების სახაზინო უწყებაში გადაცემის პროცესებში. არაერთგზის გამოიყო სასულიერო, სამოქალაქო და სპეციალური კომისიები საკითხების მოსაგვარებლად. „1825 წლის აღწერასთან შედარებით საეკლესიო გლეხების რაოდენობა 50-იანი წლებისათვის გაორმაგებულია და ვიდრე არ მომხდარა მათი გადაცემა სახაზინო უწყებაში, საჭიროა ხელახალი აღწერა მთავრობის შეხედულებისამებრ მათზე გადასახადის დაკისრებით, რაც ერთი მხრივ, გაადვილებს მათ სახაზინო უწყებაში გადაყვანას და მეორეც, მთავრობა სიძნელეების გარეშე გაარკვეევს როგორი სარგებელი დაუნიშნოს ეკლესიას მამულებისა და გლეხების სანაცვლოდ", — წერია იმდროინდელ დოკუმენტებში [50]. 1858 წელს იმერეთის სასულიერო და სამოქალაქო ერთობლივი კომისიის მიერ „დაზუსტდა" იმერეთის საეკლესიო შემოსავლები. 152 სოფელში* აღირიცხა სულ 5021 კომლი საეკლესიო გლეხი [51]. დაანგარიშებულ იქნა ვარგისი მიწების ფართობი, რომელმაც შეადგინა 129060 დესეტინა, არავარგისი — 200 000 დესეტინა. სულ 329 060 დესეტინა [52]. საეკლესიო მამულებიდან მიღებულმა შემოსავალმა იმერეთში შეადგინა 29 641 მანეთი, გურიაში — 1414 მანეთი. უფრო მოგვიანებით სამეგრელოს ეკლესიამაც მიიღო ხაზინიდან 20 000 მანეთი. [53]

1869 წელს დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის წინადადების საფუძველზე კავკასიის კომიტეტმა დააგინა:

1. საქართველოს ეკლესიის კუთვნილი ყველა დასახლებული და დაუსახლებელი მამული სამუდამოდ გადაეცეს ხაზინას.

2. საეკლესიო გლეხებს მიეცეთ სახაზინო გლეხთა თანაბარი უფლებები.

3. ამ მუხლებისათვის სასულიერო უწყებას დაენიშნოს ყოველწლიური გასამრჯელო 76 000 მანეთის ოდენობით, რაც 1869 წლის ბიუჯეტით იყო გამოთვლილი [54].

1869 წლის 13 ნოემბრს უმაღლესი საიმპერატორო ბრძანებულების საფუძველზე გაფორმდა დადგენილება — „ყველა დასახლებული და დაუსახლებელი საეკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში სამუდამო გადარიცხვის შესახებ".

აღნიშნული აქტი 1870-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოშიც გატარდა, იმავე პირობითა და იმავე დადგენილების საფუძველზე , როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ საქართველოში.

ამრიგად, საეკლესიო მამულების სეკულარიზაცია საქართველოში სულ 3 ეტაპად მიმდინარეობდა. I ეტაპი (1811–1841 წწ.) –აღმოსავლეთ საქართველოში და (1827-1849 წწ.) – დასავლეთ საქართველოში საეკლესიო აზნაურების თავიანთი ყმა-მამულით სახაზინო უწყებაში გადარიცხვას ითვალისწინებდა, ამ პერიოდში საეკლესიო უწყებაში გადაყვანილ საეკლესიო აზნაურთა რაოდენობა სულ შეადგენდა – 208 აზნაურსა და 816 საეკლესიო აზნაურის გლეხს; მეორე ეტაპზე (1843-1853 წწ.) მხოლოდ თბილისის გუბერნიის საეკლესიო მამულების სახაზინო უწყებაში გადარიცხვა მოხდა. ამ დროს აღწერილი საეკლესიო მამულების ფართობი 279 000 დესეტინას შეადგენდა; სეკულარიზაციის დამამთავრებელ ეტაპზე (1869-1871-1880 წწ.) კი სახაზინო უწყებაში ყველა საეკლესიო უძრავი და მოძრავი ქონება სრულად გადავიდა. სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადაყვანილი საეკლესიო გლეხების საერთო რაოდენობა 11 147 კომლს შეადგენდა,* ხოლო გადარიცხული საეკლესიო მამულების ფართობი 608 060 დესეტინას უდრიდა [55]. თუ მიწების იმდროინდელ ფასებს გადავხედავთ, დესეტინა საუკეთესო მიწა ამ პერიოდში 500 მანეთიდან 1000 მანეთამდე ფასობდა, კარგად დავინახავთ რეფორმის მძარცველურ ხასიათს. ხაზინიდან საეკლესიო უწყებისათვის გამოყოფილი გასამრჯელო 76 000 მანეთი, დესეტინა მიწაში მხოლოდ 19 კაპიკის გადახდას ნიშნავდა.

ამრიგად, ტრადიციული საეკლესიო მიწათმფლობელობის მოშლამ, ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად შეასუსტა სასულიერო წოდებისა და საეკლესიო გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა და შეურაცხყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, მეორეს მხრივ, განხორციელებული ღონისძიებებით საბოლოოდ შეძლო საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ იდეოლოგიური დამორჩილებაც.

საეკლესიო გლეხები და გადასახადები

ბატონყმური ხანის საქართველოში ფეოდალური რენტის სიდიდე გლეხის მიწით უზრუნველყოფისა და მიწათსარგებლობის პირობებზე იყო დამოკიდებული. ამდენად, გლეხთა რაოდენობრივი მაჩვენებლები მებატონის (ამ შემთხვევაში საეკლესიო) კაპიტალის სიდიდის გამომხატველიცაა. იმდენად, რამდენადაც საეკლესიო შემოსავლების დიდი ნაწილი სწორედ საეკლესიო გლეხებიდან იკრიფებოდა, ჩვენ მოგვიხდება მათზე ყურადღების შეჩერება.

საეკლესიო გლეხების კატეგორია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ნასყიდი, ნაბოძები, შეწირული, თავისი ნებით ყმად შესული და თავშეფარებული გლეხებისაგან. იმდროინდელ დოკუმენტებში ხაზგასმულია: „საქართველოს ეკლესიის ყველა გლეხი და მამული განფენილია საქართველოს ქალაქებში — თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, შესაბამის მაზრებში და ბორჩალოს დისტანციაში; ხოლო იმერეთში: ქუთაისის, ვაკის, რაჭისა და შორაპნის ოლქებში, თუმცა საეკლესიო გლეხები და მამულები სამეგრელოსა და გურიაშიც არის, მაგრამ ისინი სინოდალური კანტორის დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან, საქართველოს სხვა შემოერთებულ პროვინციებში საეკლესიო მამულები არ არის“ [56]. ძნელი იყო საეკლესიო გლეხის რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა, „...ისინი პირადი საჭიროების გამო მოწყვეტილნი იყვნენ სახლს, ან მოსახლეობდნენ საბატონო სოფლებში, სადაც დაფარული იყო მათი კუთვნილება ეკლესიისაგან“ [57]. სასულიერო უწყების მაშინდელ ხელმძღვანელ ვარლაამსაც კი გასჭირვებია საეკლესიო გლეხების რაოდენობისა და მათი გადასახადების შესახებ ცნობების შეგროვება: „ეს შემოსავალი დრემდე საეპარქიო არქიმანდრიტების განმგებლობაში იმყოფებოდა, მაგრამ ისინი ამის შესახებ ანგარიშს არ იძლევიან და თავადაც ზუსტი ცნობები არ გააჩნიათო“ [58].

1811 წლის კამერალური აღწერის მიხედვით [59] საქართველოში ყოფილი საეპარქიოებისა და საარქიმანდრიტოების მიხედვით საეკლესიო გლეხთა შემდეგი რაოდენობა იყო:

ეპარქიები

1. მცხეთის – 615 კომლი
2. თბილისის – 24
3. სამთავროს – 35
4. რუისის – 96
5. წილკნის –20
6. სამთავისის –30
7. ურბნის-ნიქოზის –70
8. ალავერდის – 342
9. ნინოწმინდის –113
10. რუსთავის – 58
11. ნეკრესის –86
12. ბოდბის –729

ს უ ლ 2 218 საეკლესიო კომლი .

საარქიმანდრიტოები

1. ქვათახევის –105 კომლი
2. მღვიმის – 27
3. იკორთის – 16
4. კახეთის – 122
5. დავითგარეჯის – 153
6. იოანე ნათლისმცემლის – 106
7. შუამთის – 65
8. ლარგვისის – 40
9. თირის – 3

ს უ ლ 637 სამონასტრო კომლი

საეკლესიო გადასახადებისა და საიჯარო მუხლებიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით XIX საუკუნის 20-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი სურათი იკვეთება: საეკლესიო გლეხები რაოდენობა – 14700 მამრობით სულია [60], მათი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი – 30 000 მანეთია, საიჯარო შემოსავალი – 17 000 მანეთი. ამავე პერიოდში იმერეთში 7000 მამრობით სული საეკლესიო გლეხია, გადასახადებით მიღებული შემოსავალი 11000 მანეთი, საიჯარო შემოსავალი – 1000 მანეთი [61]. 1830 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში საეკლესიო კომლთა რაოდენობა 4021-ია, ხოლო მათგან გაღებული გადასახადების ოდენობა 25 124,75 მანეთის ტოლია [62]. იმერეთში საეკლესიო გადასახადები 1826-1839 წლებში 67 826 მანეთს შეადგენდა, საიჯარო შემოსავლები კი –7 467 მანეთს [63].

XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ეპარქიათა შემცირებისა და ახალი საშტატო განაკვეთის დადგენის შემდეგ, საქართველოს ეკლესიას რუსეთის მიწათმოქმედების ბანკის ანგარიშზე ჰქონდა 300 000 მანეთის მომგებიანი ანაბარი, ხოლო 1839 წელს, ყველა ხარჯის დაფარვის შემდეგ საქართველოს ეკლესიის დანაზოგი 500 000 მანეთზე მეტს შეადგენდა ასიგნაციებით [64].

XIX საუკუნის დასაწყისში გადასახადების უმრავლესობა ნატურით იკრიფებოდა, მათ შორის საეკლესიო გადასახადებიც.

საეკლესიო გლეხის ეკონომიკური დამოკიდებულების გამომხატველ საადგიმამულო გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ღალა და კულუხი. ეს გადასახადები მოწეული მოსავლის ოდენობიდან იანგარიშებოდა და სხვადასხვა რეგიონში მიწის ვარგისიანობიდან გამომდინარე სხვადასხვაგვარად გაიწერებოდა, „გადაიკვეთებოდა“.

ღალას გლეხი იხდიდა იმ მიწით სარგებლობისათვის, რომელიც ეკლესიის საკუთრება იყო და გლეხს მიცემული ჰქონდა მუდმივ სარგებლობაში. ღალის გადაკვეთის რამდენიმე პრინციპიდან — გუთნის რიგის, ურემ-ყანაზე ათეული ძნიდან და სხვ. ყველაზე გავრცელებული იყო ღალის გადაკვეთა მოსავლის მიხედვით. იგი მეტწილად მოსავლის 1/5-დან 1/10-მდე მერყეობდა [65].

ზოგჯერ მცირემიწიანი გლეხები ან სულ არ იხდიდნენ ღალას, ან თუ იხდიდნენ, მიწით საკმაოდ უზრუნველყოფილ გლეხებთან შედარებით გაცილებით შეღავათიანი პირობებით. ცხადია, ერთი და იმავე ხარისხის, მაგრამ მკვეთრად განსხვავებული ზომის საგლეხო მიწებზე შეუძლებელი იყო ღალის თანაბარი პროცენტის დაწესება, ვიდრე მიწის ფართობი საგრძნობლად არ გასცდებოდა იმ მინიმუმს, რაც აუცილებელი პროდუქტის საწარმოებლად იყო საჭირო [66]. „შემოსავლის განსაზღვრულობა არა ცნობილ არს, როდესაც სამძღუარნი და ზომანი არა ცნობილ არს“, — ნათქვამია იმდროინდელ დოკუმენტებში.

საეკლესიო გლეხის საადგილმამულო გადასახადს წარმოადგენდა აგრეთვე კულუხი. მას საეკლესიო გლეხი უხდიდა ეკლესიას საეკლესიო მიწაზე გაშენებული ვენახით სარგებლობისათვის. კულუხის სიდიდის განსაზღვრისას ითვალისწინებდნენ ვენახის ფართობსა და მოსავლიანობას. იგი ჩვეულებრივ 1/7-დან 1/10-მდე მერყეობდა. კულუხი დიდ ცვლილებებს ამჟღავნებდა ცალკეული რეგიონის მიხედვით. მაგალითად, ქართლში, კახეთთან შედარებით, ვენახის ფართობის მოცულობა გაცილებით ნაკლები იყო. ამიტომ აქ კულუხის ყველაზე დაბალი განაკვეთი, მოსავლის 1/10 ნაწილი ერთ-ორ კოკა ღვინოს ვერ სცილდებოდა [67].

საეკლესიო ნატურალური გადასახადის ერთ-ერთი სახეა — „კოდისპური". მას მეფის მიერ ეკლესიისათვის შეწირული გლეხები იხდიდნენ, ამჯერად ეკლესიისათვის უწინდელი სახაზინო გადასახადის ნაცვლად. კოდისპური, ისევე როგორც ღალა, მარცვლეულით იკრიფებოდა, მაგრამ ღალისაგან განსხვავებით მხოლოდ სახნავსათესი მიწებით კარგად უზრუნველყოფილი გლეხებისაგან. მაგალითად, ბოდბისხეველი გლეხების შესახებ ეპისკოპოსი იოანე წერდა: „რომ ამათ თითო კაცს 20 და 30 ურემი პური მოჰყავთ ქერსა და ფეტვს გარდა და საქონელი არის 60 და 80 ჰყავთ ძროხა თითო კაცსო, ცხვარი და ცხენი სხვა არის" [68]. კოდისპური მდიდარ კომლებზე — 2,5 ან 3 კოდი გაიწერებოდა, შეძლებულებზე — 2 კოდი, ღარიბებზე — 1 კოდი [69].

1811 წლის 3 ივნისის სინოდალური კანტორის ერთ-ერთი ჩინოვნიკის მოხსენებაში აღნიშნული იყო: „ცნობილია, თუ რაოდენ ძნელია საეკლესიო შემოსავლის ნატურით აღება, ამის თავიდან ასაცილებლად ის შემოსავალი, რომელიც იხარჯება ეკლესიის, გიმნაზიის და სხვა დაწესებულებების საჭიროებისათვის, გადავიტანოთ ფულზე. მას დიკასტერიაში შეიტანენ ეპარქიათა და საარქიმანდრიტოთა წინამძღვრები, ხოლო ის შემოსავალი, რომელიც ეპისკოპოსთა და არქიმანდრიტთა შენახვისათვის არის საჭირო, კვლავ ნატურით მიიღონ, ხოლო რაც შეეხება საეკლესიო გლეხთა გადასახადებს ხაზინისათვის, იგი ძველებურ საფუძველზე დარჩება" [70].

1818 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტი — საეკლესიო გადასახადების კომუტაცია, რაც ყოფილი ნატურალური გადასახადების ფულზე გადატანას ნიშნავდა. დაიბეგრა ყველა ის საეკლესიო გლეხი, რომელიც საეკლესიო მიწით სარგებლობდა [71]. „ყოველმა საეკლესიო გლეხმა, ან სხვა გლეხმა, რომელიც ხნავს ერთ დღიურ საეკლესიო მიწას, ეკლესიას უნდა მისცეს უკიდურეს შემთხვევაში ერთი კოდი ხორბალი, რომელიც შეფასებული იქნება 80 კაპიკიდან მანეთამდე და მეტად სოფლის მეურნეობისა და ვითარების შესაბამისად" [72]. თუმცა, საეკლესიო მთავრობა აღნიშნავდა: „ისეთი გადასახადი გავაწერეთ გლეხებს, რომ ნებაყოფლობით გამოეთქვათ თანხმობა", მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კომუტაციას უმტკივნეულოდ მაინც არ ჩაუვლია. მაგალითად, სოფელ გულგულის 27 დღიური

მიწიდან, რომელსაც შუამთის მონასტრის გლეხები ამუშავებდნენ, ეკლესია ადრე არ იღებდა ღალას, 1818 წლიდან კი მათაც დაუწესდათ ეს გადასახადი. ისინი გულისწყრომას გამოთქვამს და გადასახადის გადახდაზე უარს ამბობდნენ. [73] მდგომარეობა გამწვავებულა სოფლებში — ბოდბესა და ბოდბისხევშიც, სადაც 2000 კოდი პურის ნაცვლად 4000 მანეთი ვერცხლით გაუწერიათ [74]. ამ ამბავმა სოფელი შეთქმულებამდეც კი მიიყვანა.

თუ რამდენად არის გაზრდილი საეკლესიო გადასახდები საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ, ამაზე ეგზარქოს თეოფილაქტესადმი იოანე ბოდბელის წერილიც მეტყველებს: მართალია, — აღნიშნავდა იგი, ბოდბისა და ბოდბისხეველი გლეხებისათვის ნატურალური გადასახადის ნაცვლად შეწერილი საეკლესიო ფულადი გადასახადი 3 000 მანეთი ნაკლებად შეესატყვისება მრავალრიცხოვანი და მდიდარი მრევლის შესაძლებლობებს, მაგრამ „ზომიერიცა მათგან წელიწდეული შემოსავალი უმეტეს აღემატების უწინდელთ თქუენთა შემოსავალთა“ [75], ანუ ზომიერადაც რომ გაგეწერათ გადასახადები, იგი მაინც ბევრად მეტი იქნებოდა უწინდელზეო.

კომუტაციის ფაქტს თავად ეგზარქოსი შემდეგნაირად აფასებდა: „კულუხის ნატურალური გადასახადის ფულზე გადასვლას, მიუხედავად გადასახადის გაზრდისა, საეკლესიო გლეხებში არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია, მათთვის იგი უფრო ხელსაყრელიცაა“ [76]. ეგზარქოსის ბრძანებულების მე-6 პუნქტში ნათქვამი კი იყო: თბილისის მაზრაში „ღვინის გადასახადი ეკლესიის სასარგებლოდ ყოველი 10 საპალნედან 1 საპალნეა, რაც ამ რეგიონში 7-დან 10 მანეთამდეა შეფასებული“ [77]. გორის მაზრაში კი, კოკა ღვინო მანეთის და ზოგჯერ ორი მანეთის ტოლფასია [78].

სხვა საეკლესიო ნატურალური საყოველთაო გადასახადებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ძღვენი, საშობაო, სააღდგომო და სხვა. არსებობდა გარკვეულ შემთხვევებთან დაკავშირებული გადასახადებიც. ამ რიგის გადასახადთა შორის აღსანიშნავია საქვრივო, საკანონო, თავის გასამტეხვლო და ნიშანი. XIX საუკუნის I ნახევარში საეკლესიო გადასახადებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, ზოგიერთი მათგანი გაუქმდა, ზოგიც ფულზე იქნა გადაყვანილი, ხოლო ზოგიერთი გადასახადი კომლობრივ გადასახადად იქცა. ასეთ საეკლესიო გადა-

სახადთა რიცხვს მიეკუთვნება დრამა. მას სამივე კატეგორიის გლეხი იხდიდა რელიგიური მომსახურებისათვის. დრამა იკრიფებოდა პროდუქტებით, საქონლით, საკლავით ან ფულით. მას საეკლესიო გლეხები იხდიდნენ ყოველ მომდევნო წელს — 2 ლიტრი ხორბლის, ერთი ქათმის ან 10 კაპიკის ოდენობით. 1819 წლის 23 ივლისის ბრძანებაში ვკითხულობთ, რომ „ყოველივე ფულად შესაკრებანი, რომელსაცა ჰქვიან სახუცო და დრამაი აღმოვკვეთოთ სამარადისოდ“ [79]. საეკლესიო მეურნეობაში დრამის გაუქმება უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტი იყო, ვიდრე საეკლესიო გადასახადების ღალისა და კულუხის კომუტაცია.

გარდა დასახელებული გადასახადებისა, საეკლესიო გლეხები იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადებსაც, მათ შორის იყო ე. წ. საპროვიანტო გადასახადი. იგი გაზრდილი რუსული ჯარების გამოკვების აუცილებლობაში მდგომარეობდა. მასში შევიდა ქართული სურსათიც, რომელიც ორი კოდი პურისა და ერთი კოდი ქერის ოდენობით იკრიფებოდა სამივე კატეგორიის გლეხისაგან. „...რადგან გამოსაღები ესე არს საზოგადო საქართველოსა შინა, ამისთვის მოგიწერ თქვენ გამოუცხადოთ ეკლესიათა ყმათა თქვენის უწყებისათა, რათამცა იგინიცა თანასწორ სხუათა თანამცხოვრებთა შეიტანდნენ საამბარდნოთა შინა ხორბალსა და ქერს მიღებითა მისსივე ფასისათა, რომელსაცა აღებასა ზედა თანახმა იყვნენ კეთილშობილნი“, — ვკითხულობთ გუბერნატორ ხოვენის მიტროპოლიტ თეოფილაქტესადმი 1820 წლით დათარიღებულ წერილში [80].

„საამბარდოები“ ის საპროვიანტო მაღაზიებია, რომლებშიც გლეხებს პური უნდა ჩაებარებინათ. ჩაბარებული 1 კოდი პურისათვის საეკლესიო გლეხს 1 მან. 50 კაპიკიდან 1 მან. 60 კაპიკამდე ეძლეოდა [81], მაშინ როდესაც თვით გლეხი პურს ბაზარზე 4 და 7 მანეთად ყიდულობდა. [82] საპროვიანტო გადასახადის ფულზე გადაყვანა XIX საუკუნის 40-იან წლებში მოხდა.

სახელმწიფო გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მახტა. ეს გადასახადი ორგვარი სახით იკრიფებოდა — ფულითა და ნატურით. ფულადი მახტა გაიწერებოდა თბილისში მცხოვრებ საეკლესიო გლეხებზე. თუმცა უმთავრესად იგი მაინც ვაჭარ-მოქალაქეთა გადასახადს წარმოადგენდა. 1949 წლიდან მახტის გადახდა ქალაქის ყველა მცხ-

ოვრებს დაევალა. მახტა საეკლესიო გლეხზე 3 მანეთის ოდენობით გაიწერებოდა, ხოლო მოქალაქეებს 9 მანეთი და 20 კაპიკი უნდა გადაეხადათ [83].

საეკლესიო გლეხები ეკლესიაზე ფიზიკური შრომითი ურთიერთობითაც იყვნენ დამოკიდებულნი. ასეთი შრომითი დამოკიდებულების განმსაზღვრელი იყო შრომითი ბეგარა. იგი იყო ყმა-გლეხის უფასო, გადაუხდელი შრომა მებატონის ზვარ-ხოდაბუნებზე. საეკლესიო გლეხები საბატონო გლეხებისაგან განსხვავებით შრომითი რენტით ნაკლებად უნდა ყოფილიყვნენ დაბეგრილნი, რადგან ეკლესია თავისუფალ, დაუსახლებელ სახნავ-სათეს მიწებს, სათიბებსა და საძოვრებს საღალედ გასცემდა. რაც შეეხება საეკლესიო ვენახებს, აქ საეკლესიო გლეხი ისეთივე სამუშაოს ასრულებდა, როგორსაც საბატონო ყმა მემამულის ზვარში. საეკლესიო გლეხებს ევალებოდათ ბაღ-ვენახებში სეზონური მუშაობა. თუ ვენახი ოჯარით იყო გაცემული, გლეხი მაინც ვალდებული იყო იქ შრომითი ბეგარა გაეწია, — „რაც სოფელს ამ ზვრების მუშაობა აძევთ და უმუშავნიათ, ისე უნდა იმუშაონ და სასმელ-საჭმელნი, როგორც განწესება ყოფილა, ისე უნდა ვასვათ და ვაჭამოთ და ვაზიც რიგზეც გავასხლევინოთ [84]. საეკლესიო გლეხს შრომითი ბეგარა ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზეც უნდა გაეწია. ზოგიერთი შრომითი ვალდებულება ისეთი შრომატევადი და დამქანცველი იყო, რომ ვინც მას სისტემატურად ასრულებდა, ეკლესიის გადასახადებისაგან თავისუფლდებოდა. საეკლესიო გლეხების გადასახადების კომუტაციის დროს შრომითი რენტის ოფიციალურად ფულზე გადაყვანა არ მომხდარა, მაგრამ სტიქიურად მისი ფულად რენტად გარდაქმნის პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობა. [85]

1819 წლიდან საეკლესიო გლეხების გადასახადები დასავლეთ საქართველოშიც ფულით იკრიფებოდა. განსხვავებული მატერიალური მდგომარეობის საეკლესიო გლეხები განსხვავებულად იყვნენ დაბეგრილნი. მაგალითად, ზოგიერთ სოფლებს: ოფჩა, ბუეთი, სორმონი, ალისიმარეთი, ზეკარი, ნებერეთი და სხვა — სულ 7 სოფელს ერთად გაეწერათ 28 მანეთის გადასახადი. სოფელ ნებერეთში თითო კომლი ნახევარი კაპიკიდან 7 კაპიკამდე ყოფილა დაბეგრილი, სოფელ ალისიმალერთში 2 კაპიკიდან 26 კაპიკამდე. 1819 წლიდან იმერეთის სოფლები გაზრდილი ფულადი ვალდებულებებით დაიბეგრა. ფულადი გა-

დასახადი ერთიანად ეკისრებოდა სოფლის ყველა საეკლესიო კომლს. სოფლების – დიმის, მუჯირეთისა და ჩხარის 9 კომლზე 45 მანეთი იყო გაწერილი. სოფელ საზანოს 10 კომლზე კი – 60 მანეთი. ამ მასალის მიხედვით ჩანს, რომ საეკლესიო კომლები ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდა ერთ-ორ მანეთს და მეტს. ასეთ გაზრდილ ფულად ვალდებულებებს იმერეთში საყოველთაო მღელვარება მოჰყვა, რაც ისტორიოგრაფიაში „1819-1820 წლების საეკლესიო ბუნტის" სახელით არის ცნობილი.

გარდა საეკლესიო გადასახადისა, დასავლეთ საქართველოში არსებობდა სახელმწიფო გადასახადი – საუდიერო. იგი კომლთა გარკვეულ რაოდენობაზე ყოველწლიურად ერთი რქოსანი პირუტყვის გაცემას ითვალისწინებდა [86]. ამას გარდა, იმერეთის საეკლესიო გლეხები ეპისკოპოსს უხდიდნენ დრამას –კომლზე 8 ფარას. 1825 წლის აღწერით იმერეთსა და გურიაში 2597 საეკლესიო კომლია [87], 1820-1826 წლებში საეკლესიო გლეხების გადასახადების სახით მიღებული შემოსავალი 48 979,81 მანეთს უდრიდა, ხოლო 1826-1839 წლებში 68 826,53 მანეთს [88].

1828 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ იმერეთის სახელმწიფო გადასახადებში ცვლილებები შეიტანა, მან კომლობრივი ნატურალური გადასახადების ნაცვლად დააწესა ფულადი სულადობრივი გადასახადი. ამიერიდან ყოველი მამრობითი სქესის გლეხი 50 კაპიკს იხდიდა. ეს შეეხებოდა გურიასაც, რომელიც რუსეთის იმპერიას 1829 წელს შეუერთდა [89], 1850-იან წლებში დასავლეთ საქართველოში სულზე 1, 2 მანეთი იკრიფებოდა, გადასახადების საერთო ოდენობამ 1853 წელს – 12 043, 50 მანეთი შეადგინა [90].

ამრიგად, თუ საეკლესიო გადასახადებში XIX საუკუნის დასაწყისში პროდუქტადი რენტა გაბატონებულ ფორმად ითვლებოდა, 1818 წლიდან ფულადმა რენტამ წამყვანი ადგილი დაიკავა. ეს მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების საერთო დონე მასობრივი კომუტაციის განხორციელების საშუალებას იძლეოდა.

საეკლესიო მიწათსარგებლობის ფორმები

საეკლესიო გლეხების, ისევე როგორც სხვა კატეგორიის გლეხების მიწათსარგებლობის ფორმები საქართველოში მრავალგვარი იყო. „მოქმედებენ ხვნითა, თესვითა, ვენახის მუშაკობითა და სხვათა ესევითართა", „განატარებენ ადგილობრივსა ცხოვრებასა". ქართველთა მიერ გატარებულმა მრავალსაუკუნოვანმა „ადგილობითმა" ცხოვრებამ მიწაზე მუშაობის, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ახალი ფორმების დამკვიდრების დიდი გამოცდილება შესძინა ქართველ ხალხს. საეკლესიო გლეხები ამუშავებდნენ საკომლო-სამკვიდრო მიწებს, დროებით სარგებლობაში იჯარით აღებულ მიწებსა და საკუთარ ნასყიდ მიწებს.

გლეხის მიწით უზრუნველყოფის საკითხი ორგანულ კავშირშია საკითხთან საკომლოს შესახებ. საკომლო, ანუ „სამკვიდრო" მიწა საეკლესიო გლეხს ეკლესიისაგან უვადო მფლობელობაში ჰქონდათ ბოძებული. იგი გლეხის პირობითი საკუთრება იყო. მართალია, ტრადიციულად მამიდან შვილზე გადადიოდა, მაგრამ მიწის გასხვისების ან გაჩუქების უფლება გლეხს არ ჰქონდა, ხოლო მისი სარგებლობისათვის იგი ეკლესიას გადასახადს უხდიდა.

საეკლესიო გლეხები ამუშ,ავებდნენ იჯარით აღებულ დაუსახლებელ საეკლესიო მიწებსაც. საკომლო-მკვიდრი მიწებისა და იჯარით აღებული მიწების გარდა საეკლესიო გლეხებს გააჩნდათ ნასყიდი მიწებიც, რომელიც „სამკვიდროსაგან" განსხვავებით მათი სრული საკუთრება იყო. ეს წესები დაბეგვრას არ ექვემდებარებოდა და პატრონს მისი ყიდვა-გაყიდვაც შეეძლო.

გარდა სახნავი მიწებისა, რომელზედაც რენტის ფაქტობრივი რეალიზაცია იყო დამოკიდებული, სხვა საეკლესიო მიწების „სამძღუარნი და ზომანი" უმეტესად თვალის ზომით აღირიცხებოდა. საკომლოს ფართობის მიხედვით განისაზღვრებოდა კომლის სამეურნეო- ეკონომიკური შესაძლებლობანი და, აქედან გამომდინარე, რენტის მოცულობაც.

დოკუმენტებში კომლი შემდეგნაირად არის განმარტებული: „მრეწველთა და ხელოსანთა შორის კომლად ითვლება ოჯახი, სადაც

მამაკაცი მუშახელია, ხოლო მიწათმოქმედთა და სხვა დაბალ ფენაში, იბეგრება ის ოჯახი, სადაც 3 მამაკაცია“ [91].

საკომლოს ფართობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. სტატისტიკური მასალა საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ საკომლოს ყველაზე გავრცელებული ტიპი. საშუალო ციფრები, რომლებიც გამოგვყავს უწყისებიდან, თუმცა იქცევენ ყურადღებას, ფარავენ გლეხთა ქონებრივი უთანასწორობის ფაქტებს და ამდენად, ვერ ასახავენ საგანთა ზუსტ მდგომარეობას.

საკომლო, ისევე როგორც სხვა მეტროლოგიური ერთეულები: დღიური, კოდი, კოკა და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ერთი სახელწოდება ჰქონდათ, სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული სიდიდის იყო და მათ გასარჩევად არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა ტერმინები — „ქართლური“, „კახური“, „თრიალური“, „ბარული“ და ა.შ. [92]. როდესაც გლეხთა მიწით უზრუნველყოფის საკითხზე ვლაპარაკობთ, ვარგისი და არავარგისი მიწების გარდა, თვით ვარგის, ანუ სახნავ და საბაღვენახე მიწებში უნდა გავარჩიოთ — სარწყავი და ურწყავი, ველური და ა.შ. საგულისხმოა, რომ განსხვავებული ხარისხის მიწები სხვადასხვა მოსავალს იძლეოდა.

საკომლოს ფართობის სიდიდეზე საგრძნობ გავლენას ახდენდა რენტის ფორმათა მონაცვლეობაც. როცა წამყვანია შრომითი რენტა, გლეხისათვის შედარებით ნაკლები მიწაა საჭირო, ვიდრე პროდუქტადი და ფულადი რენტის ბატონობის დროს, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში ზედმეტი პროდუქტის უდიდესი ნაწილის წარმოება საგლეხო მეურნეობაში ხდება. საკომლოც, ისე როგორც ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონება, ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებისადმი გარკვეულად მგრძნობიარეა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საეკლესიო გლეხთა, ისევე როგორც სხვა კატეგორიის გლეხთა მიწათმფლობელობის ძირითად ფორმას თუმცა საკომლო წარმოადგენდა, მაგრამ მის პარალელურად აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრაში დიდი რაოდენობით გვხვდება საერთო-სასაოფლო მიწებიც. მაგალითად, თელავის მაზრაში არსებული 82 სოფლიდან საეკლესიო გლეხებით დასახლებული იყო 51 სოფელი. აქედან 32 სოფელში საეკლესიო გლეხებს მიწები გააჩნ-

დათ საერთო სარგებლობაში, ხოლო 19 სოფელში იგი კომლებზე იყო განაწილებული [93].

ჩვეულებრივ, საერთო-სასოფლო მიწები ბევრად სჭარბობდა „საკუთარ“ სახნავებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საერთო-სასოფლო მიწებში ძირითადი ადგილი სათიბ-საძოვრებსა და ტყეს ეჭირა. ეს იმითაც დასტურდება, რომ მიწების საერთო მფლობელობა საქართველოს სხვა კუთხეებშიც უმთავრესად ზემოთ აღნიშნულ სავარგულებზე შემორჩა. აღწერაში საერთო-სასოფლო მიწებში სახნავი და სათიბი მიწის ფართობი ერთადაა მოცემული და მათი ცალ-ცალკე დადგენა არ ხერხდება. მაგალითად, სოფელ ნასომხარში 5 კომლს (36 სული), ჰქონდა 50 დღიური სახნავი გაუნაწილებელი მიწა, ვენახები კი ჩვეულებისამებრ განაწილებული იყო კომლებზე. სახნავი მიწა აქ საშუალოდ კომლზე 10 დღიურს შეადგენდა. ტყე და საძოვარი ყველგან საერთო მფლობელობაში იყო.

სოფელ კოსისხევში ალავერდის ტაძრის, უფლის საფლავისა და სიონის 37 კომლი (237 სული) საეკლესიო გლეხი განუყოფლად ფლობდა 200 დღიურ მიწას. მათ გააჩნდათ აგრეთვე სავენახე, ხილის ბაღები და საერთო ტყე სამშენებლო მასალისა და შეშისათვის საკმაო რაოდენობით. ამ სოფელში საშუალოდ კომლზე 5,5 დღ. სახნავი მიწა მოდიოდა.

სოფელ აკურაში — 40 კომლს (365 სულს)/, დავითგარეჯის მონასტრის გლეხების 700 დღიური სახნავი მიწა ჰქონდა საერთო სარგებლობაში, ვენახები — კომლებზე გაყოფილი, ტყე — საერთო სარგებლობაში 20 X 5 ვერსტის ფართობისა. კომლზე აქ საშუალოდ 17,5 დღ. სახნავი მიწა მოდიოდა.

სოფელ კონდოლში კი განსხვავებული მდგომარეობა იყო. საეკლესიო მიწა აქ განაწილებული იყო 45 კომლიდან 34 კომლზე, იგი 350 დღიურს შეადგენდა. თითოზე საშუალოდ 10,2 დღიური მოდიოდა. 11 კომლი სრულიად უმიწაწყლო იყო, ეს კომლთა ერთი მეოთხედია, რომლებიც დღიური სამუშაოებითა და წვრილმანი ვაჭრობა-ხელოსნობით ირჩენდნენ თავს. მიწაწყლიან კომლებს ჰქონდათ საკუთარი ვენახები და წისქვილი.

სახნავი მიწა ცალკეული კომლის მიხედვით იყო დაყოფილი აგრეთვე თულავის მაზრის შემდეგ სოფლებში: ქვემოხოდაშენში, ხორხ-

ელში, ალავერდულში, ახშანში, ობოლიძეში, კოგოტოში, ოჟიოში, ზემოხოდაშენში, აწყურში, იყალთოში, რუისპირში, გულგურში, ვარდისუბანში, მერეში, ყვარელში, საბუეში, ფშაველში, ახატელში და მალრანში.

საერთო სახნავი მიწები პერიოდულად ნაწილდებოდა საეკლესიო გლეხთა კომლობრივი ან სულადობრივი რაოდენობის ზრდა-შემცირების მიხედვით. საერთო მიწების ხელახლა დანაწილება, თუმცა ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავებას უშლიდა ხელს, მაგრამ არსებით ზემოქმედებას მათზე მაინც ვერ ახდენდა. მიწებით სარგებლობის არათანაბრობა შეინიშნებოდა ისეთ სოფლებშიც, სადაც მიწები საერთო სარგებლობაში ჰქონდათ. მაგალითად, სოფელ ახმეტაში 54 კომლი საეკლესიო გლეხიდან (412 სული) 33 კომლს საერთოდ არ გააჩნდა სახნავი მიწა. 21 კომლი კი განსხვავებული სიდიდის, დაახლოებით 3 დღიურიდან 15 დღიურამდე მიწას ფლობდა. სოფ. ალავერდში — 16 კომლიდან (122 სული) მხოლოდ 1 კომლს გააჩნდა საკუთარი მიწა, ისიც 60 დღიური, მასვე ჰქონდა აგრეთვე საკუთარი ვენახი და 1 წისქვილი, ხოლო დანარჩენების სარგებლობაში იყო 500 დღიური. ამ სოფელში თითო კომლზე საშუალოდ 33,3 დღ. მოდიოდა. სოფელ ვეფხისციხეში 5 კომლი (31 სული) სარგებლობდა 550 დღიური განუყოფელი მოწით, ე.ი. თითო კომლი აქ 110 დღიურ მიწას ამუშავებდა.

საერთოდ კი, 1804 წლის აღწერის [94] მიხედვით თელავის მაზრაში ასეთი სურათი იკვეთება:

1706	საეკლესიო	კომლიდან							
76	კომლი	სარგებლობს	1						
355	“	“	5	“	10	“	“	“	
615	“	“	10	“	20	“	“	“	
58	“	“	20	“	30	“	“	“	
36	“	“	30						
120	კომლი	უმიწაწყლოა							

ზოგჯერ საერთო სახნავ-სათეს მიწებს რამდენიმე სოფელი ერთად ფლობდა. მაგალითად, „განუყოფელი“ იყო სოფლების – საგარეჯოს, გიორგიწმინდისა და ნინოწმინდის სახნავ-სათესი მიწები [95].

1804 წლის აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ საერთო-სასოფლო მიწები გააჩნდათ სიღნაღის მაზრის საეკლესიო გლეხებსაც. ქ. სიღნაღის ჩათვლით აქ მოხსენიებულია 48 სოფელი. აქედან საეკლესიო გლეხებით დასახლებული იყო მხოლოდ 23 სოფელი [96]. მაგალითად, სოფელ ბოდბეს 259 კომლიდან 147 კომლს მიწა საერთოდ არა ჰქონდა, დანარჩენებს ვარგისი მიწა გააჩნდათ 257 დღიურის ოდენობით. ამას გარდა ჰქონდათ სასოფლო მიწები: ტყე და მინდორი 15 X 8 ვერსტის რადიუსით. ამ სოფელში თითოეულ კომლზე საშუალოდ 2-3 დღიური სახნავი მიწა მოდიოდა.

სოფელ ბოდბისხევში სულ 194 კომლი (1705 სული) ირიცხებოდა. აქედან უმიწაწყლო იყო 159 კომლი, დანარჩენები კი სარგებლობდნენ 10 X 7 ვერსტის ფართობის საერთო მიწით.

სოფელ ჩუმლაყში 48 კომლი საეკლესიო გლეხი თავად ავალიშვილის გლეხებთან ერთად განუყოფლად ფლობდა 700 დღიურ ვარგისსა და 100 დღიურ სათიბს, ჰქონდათ აგრეთვე 12 ვერსტის საერთო ტყე.

სოფელ ახაშენში 36 კომლი ასევე სხვა კატეგორიის გლეხებთან ერთად ფლობდა 250 დღიურ სახნავს, ხოლო ტყეს 10 ვერსტის რადიუსში.

სოფელ კაკაბეთში 94 კომლის საერთო-სახნავი მიწა უდრიდა 1500 დღიურს, სათიბი – 500 დღიურს, ტყე – 25 ვერსტს.

საერთო-სასოფლო მიწათმფლობელობა კახეთთან შედარებით გაცილებით მცირე ზომით იყო წარმოდგენილი ქართლში. იგი აქ უმეტესად ტყეებზე, ველ-მინდვრებსა და საძოვრებზე ვრცელდებოდა. საერთო-სასოფლო მიწები თითქმის სრულებით არ არსებობდა დასავლეთ საქართველოში.

საკომლოს ფართობის დადგენაში გვეხმარება კანტიკუნტად მოძიებული მასალა. ამ მხრივ საინტერესოა მაგალითად, საეკლესიო გლეხის ზაქარია ავთანდილოვის ცნობა, რომ იგი 30 წელი ვაჭრობს და მხოლოდ ვაჭრობით უჭირს ოჯახის რჩენა, ამიტომ საეკლესიო უწყებისაგან იგი ითხოვს მიწას და რადგან „არა აღმოჩნდა მისაცემად

მისდა საეკლესიო ბეითალმანი მიწანი არა ვისდამი ქონებულნი“ [97], მას გამოუყვეს სახლისათვის 1 დღიური, ვენახისათვის ორდღენახევრისა და სახნავ-სათესად 15 დღიური მიწა, რაც, ჩვენი აზრით, მრავალსულიანი კომლისათვის ნორმალურ საკომლოდ უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან არ უნდა დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის I ნახევრის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გლეხის მეურნეობაში მიწათმფლობელობის საერთო-სასოფლო ფორმას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და რომ აქ საკუთარი მიწების ხვედრი წილი ძალიან მცირე იყო.

ჩვენ მიერ მოძიებული ცნობის მიხედვით, სოფელ ზემოავჭალის 80 დღიური სახნავი მიწა საერთო სარგებლობაში ჰქონდათ ამ სოფლის მკვიდრთ 4 წლის განმავლობაში, ხოლო 1839 წლიდან სინოდალურ კანტორას იგი გადაუცია საეკლესიო გლეხ ეგნატე სუხაშვილისა და მღვდელ ტურკაშვილისათვის, რისთვისაც მათ ღალად უნდა გაეღოთ წელიწადში 36 მანეთი. ამასთან, ცნობაში ხაზგასმულია, რომ სინოდალური კანტორის ნებართვის გარეშე ზემოაღნიშნულ გლეხებს არ ჰქონდათ ამ 80 დღიური მიწის გაყიდვის, დაგირავების, ან გაჩუქების უფლება [98]. ჩვენი აზრით, ქართლში საერთო-სასოფლო მიწები არ გვხვდება თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით განვითარებული სასაქონლო ურთიერთობის გამო შესაძლოა იგი უფრო ხშირ ცვლილებებს განიცდიდა და კამერალურ აღწერებში მოხვედრას ვერ ასწრებდა.

1818 წლის კამერალურ აღწერაში მოცემულია, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიებში საეკლესიო გლეხები ამუშავებდნენ 12 876,5 დღიურ სახნავ მიწას [99], მაგრამ როდი უნდა ჩავთვალოთ, რომ მიწის ეს რაოდენობა მთლიანად ეკუთვნოდა საეკლესიო უწყებას. საეკლესიო გლეხები ამუშავებდნენ როგორც საერთო-სასოფლო, ისე „საკუთარ“ „სამკვიდროს“, ნასყიდსა თუ ივჯარით აღებულ მიწებს.

საეკლესიო გლეხთა მიწათსარგებლობის მრავალსაუკუნოვანი ფორმების საილუსტრაციოდ გამოდგება 1818 წლის გორის მაზრის კამერალური აღწერა [100] საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნულ წელს გორის მაზრაში ცხოვრობდა 742 კომლი, 4790 სული საეკლესიო გლეხი, აქედან 400 კომლი ამუშავებდა კომლებზე დაყოფილ საეკ-

ლესიო მიწას. ნასყიდი მიწა ჰქონდა 118 კომლს. საეკლესიო მიწა გააჩნდა და, ამასთანავე, საბატონეზეც მუშაობდა 7 კომლი, საეკლესიო მიწა ღალით ჰქონდა აღებული 82 კომლს, ღალით ამუშავებდა საბატონო მიწას — 33 კომლი. 101 კომლს მიწა საერთოდ არ გააჩნდა და დღიური სამუშაოებითა და წვრილმანი ხელოსნობა-ვაჭრობით ირჩენდა თავს.

გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელია მისი მიწით უზრუნველყოფის საკითხი. საეკლესიო გლეხთა შორის გორის მაზრაში, აღნიშნული აღწერის საფუძველზე ასეთი სურათი იკვეთება:

1-დან		5	დღიურამდე	სახნავ	მიწას	ამუშავებდა	240	კომლი
10	"	20	"	"	"	"	173	"
20	"	30	"	"	"	"	100	"
30	"	100	"	"	"	"	43	"
100			დღიურის ზემოთ	"	"	"	3	"
მიწა							101	კომლს

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იმდროინდელ წყაროებზე დაყრდნობით, აქ არ არსებობდა სახნავი მიწების კომლთა შორის ხელახალი გადანაწილების პრაქტიკა და, ამასთან, მიწების საერთო სარგებლობაც. დასავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო ძირითადად გლეხთა ინდივიდუალური, საკომლო მიწათმფლობელობა. თუ რამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოში საერთო-სასოფლო მიწების გაქრობა, აღმოსავლეთში კი მათი შენარჩუნება, მკვლევრები უმთავრესად გეოგრაფიულ ფაქტორს ასახელებენ. პ. გუგუაშვილის, ი. ანთელავასა და დ. გოგოლაძის მოსაზრებით, დასავლეთ საქართველოს ოღრო-ჩოღრო, მთის კალთებზე აქა-იქ შეფენილი ვარგისი მიწის ნაკვეთები, ვიწრო ხეობები არ იძლეოდა მიწების ახალ-ახალი და თანაბრად განაწილების საშუალებას, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს

ვრცელ ველ-მინდვრებზე ხდებოდა. ამას გარდა, ამ მხარეში ვენახისა და ხილის ბაღების მრავალწლიანი კულტურების მოვლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტი გასაქანი ჰქონდა ინდივიდუალურ-მემკვიდრეობით მიწათმფლობელობას. დაბოლოს, საერთო-სასოფლო მიწათსარგებლობის რღვევა მოხდა აგრეთვე საეკლესიო და საბატონო ფეოდალების მიერ მიწების მიტაცებისა და სავაჭრო და სავახშო კაპიტალის განვითარების შედეგად.

1819 წლის კამერალური აღწერის მიხედვით [101], იმერეთში 866 კომლ საეკლესიო გლეხზე სახნავი მიწა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

1	დღიურიდან	2	დღიურამდე	სახნავი	მიწა	ჰქონდა	95	კომლს
2,5	"	5	"	"	"	"	318	"
6	"	10	"	"	"	"	68	"
12	"	40	"	"	"	"	2	"
40	დღიურის ზემოთ			"	"		3	"
	მიწა არ გააჩნდა						136	კომლს

რაც შეეხება ვენახის ფართობს, იგი აქ შემდეგი რაოდენობით გააჩნდათ:

	0	დღიურიდან	1	დღიურამდე	ვენახი	ჰქონდა	138	კომლს
0,5	„	2	„	„	„		696	„
3	„	5	"	"	"		27	„
5	"	10	"	"	"		5	"
მიწა არ გააჩნდა							119	კომლს

გამონაკლისის სახით იყვნენ ისეთი კომლებიც, რომლებიც დიდი რაოდენობით ურწყავ მიწებს ფლობდნენ. მათ შორის: სოფელ ხონში დავით ტყაბლაძეს 100 დღიური ურწყავი მიწა გააჩნდა და 300 კოკა ღვინოს წურავდა; სოფელ მათხოჯში დავით მელაძე 91 დღიურ ურწყავ მიწას ამუშავებდა და 300 კოკა ღვინო ჰქონდა; სოფელ ბანოჯაში პეტრე აფრიდონიძეს — 100 დღიური მიწა და 150 კოკა ღვინო; 100 დღიური მიწა გააჩნდა ამავე სოფლის საეკლესიო გლეხს ნიკოლოზ მელაძეს და 180 კოკა ღვინო; ლაზარე ჟორჟოლიანს 100 დღიური მიწა და 200 კოკა ღვინო [102]. ჩვენს ხელთ არსებული ერთ-ერთ უწყისიდან [103] კი ჩანს, რომ 1867 წელს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო გლეხთა მფლობელობაში არსებული საეკ-ლესიო, საბატონო, სახაზინო და ნასყიდი მიწების საერთო რაოდენო-ბა მაზრების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული:

მაზრები	საეკლ. კომლთა-რაოდენობა	რამდენ ქცევა მიწას ფლობდნენ			
		საეკლესიოს	საბატონოს	სახაზინოს	ნასყიდს
1	2	3	4	5	6
ქუთაისის მაზრა უბნები ქ. ქუთაისის კულაშის ამაღლების ბაღდადის სიმონეთის ხონის	3130	სახნავი 17082,5 ქც. საკარ. 16 დეს.	65 ქცევა საკარმ. 4244 ქც.	სახ. 287½ ქცსაკარმ. 2393 ქც	5344,5 ქც სახაზინო გლეხი 1600 საე.1006¼ ქც.კერძო პირები 6277,5 ქც.
შორაპნის მაზრა უბნები სვერის ჩხარის შორაპნის არგვეთის საჩხერის	674	სახნავი 1888¼ საკარმ. 554¼ ქც. სატყეო 1012⅔ ქც.	სახ. 26 ქც.საკარმ. 4 ქც. სატყეო 17 ქც.	სახაზინო მიწით არ სარგებლობენ	საეკლ. გლეხი 325¾ სახაზ.გლეხი 49¼ ქც. 150 საე.-კერძო პი.631,5 ქც.1 დეს. 721 საე.
ოზურგეთის მაზრა უბნები გურიანთის ბახვის ჩოხატაურის ლანჩხუთის	576	სახნავი 373½ ქც. საკარმიდ. 542¾ ქც.სატყეო 130,5 ქც.	სახნავი2 ქცევა საკარმ.4 ქცევა სატყეო2 ქცევა	სახნავი 29 ქცევა საკარმიდ. 81,5 ქც.სატყეო 8 ქცევა	საეკლ. გლ.31 ⅓ ქც.სახაზ. გლ.17 ¼ ქც.კერძო პირ 127¼ ქც
რაჭის მაზრა უბნები გოტეეის ბუგეულის უწერის	683	სახნავი2130 12 ქც. საკარ. 767 14 ქც. სატყეო 312 ქც.	არ სარგებლობენ	არ სარგებლობენ	საეკლ. გლ.199 13 ქც. სახაზინო გლეხი50 12 ქც. კერძო პირ.-315 12 ქც.

1	2	3	4	5	6
სენაკის ოლქი /სამეგ/	70	სახნავი715 12 ქც. საკარმ. 104 ქც. სატყეო2 ქცევა	სახნავი		საეკ. გლეხ. 3 12 ქც. სახაზინო გლეხი-არაფერი კერძო-36 ქც.
გურიის ეკლესიას	5	სახნავი 12 ქცევა საკ. 4 ქც.საე. 1 ქც	სახნავი		საკ. გლეხი 9 ქცევა სახაზინო-არაფერი კერძო 44 ქც.
სამეგრელოს ეკლესიას	17	სახ.12 ქც. საკ. 4 ქც.სატ. 1 ქც.			საეკ. გლეხ. 40 ქცევა სახაზინო-არაფერი კერძო47 ქცევა
აფხაზეთის ეკლესიას	73	სახ.367 12 ქც. საკარ. 234 1/2სატ. 145 1/2	სახ. 4 ქც.		
ს უ ლ	5228	სახნავი 22699,5 ქც საკარმიდამო 10643,5 ქც. სატყეო 14805,5 ქც. 400 საე.	სახნავი149 ქც. საკარმი-დამო 542,5 ქც. სატყეო 14345 ქც.	სახნავი 289,5 ქც. საკარმი-დამო 2397 ქც. სატყეო 44,5	საეკ.გლ5944 3/4 ქც. სახაზ. გლ.3 დეს. 175 საე. 122კერძო პირი7830 ქც.

აღნიშნული ცხრილის მიხედვით ირკვევა, რომ ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში საეკლესიო გლეხთა მფლობელობაში არსებული საკარმიდამო მიწის ფართობი აღემატებოდა მათსავე სარგებლობაში არსებულ სახნავ და სატყეო ფართობებს; ხოლო შორაპნისა და რაჭის მაზრებში, ასევე სენაკის ოლქში სახნავი მიწის ფართობი სჭარბობდა საკარმიდამოსა და სატყეოს. სულ ქუთაისის გუბერნიაში სახნავი მიწის ფართობი ბევრად აღემატებოდა დანარჩენი მიწების ოდენობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ საეკლესიო გლეხების მიწით სარგებლობა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთგვაროვანი, ისინი ძირითადად ამუშავებდნენ საეკლესიო მიწებს და გააჩნდათ მემკვიდრეობითი მიწა. საეკლესიო გლეხები მიწას იღებდნენ იჯარითაც სხვა კატეგორიის გლეხებისაგან, ხოლო ნასყიდი მიწის მფლობელობის შემთხვევაში სხვა პირებზეც გასცემდნენ საღალედ.

ამრიგად, XIX საუკუნის I ნახევარში საიჯარო და ნასყიდი მიწათმფლობელობის ფორმებს საეკლესიო გლეხის მეურნეობაში გარკვეული ადგილი ეჭირა.

საეკლესიო უწყება ითვლებოდა რა მის მფლობელობაში არსებული მიწების მთავარ მესაკუთრედ, ყურადღებით ადევნებდა თვალს, არ მომხდარიყო საეკლესიო მამულების დაქსაქსვა სხვაზე გაყიდვის ან გასხვისების გზით. იგი ემყარებოდა ქართულ ფეოდალურ კანონმდებლობას, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის (ნაწ. II სტატია 166-ე) მიხედვით თვლიდა, რომ ყმას არ ჰქონდა ვალის აღების, რაიმეს გაჩუქების, გაყიდვის ან დაგირავების უფლება მებატონის, ამ შემთხვევაში კი ეკლესიის ნებართვის გარეშე [104].

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მიწაზე კერძო საკუთრება, ე.წ. „ნასყიდობის ინსტიტუტი“ საქართველოში ძალიან ადრე, ფეოდალური ურთიერთობის წინა ხანიდან მოდის. მისი შემუშავების საფუძველი ჩვენში ინტენსიური მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. XIX საუკუნის დასაწყისში ეს მოვლენა ოფიციალურად დაკანონდა კიდეც. 1801 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რუსეთში საბატონო ყმაგლეხების გარდა, ყველა წოდების წარმომადგენელს დაუსახლებელი მიწის ნაკვეთების შეძენის უფლება ეძლეოდა [105].

ჩვენ მიერ განხილულ პერიოდში საგლეხო მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესი რამდენიმე მომენტით შეიძლება განისაზღვროს: ა) სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, ხელოსნობის, ვაჭრობისა და სავახშო კაპიტალის განვითარება; გლეხთა დაშლა. ბ) მიწათმფლობელობის საკომლო-საკარმიდამო ფორმის განვითარება. ეს ფორმა აადვილებდა მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვას, მის ჩაბმას სავაჭრო მიმოქცევაში და გ) პროდუქტადი რენტა, რომელიც აძლიერებდა მებატონეთა დაინტერესებას მიწების გლეხებითურთ ყიდვა-გაყიდვაში, რითაც იზრდებოდა ნამატი პროდუქტის ოდენობა.

საქართველოში, როგორც ვენახისა და ხილის ბაღების, მრავალწლიანი კულტურების ქვეყანაში, სადაც სწორედ ამ კულტურების სპეციფიკიდან გამომდინარე მიწა გამუდმებულ მოვლა-პატრონობას მოითხოვდა, აუცილებელიც კი იყო გლეხს მიწა ერთპიროვნულ, მემკვიდრეობით მფლობელობაში ჰქონოდა. აღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებს აგრეთვე 1847 წელს შედგენილი ერთ-ერთი უსახელო მოხსენების ავტორი, რომელიც სავალდებულოდაც კი ცნობს, რომ საქართველოში გლეხს დაუმტკიცდეს მიწაზე კერძო საკუთრება, განსაკუთრებით კი ნასყიდ ბაღებზე, რათა მეტად გაეხსნას ხელი გლეხის სამეურნეო ინიციატივას [106]. რადგან საგლეხო ვენახი მიწის დიდ ფართობს არ საჭიროებდა, გლეხი ცდილობდა მიწის მცირე ნაკვეთის ყიდვას და მასზე ვენახის გაშენებას. ნასყიდი მიწა და ვენახი კულუხით არ იბეგრებოდა. ქართული ფეოდალური სამართალი ნასყიდობას მტკიცედ იცავდა, მაგრამ, რადგან გლეხობის ასეთმა მისწრაფებამ მეტად ფართო ხასიათი მიიღო, ფეოდალებმაც არ დააყოვნეს და ნასყიდი ვენახის სტატუსში საგრძნობი კორექტივი შეიტანეს. ახალი ნორმის მიხედვით, მხოლოდ ის საგლეხო ვენახი თავისუფლდებოდა კულუხისაგან, რომელიც სხვა საფეოდალოდან, სხვისი ბატონის ყმისაგან იყო ნაყიდი [107].

რუსეთის ხელისუფლებაც ყოველმხრივ ცდილობდა გლეხთა საკუთრების შეზღუდვას. იგი კანონიერად მხოლოდ ნოტარიალური წესით დამტკიცებულ ნასყიდობის სიგელებს ცნობდა, რაც გლეხებს იშვიათად გააჩნდათ. ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება არ დაინტერესებულა საქართველოში გლეხობის მიერ ნასყიდი მიწების ფართობის სტატისტიკური აღრიცხვით, ამ მოვლენის შესახებ მსჯელობა უმთავრე-

სად არაპირდაპირი დოკუმენტების მიხედვით გვიხდება. ნასყიდი მიწების შესახებ ცნობები გაბნეულია სხვადასხვა წლების კამერალურ აღწერებში. 1818 წლის აღწერით გორის მაზრაში 741 საეკლესიო გლეხიდან 119-ს ჰქონდა 1248 დღიური ნასყიდი მიწა, რაც მათ მფლობელობაში არსებული მიწის 18%-ს შეადგენდა. სულ გორის მაზრაში საეკლესიო გლეხებს ჰქონდათ 7427 დღიური, აქედან 6179 დღიური მიწა იყო საეკლესიო და 1248 დღიური კი „ნასყიდი" [108]. აღნიშნულ მაზრის საეკლესიო გლეხთა მფლობელობაში არსებული ნასყიდი სახნავ-სათესი მიწის ფართობი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

1	დღიურიდან	5	დღიურამდე	ნასყიდი	სახნავ-სათესი	მიწა	ჰქონდა	22 კომლს
5	"	10	"	"	"	"	"	31
10	"	20	"	"	"	"	"	17
20	"	40	"	"	"	"	"	12
40	დღიურის ზემოთ			"	"	"	"	3
200	დღიური			"	"	"	"	1

გარდა სახნავი მიწებისა, აღნიშნულ მაზრაში 14 საეკლესიო გლეხს ჰქონდა 22,5 დღიური ნასყიდი ვენახი [109]. დღემდე გავრცელებული აზრით, ცალკეული გლეხების ნასყიდი მიწების ფართობი უმრავლეს შემთხვევაში 1-2 დღიურს არ აღემატებოდა. მაგრამ მასალიდან ირკვევა, რომ არცთუ იშვიათად საეკლესიო გლეხის მეურნეობა მთლიანად ნასყიდ მიწებზე წარმოებდა და მის მფლობელს პირადი დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას აძლევდა. გორის მაზრის სოფელ კულბიტში [110] საეკლესიო გლეხების ოქროპირიძეების მაგალითზე ასეთი სურათი იკვეთება:

1	კომლი	6	სული	აქეს	9	დღ.	ნას.სახ.	მიწას	მოჰყავს	70	კოდი	პური
1	"	4	"	"	10	"		"	"	150		
1	"	4	"	"	10	"		"	"	120	"	"
1	"	5	"	"	10	"		"	"	5	"	"
1	"	7	"	"	10	"		"	"	15	"	"
1	"	11	"	"	11	"		"	"	80	"	"
1	"	5	"	"	20	"		"	"	160	"	"

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნასყიდი მიწები გააჩნდათ იმავე მაზრის სოფელ სივნიეთის მკვიდრს ელიზბარ ბერუაშვილს, მას ჰქონდა 40 დღიური ნასყიდი მიწა; 40-40 დღიური ნასყიდი მიწა ჰქონდათ სოფელ რუისში დავით მღებრიშვილსა და ანდრია გიუნაშვილს; რუისშივე მცხოვრებ შიო გიუნაშვილს კი — 30 დღიური ნასყიდი მიწა; სოფელ თედორეთში პეტრე მაისურაძეს ჰქონდა 100 დღიური ნასყიდი მიწა [111]. ასევე დიდი რაოდენობით ნასყიდ მიწებს ფლობდნენ სოფლების: კორდოს, ტირძნისის, მეღვრეკისისა და სხვ. საეკლესიო გლეხობის ნაწილი.

ნასყიდ ვენახებზე კულუხის დადების შემთხვევებიც იყო. მაგალითად, სოფ. რუისში მცხოვრები 26 საეკლესიო გლეხიდან 8-ს გააჩნდა ნასყიდი ვენახი; ისინი აღნიშნავდნენ, რომ 1817 წელს მოუსავლიანობის გამო კულუხი არ გადაუხდიათ [112]. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მებატონის მიერ გლეხის ნასყიდი მიწის მითვისებასაც. მაგალითად, სიონის ტაძრის გლეხი გლახა ჩხირუაშვილი ჩივის, რომ სხვაგან გადასახლების შემდეგ ნასყიდი მიწა და წისქვილი მას მებატონე დავით მამაცაშვილმა ჩამოართვა. გლეხი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მრავალი საეკლესიო გლეხი გადასახლდა ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს თავისი საკუთრება" [113]. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ მებატონის მიერ ნასყიდი მიწის მითვისება ან მასზე გადასახადის დადება, შედარებით იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში აზრი დაეკარგებოდა გლეხობის შეუნელებელ სწრაფვას მიწების შეძენისადმი.

„ნასყიდი" მიწების აღრიცხვა შემდეგდროინდელ კამერალურ აღწერებში აღარ უწარმოებიათ, თუმცა სავარაუდოა, რომ ყიდვა-გაყიდვის პროცესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პერიოდში უნდა წარმოებულიყო.

აღსანიშნავია მიწების შეძენისადმი მისწრაფებას ადგილი აქვს დასავლეთ საქართველოშიც. 1867 წლის [114] კამერალური აღწერის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საეკლესიო გლეხთა მფლობელობაში არსებული ნასყიდი მიწების ხვედრითი წილი მათსავე სარგებლობაში მყოფ სახნავ მიწებთან შედარებით, რასაც წარმოვადგენთ ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

მაზრები	სახნავი მიწის რაოდ..	ქცევებში ნასყიდი მიწის რაოდ.	ხვედრითი წილი
ქუთაისის	17082,5	5344,5	31,28
შორაპნის	1888,05	325,05	17,21
ოზურგეთის	373.31,5	31,5	8,31
რაჭის	2130,5	199,5	9,38
სენაკის ოლქი	715,5	3,5	0,42
ს უ ლ	21190,05	5904,5	27,85

როგორც ცხრილიდან ჩანს, საეკლესიო გლეხთა მფლობელობაში არსებული ნასყიდი მიწების ფართობი ქუთაისის მაზრაში მათ სარგებლობაში მყოფი სახნავი მიწების რაოდენობის თითქმის 1/3-ს აღწევდა. სულ კი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მაზრაში საეკლესიო გლეხთა ნასყიდი მიწების ფართობთა ჯამი დაახლოებით 28% იყო, რაც მართალია, ჩამორჩებოდა სხვა კატეგორიის გლეხთა ხელში არსებული ნასყიდი მიწის ფართობს, მაგრამ ჩვენ მიერ მოტანილი ცხრილი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს რეფორმამდელ

საქართველოში, საეკლესიო გლეხთა შორის „ნადელის“ ხვედრითი წილის შემცირებისა და ნასყიდი მიწების რაოდენობის ზრდის შესახებ. მოტანილი მასალა, რომელიც საეკლესიო გლეხების ხელში ნასყიდი მიწების თავმოყრას ასახავს, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, რომ საგლეხო მიწათმფლობელობის ფორმებს შორის ნასყიდი მიწები განუხრელი ზრდის ტენდენციას იჩენდა. დიდი ფართობის ნასყიდი მიწის პატრონი გლეხები ბატონყმური ურთიერთობის სიმძიმეს ნაკლებად განიცდიდნენ და მათი მეურნეობა თანდათანობით გლეხურ-ფერმერული ტიპის მეურნეობას ემსგავსებოდა.

საეკლესიო მამულები, გარდა დასახლებული მიწებისა შედგებოდა დაუსახლებელი მიწებისაგანაც, რომელშიც შედიოდა: სახნავი მიწების, ტყეების, ბაღების, სახლების, დუქნების, წისქვილების მიწები ქალაქად და სოფლად და რომლებიც იმყოფებოდა „კონტრაქტით“ თუ „უკონტრაქტოდ“ კერძო პირთა ან მთელი საზოგადოების საიჯარო ურთიერთობაში. ყველა ამ მამულებზე ეკლესია საბატონო უფლებებით სარგებლობდა. იგი ამ ადგილებს თავისი მოსაზრებისა და მიხედვით თავისუფალი გარიგების საფუძველზე გასცემდა. თავისუფალი გარიგება იჯარის საფუძველია, იგი გარეეკონომიკურ იძულებას ცვლის ეკონომიკური იძულებით და, ამდენად, ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ტიპურ მოვლენას წარმოადგენს.

რეფორმამდელ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში სულ 1175 საიჯარო მუხლი იყო. მათ სულ ეკავათ 61000 დესეტინა მიწა, აქედან სახნავი იყო დაახლოებით 11000 დესეტინა, სათიბი და საძოვარი — 9000 დესეტინა, საკარმიდამო და საბაღე 2200 დესეტინა. დასავლეთ საქართველოში (იმერეთსა და გურიაში), იმავე ცნობის მიხედვით, საიჯარო მუხლების რაოდენობა 1880-ია. მათ ეკავათ დაახლოებით 5900 დესეტინა სახნავ-სათიბი მიწა. ტყის ფართობი — 12056 დესეტინამდეა [115].

მეპატრონისათვის საიჯარო გარიგების მიზანი საკუთარი მამულიდან რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება იყო. როდესაც მოხდა საეკლესიო გადასახადების კომუტაცია და აქცენტი გაძლიერდა საეკლესიო შემოსავლის ზრდაზე, დოკუმენტებში არაერთგზის გაესვა ხაზი, რომ „ეკლესიისათვის გაცილებით სასარგებლოა ყველა მამული იჯარით გაიცეს“ [116]. ხელმძღვანელობდა რა ამგვარი მოსაზრებით,

სინოდალური კანტორა ცდილობდა ნაკლებად ვარგისიანი მიწები გაეცა, ისეთი, რომლებიც ნაკლებად მომგებიანი იყო. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ცნობა, სადაც მიწის მეპატრონე, ანუ ეკლესია ცდილობს იჯარით გასცეს მცხეთის ეპარქიაში წისქვილი, სახნავი და საძოვარი მიწები იმიტომ, რომ მათი უდიდესი ნაწილი მცირეშემოსავლიანია და დროებითი; ხოდაბუნები მუშავდებოდა საღალედ არა ყოველ წელს, ხოლო საძოვრებიდან საბალახო იკრიფებოდა ფულითა და პირუტყვით მხოლოდ მაშინ, როდესაც ბალახი უხვად იყო და პირუტყვი მრავლდებოდა. მაგრამ თუ ვერ მოხერხდებოდა ზოგიერთი უვარგისი ადგილის იჯარით გაცემა, მაშინ ასეთი ადგილები ცხადდებოდა „ეკონომიკურ განმგებლობაში". ე.ი. ასეთ მიწებზე სოფლის მამასახლისებს სათანადო ზედამხედველობა უნდა გაეწიათ, რათა ეს ადგილები კერძო პირებს არ გამოეყენებინათ [117].

მიუხედავად იმისა, რომ იჯარა არ წარმოადგენდა ფეოდალური ფორმაციის დამახასიათებელ ტიპურ მოვლენას, მისი დაბალი, განუვითარებელი ფორმა ძველ დროშიც გვხვდება. იჯარის ასეთ დაბალ ფორმას განეკუთვნება მიწის საღალედ გაცემა. გორის მაზრაში მცხოვრები 742 კომლი საეკლესიო გლეხიდან სხვადასხვა უწყების მიწას იჯარით ამუშავებდა 82 კომლი [118]. აქედან მხოლოდ მცირე მათგანს გააჩნდა საკუთარი მიწა, უმრავლესობა უმიწაწყლო იყო. იჯარით აღებული მიწისათვის გლეხები მოსავლის გარკვეულ ნაწილს უხდიდნენ მეპატრონეს, აღმოსავლეთ საქართველოში მას ღალა ეწოდებოდა, დასავლეთ საქართველოში — მოდი.

ზოგჯერ იჯარადარი უშუალო მწარმოებელთა მთელი საზოგადოება ან სოფელია. მაგალითად, 1825 წელს სოფლების — კირბალოს, თერე, ბერბუკისა და გორიჯვრის საეკლესიო მიწები და ვენახები წისქვილითურთ წელიწადში 10 მანეთად იყო იჯარით გაცემული [119]. გორის მაზრის სოფ. უფლისციხის საეკლესიო გლეხთა საზოგადოებას იჯარით მიეცა (1837 წ.) 100 დღ. სახნავი მიწა წელიწადში 25 მანეთად. თბილისის მაზრის სოფელ კუკიის 400 დღიური საეკლესიო სახნავი და საძოვარი მიწა იჯარით გაუციათ 100 მანეთად საეკლესიო გლეხების საზოგადოებაზე [120].

იმერეთში, სოფელ სადემეტრეოს მცხოვრებ 9 კომლს გააჩნდა 120 ქცევა ტყისა და არავარგისი მიწის ფართობი, ხოლო სახნავ-

სათიბად ჰქონდათ იჯარით აღებული სახაზინო მიწები, რისთვისაც ისინი ხაზინას უხდიდნენ „მოდის“ [121].

ეკლესია ასევე დაინტერესებული იყო ვენახისა და ხილის ბაღების იჯარით გაცემით. თუმცა აქ გაზაფხულსა და შემოდგომაზე სეზონურ სამუშაოებს კვლავ ის საეკლესიო გლეხები ასრულებდნენ, რომელთაც ამ ვენახების დამუშავება „ბეგარად ედოთ“, ანუ ევალებოდათ. საიჯარო ხელშეკრულების მუხლებში მითითებულია „რაც სოფელს ამ ზვრების მუშაობა აძევთ და უმუშავნიათ, ისე უნდა იმუშაონ“ [122]. როგორც ჩანს, სასულიერო მთავრობა უფრო მეტად მაინც ვენახისა და ხილის ბაღების იჯარით გაცემას ამჯობინებდა: „წლიური ანგარიშებიდან გამომდინარე, სასულიერო მთავრობის განმგებლობაში არსებული ბაღები უფრო დანაკარგით ხასიათდება, ვიდრე მოგებით და ამიტომ მათი იჯარით გაცემის მიზნით მიზანშეწონილია ამ საკითხზე განცხადების გამოქვეყნება“ [123], – წერია სინოდალური კანტორის ჩანაწერებში.

მიწა და განსაკუთრებით კი ვენახი, მუდმივ შრომასა და მზრუნველობას მოითხოვდა. საიჯარო ხელშეკრულების საბუთში სპეციალური მუხლი ეთმობოდა იმას, თუ როგორ უნდა მიეხედა მოიჯარეს იჯარით აღებული მიწისათვის. „საცა ცარიელი ადგილია დავბაროთ და ვაზი გადავაწვინოთ, ან ხეხილი გადასტყდეს სადმე, იმის ადგილს სხვა ხეხილი დავრგოთ, ძველი ვაზის ადგილიც გავაახლოთ, . . . ამასთანავე, მოგვბარდა ნონიწმინდის მარანი, რომელშიაც არის მსხვილი და წვრილი ქვევრი 27 და ესეც რიგიანად ვიხმაროთ, რომ არა წახდეს რა; არის ქვითკისრის საწნახელიც, თუ ამ საწნახელს გალესა მოუნდეს, ის ჩვენი ხარჯი იყოს, . . . და ამ ზვრებსვე, რომელსაც წისქვილი იჯარად ზედ აძევს და ორი თვალი ბრუნავს ერთ სახლში, ეს წისქვილიც ამ რიცხვშივე მოგვბარდა თავისის სახლით და განწყობილის რკინეულებით, და თუ წისქვილის რკინისეულის იარაღები დაინგრევა რამე და ან ბორბალი, ის ჩვენ უნდა გავაკეთებინოთ“ [124] და ა. შ.

ეკლესია მსხვილი მიწათმფლობელი იყო და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საეკლესიო გლეხებისათვის „სამკვიდროდ“ მიცემული სახნავსათესი მიწებისა და ვენახების გარდა იჯარით გასაცემი მიწების ფონდი, ე.წ. დაუსახლებელი მიწებიც ჰქონდა, მაგრამ იყო შემთხვევე-

ბი, როდესაც იგი ამა თუ იმ გლეხისათვის უკვე სამკვიდროდ მიცემული მიწის იჯარით გაცემას ლამობდა ან, პირიქით, ეკლესიისათვის საგლეხო კომლის შენარჩუნების მიზნით დაუსახლებელ მიწას უმიწაწყლო გლეხს სამკვიდროდ უმტკიცებდა. მაგალითად, კირბალოს საეკლესიო ყმა იოსებ აბალაკაშვილი მოითხოვს რა მიწას იჯარით, ჩივის რომ სხვა გლეხებმა ზოგიერთი საეკლესიო მამული სამემკვიდრეოდ მიითვისეს, მე კი მით სარგებლობის უფლებასაც არ მაძლევენო [125].

ზოგჯერ ეკლესია თავს არიდებდა რა დავას, ხელმძღვანელობდა მორალური ასპექტებით და გლეხისათვის „ნაამაგარი" საიჯარო მიწის წართმევისაგან თავს იკავებდა. რუისის ტაძრის დეკანოზის ზაქარია მამაცაშვილის ეგზარქოსისადმი მიწერილობაში ნათქვამია, რომ „რადგან მიცემული თქვენ მიერ თხელიძეთადმი ეკუთვნოდა უწინ საეკლესიო კაცს ელიკაშვილთა, უსამართლო იქნებოდა წართმევა ქონებისა" [126].

გორის მაზრის სოფელ უფლისციხის საეკლესიო ყმას ფარსადან ციტიკაშვილისათვის ვენახის ადგილი მცხეთის (განსვენებულ) დეკანოზს წაურთმევია და იჯარით მიუცია საეკლესიო ყმა ოგანეზ ტერტერაშვილისათვის. ფარსადან ციტიკაშვილს საჩივარზე მცხეთის ტაძრის დეკანოზი გიორგი ამირიძე აცნობებს არქიეპისკოპოსს, რომ ვინაიდან ტერტერაშვილი ამ მიწას უკვე ფლობდა 8 წელი და მასზე ციტიკაშვილს აქამდე პრეტენზია არ განუცხადებია, ამიტომ დავის აღმოსაფხვრელად ეს მამული ორივეს შუაზე გავუყევი და შევარიგეთ. შემდეგ ფურცლებზე კი სამღვდელო პირი თავის მოქმედებას იმით ასაბუთებს, რომ ამ 8 წლის მანძილზე ტერტერაშვილს „ვენახი აეშენებინა და ამაგი ჰქონდა" [127]. სხვაგან პირდაპირ არის მითითებული, რომ ნიქოზის ეპარქიის სოფელ ზემო ნიქოზის საეკლესიო ყმა პატარკაც ლომსაძე უარს ამბობს აღნიშნულ სოფელში მიწის მთლიანად იჯარით აღებაზე იმის გამო, რომ ამ მიწის ნაწილი 5 მანეთად სამკვიდროდ მაქვს დამტკიცებული განსვენებული მიტროპოლიტის მიერ, დანარჩენი კი იჯარით გაეცითო [128]. ამის შესახებ ნიქოზის არქიმანდრიტი ნიკიფორე ახალი ეგზარქოსის წინაშე აღძრავს შუამდგომლობას: „უმამულობის მიზეზით ეს გლეხი სხვაგან რომ არ გადასახლდეს და ეკლესიას არ დაეკარგოს, საიჯარო მიწიდან მივცეთ

მიწა სამკვიდროდ“ [129]. აქ საყურადღებოა ისიც, რომ მიწის იჯარით აღებას უმთავრესად უმიწაწყლო გლეხები მიმართავდნენ, რაც თავისთავად მცირემიწიანობის პრობლემით იყო გამოწვეული. მაგალითად, დავით, ლაზარე და ნიანია ოქრუაშვილებს (1843 წ.) იჯარით აუღია მხოლოდ 2 დღიური სახნავი მიწა 1 მანეთად; ზაქრო პაპანაშვილს – 1 დღიური 1 მანეთად; ანდრო ოქრუაშვილსაც ასევე. იაკობმა, მოსემ, დიმიტრიმ და გაბრიელმა /გვარი არ წერია/ 2 დღიური სახნავი მიწა აიღეს 1 მანეთად და 20 კაპიკად; გრიგოლ, ელიოზა და პეტრე პეციაშვილებმა – 1 დღიური 1 მანეთად და 20 კაპიკად; სოლომონ და იოსებ ხუციშვილებმა კი, ერთნახევარი დღიური 1 მანეთად და 20 კაპიკად მაგალითად, [130].

მოიჯარადრის მიერ გაწეული სამუშაოს მიხედვით, ბუნებრივია, იზრდებოდა მიწის ფასიც. მაგ: დუშეთის მაზრის სოფელ ჩამში 60 დღიური სახნავი მიწა და ტყე იჯარით ჰქონდა აღებული საეკლესიო გლეხს ბაკურს, რომელიც წელიწადში ეკლესიას 8 მანეთს უხდიდა. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, მიწის ფასმაც მოიმატა და იგივე გლეხი თანახმაა 8 მანეთის ნაცვლად ახლა ყოველწლიურად 25 მანეთი გადაიხადოს. როგორც საქმიდან ჩანს, სინოდალური კანტორა დაკმაყოფილებულა ასეთი გარიგებით და საეკლესიო გლეხს ბაკურს უვადო სარგებლობაში დაუტოვა მიწა [131].

ეკლესია, როგორც მეპატრონე მაინც უფრო მეტად დაინტერესებული ყოფილა მოკლევადიანი იჯარით. მოკლევადიანი იჯარა მეტ მოგებას ჰპირდებოდა მას. 1825 წელს სინოდალურ კანტორას გრძელვადიანი იჯარა გაუუქმებია კიდეც [132]. როგორც ჩვენ მიერ გამოვლენილი საარქივო საქმეებიდან ჩანს, იყო შემთხვევები, როდესაც იჯარით მიწის გაცემას ეკლესიის პარალელურად საეკლესიო გლეხებიც მიმართავდნენ. ისინი იჯარით გასცემდნენ როგორც საეკლესიო „სამკვიდრო“, ისე ნასყიდ მიწებსაც. მაგალითად, თბილისელ საეკლესიო გლეხებს სარქისა და ხოსრო მამასახლისოვებს თავიანთი სამკვიდრო ვენახი 12-წლიანი ვადით იჯარით გაუციათ საბატონო გლეხ ტატო ჭეშმარიტოვზე, რისთვისაც ამ უკანასკნელს მამასახლისოვებისათვის იჯარის ფასი 600 მანეთი გადაუხდია. მაგრამ, რადგან ამ დროისათვის სინოდალურ კანტორის მიერ გრძელვადიანი იჯარა გაუქმებული იყო, საეკლესიო გლეხ ჭეშმარიტოვს ამ ვენახით

სარგებლობის უფლება მისცეს მხოლოდ 4 წლით. როგორც მასალიდან ირკვევა იჯარის ვადის გასვლის დროისათვისს ჭუშმარიტოვს დარჩენილი 400 მანეთის უკან დაბრუნება მოუთხოვია [133].

საეკლესიო გლეხები იჯარით გასცემდნენ ნასყიდ ვენახებსაც. მაგალითად, გორის მაზრის სოფელ ნიქოზის საეკლესიო გლეხ ღვთისია კობერაულს თავისი ნახევარი დღიური ნასყიდი მიწა იჯარით გაუცია იქაურ ებრაელ არონ ელიშაკაშვილზე 75 მანეთად. ასევე თელავის მაზრის სოფელ არტოზანის საეკლესიო გლეხ მახარე ასპაშაშვილს 2 დღიური ნასყიდი ვენახი 6 მანეთად გაუცია იჯარით თავად ქობულაშვილების ყმა პეტრე ოსეფაშვილზე [134].

მოტანილი მასალა ადასტურებს, რომ თავიანთი მიწის ნაკვეთების იჯარით გამცემი გლეხები უშუალოდ მწარმოებლები კი აღარ იყვნენ, არამედ სხვისი შრომის გამოყენებით ცდილობდნენ მოგების მიღებას.

თუ იჯარის ამღები ორი ან მეტი პირი გამოჩნდებოდა, საჯარო ვაჭრობისათვის ქვეყნდებოდა „პუბლიკაცია" — განცხადება. ასეთი საჯარო ვაჭრობისას ვინც მეტ ფასს დადებდა, გამარჯვებაც მას დარჩებოდა. მაგალითად, მთელი წელი გრძელდებოდა დავა სოფლებში კირბალოში, მერეში, ბერბუკესა და გორიჯვარში მდებარე სამთავროს ეკლესიის კუთვნილ სახნავ მიწებსა და ვენახზე, საეკლესიო გლეხ იოსებ აბალაკოვსა და დეკანოზ ქრისტეფორე ანანიაშვილს შორის. ამ საეკლესიო მიწების ფართობი სულ 150 დღიური სახნავი მიწა და დღენახევარი ვენახი იყო. იჯარაში შედიოდა აგრეთვე ერთი წისქვილიც. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე თავდაპირველი საიჯარო გადასახადი 40 მანეთი იყო. წლების განმავლობაში მიწის ფასი გაიზარდა და იჯარის ვადის გასვლის დროს საეკლესიო გლეხმა აბალაკოვმა ეკლესიას საიჯარო ფასი 20 მანეთით მეტი შესთავაზა. მიწის თავდაპირველი მოიჯარადრე დეკანოზი წერს, რომ „ვენახზედ იჯარის თეთრის ტოლა ხარჯი მაქვს" და 10 მანეთით მეტის, ანუ 70 მანეთის გადახდაზე დაყაბულდა. საეკლესიო გლეხი კი თავისას ითხოვდა და დავის მორიგება ეკლესიამ სწორედ საჯარო ვაჭრობით გადაწყვიტა. „სამჯერ მოხდენის პუბლიკაციისა ქალაქსა შინა გორა და მის უეზდში დანიშვნითა რიცხვით გამოცხადებად ვაჭრობისათვის", იმ განზრახვით, რომ „რომელიც იჯარას მიუმატებს, იმას დარჩეს იჯარა" [135]. საქმის მომდევნო ფურცლებიდან ირკვევა, რომ „თქვენის გლეხმან მათ საეკლესიომან

აბალაკოვმა სოსიან პირველს იჯარას ამის მიერ შემოტანილს ექვს თუმანს მოუმატა ოცდახუთი რუბლი თეთრი ფული და გახადა რვა თუმან ნახევრად, კეთილ ინებოს მაღალ ყდ უსამღვდელესობამ თქვენმან და უბოძეთ ამას იჯარა მის საეკლესიო მამულებისა, ვინაითგან მსურველი და მომეტებული იჯარისა არავინ გამოჩნდა“ [136].

საარქივო მასალის გულდასმით შესწავლამ და ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საეკლესიო გლეხები მიწის იჯარით დამუშავებას მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების ან უმიწაწყლობის გამო კი არ ჰკიდებდნენ ხელს, არამედ გახშირდა შეძლებული გლეხის მიერ შემოსავლის წყაროს გაზრდის მიზნით სახნავი მიწებისა და ბაღ-ვენახების იჯარით აღების შემთხვევები. ჩვენ მრავლად შეგვიძლია ისეთი მაგალითების მოტანა, როდესაც მიწის იჯარით ამღები გლეხი თვითონ კი აღარ იყო უშუალო მწარმოებელი, არამედ დაქირავებული შრომის გამოყენებით, ან იჯარით აღებული მიწის წვრილ-წვრილ ნაკვეთებად დაყოფისა და მეორედ იჯარაზე გაცემის საშუალებით აწარმოებდა საბაზრო პროდუქციას. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული კირბალოელი საეკლესიო გლეხის იოსებ აბალაკოვის საქმიანობაც გამოდგება, რომელიც 150 დღიური სახნავ-სათესი მიწის, დღენახევარი ვენახისა და ერთი წისქვილის იჯარით ასაღებად გაზრდილი ფასის გადახდასაც არ მორიდებია. მაგალითად, სოფელ ხაშმში საეკლესიო გლეხებს სიმონ ქარუმიძესა და დავით ცხადაძეს ვენახი და წისქვილი 8 წლის ვადით აუღიათ წელიწადში 500 მანეთის ვალდებულებით. სოფელ ჩუმლაყში საეკლესიო გლეხს იოსებ იოვაშვილს 50 მანეთად ჰქონდა ვენახი აღებული [137].

სოფელ ძეგვში საეკლესიო გლეხი კიკოლა კვახიძე ვენახის იჯარაში 100 მანეთს უხდიდა ეკლესიას. სოფელ პატარძეულში საეკლესიო გლეხს ისაკოვს 72 მანეთად აუღია ვენახი. ორთაჭალაში იჯარით აღებულ ვენახებში საეკლესიო გლეხს ნავტიკოვს 103 მანეთი გადაუხდია, თომა მიზანდუკოვს კი — 80 მანეთად 6 ვენახი აუღია [138]. ასეთი დიდი საიჯარო ფასის გადახდა, ან ერთი კომლის მიერ რამდენიმე ვენახის იჯარით აღება გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში მოიჯარის მიზანი საბაზრო პროდუქციის შექმნა იყო და იგი ამ ვენახების დასამუშავებლად დაქირავებულ მუშახელს მიმართავდა,

მით უმეტეს, რომ განსაკუთრებით კვალიფიციური სამუშაოებისათვის დაქირავებული მუშახელის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო. ხშირად საეკლესიო ვენახების საიჯარო ხელშეკრულებებში სპეციალური მუხლით იყო გათვალისწინებული, რომ მუდმივი სამუშაოებისათვის მოიჯარეს გარკვეული რაოდენობის დაქირავებული მუშახელი უნდა ჰყოლოდა: „ეს ზვრები, როგორც კანტრაქტით შევკრულვართ, ისე ვიმუშაოთ 8 წლით, როგორც რიგია მოჯამაგირეები ჩავაყენოთ“ [139].

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალიდან ჩანს, რომ ასეთი პირობით მრავალ საეკლესიო გლეხს ჰქონდა აღებული ვენახი. მაგალითად, არქიმანდრიტ ნიკიფორეს მოხსენებაში სოფელ რუისის ვენახი 5 ნაწილად გაუყვიათ იმ პირობით, რომ მოსავლის ნახევარი დარჩებოდა ეკლესიას, ნახევარი მევენახესა (მებაღეს) და დაქირავებულ მუშებს [140].

სულ 1818 წელს მცხეთის ეპარქიაში (ქართლსა და კახეთში) იაჯრით გაუციათ 19 ვენახი, რომლისგან ეკლესიას მიუღია შემოსავალი 1665 მანეთის ოდენობით. ამათგან მარტო 1 ვენახი თბილისში 110 მანეთად ყოფილა იჯარით გაცემული [141].

წყაროები საეკლესიო გლეხთა საიჯარო ურთიერთობაში სახნავი მიწის დიდი ფართობის არსებობასაც ადასტურებენ. დიდი რაოდენობით სახნავი მიწები ჰქონდათ აღებული: სოფელ ზეგდულეთის საეკლესიო გლეხს 40 დღიური 15 მანეთად; თბილისის მაზრის ზემოავჭალის მკვიდრს, საეკლესიო გლეხს ეგნატე სუხიაშვილსა და მღვდელ ტურკაშვილს – 80 დღიური 36 მანეთად; დუშეთის მაზრის სოფელ ჭარის საეკლსიო გლეხს ბაკაურს 60 დღიური სახნავი მიწა 25 მანეთად აუღია იჯარით [142]; გორის მაზრის სოფელ დირბის საეკლესიო გლეხს –100 დღიური მიწა [143]; ბორჩალოს დისტანციაში ნასოფლარი – თამრგვალი, რომელიც თავისი სურვილის მიხედვით, „როგორც ემარჯვებოდა“ (საძოვრად, სათიბად ან სახნავად) ისე უნდა მოეხმარა; მეტეხელ საეკლესიო გლეხ ანდრია ბარნაბაშვილს სოფელ ზემო ხონდაკსა და ხოვლეს შორის მდებარე ხოდაბუნი 100 დღიური სარწყავი და 150 დღიურამდე ურწყავი სახნავ-სათესი მიწა იჯარით ჰქონია აღებული 55 მანეთად. იმავე სოფლის საეკლესიო გლეხები – იმერლიშვილი და გიორგაძე 40 და 30 დღიურ სახნავ

მიწას ამუშავებდნენ. საეკლესიო გლეხები შიო ყარაულაშვილი და ანდრია ჯაშიაშვილი ციეგომბორზე საძოვრების იჯარაში 220 მანეთს იხდიდნენ [144].

საეკლესიო გლეხთა საიჯარო ურთიერთობაში მიწის ასეთი დიდი ფართობის არსებობა მიუთითებს კაპიტალისტური წყობის ნიშნებზე და ეს გლეხები თავიანთი ეკონომიკური შეძლებით უფრო კულაკებს მოგვაგონებენ.

გარდა საეკლესიო მიწებისა, საეკლესიო გლეხები იჯარით იღებენ სხვა უწყების სახაზინო ან საბატონო მიწასაც. მაგალითად, იმერეთის სოფლების ოდილაურის, ჭოგნარის, კვახჭირის საეკლესიო გლეხები, რომლებიც სახაზინო მიწებზე ცხოვრობდნენ, ხაზინის სასარგებლოდ იხდიდნენ ღალას პურის მეათედ ნაწილს; ხოლო ღვინოს კი, ყოველწლიური მოსავლის ნახევარს. ამას გარდა, ისინი ეკლესიის ყმები იყვნენ და ეკლესიასაც უხდიდნენ საეკლესიო გადასახადს. მაგალითად, ოდიალურში მცხოვრები 10 საეკლესიო კომლი იხდიდა 50 მანეთს; ჭოგნარში 18 კომლი – 130 მანეთს; კვახჭირში 5 კომლი – 48 მანეთს [145].

1818 წელს გორის მაზრაში 724 საეკლესიო კომლიდან მხოლოდ საბატონო მიწას იჯარით (ღალით) ამუშავებდა 33 კომლი. [146]

მიწების იჯარით დამუშავების გარდა საეკლესიო გლეხები იჯარით იღებდნენ თევზსარეწებსა და დუქნებს, სამღებროებსა და წისქვილებს, თაფლის სანთლისა თუ კირის და აგურის ქარხნებს. მაგალითად, 1825 წელს სინოდალური კანტორა აქვეყნებს ცნობას მტკვარზე, არაგვზე და საფიჩხულესთან თევზსაჭერების იჯარით გაცემის თაობაზე, აღნიშნული თევზსაჭერების მსურველებიც გამოჩენილან. საეკლესიო გლეხ ავეტიკ სულოევს საფიჩხულესთან არსებული თევზსაჭერი წელიწადში 110 მანეთად საიჯარო საფასურით 4 წლის ვადით აუღია იჯარით, ხოლო მცხეთის მკვიდრ საეკლესიო გლეხებს ბეცია უჯერაშვილს, მოსე თათარაშვილს, კიკოლა თუშურაშვილსა და ზაქრო თარამონაშვილს მტკვარსა და არაგვზე აუღიათ თევზსაჭერები 6 წლით, წლიური 1010 მანეთი ვერცხლის საიჯარო საფასურით [147]. აღნიშნული თევზსაჭერები მოიჯარადრეებს შემდეგი პირობით ეძლეოდათ: 1) სრულად უნდა შეეტანათ ყოველწლიური შესატანი „დანარჩომის“ გარეშე. 2) სხვას არ უნდა ეწარმოებინა თევზსჭერა ამ ტერიტორიაზე.

3) მოიჯარადრეებს თვითონვე უნდა შეეკეთებინათ თევზსაჭერი და სხვ.

საიჯარო მუხლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამღებრო საქმესაც. იგი იჯარით გაიცემოდა ოსტატ-მღებავებზე, ნაწილობრივ, ვაჭრებსა და საეკლესიო გლეხებზე. მაგალითად, საგარეჯო — ნინოწმინდის სამღებრო 1841 წელს 4 წლის ვადით იჯარით აუღია საეკლესიო გლეხ იაკობ მოსიაშვილს, მას წელიწადში 200 მანეთი [148] ვერცხლით უნდა გადაეხადა. სოფელ კაკაბეთში ეკლესიის სამღებროს წელიწადში 120 მანეთად ამუშავებდა საეკლესიო გლეხი ზაქარია ავთანდილოვი. „ეს თეთრი სამს ტრეტზეც თავის ანგარიშით უნდა შემოვიტანო და შევასრულო 12 თუმანი თეთრი ფული ყოვლის მიზეზის შემოუტანელად და როდესაც ამ იჯარის ვადა შესრულდეს საეკლესიო სამღებრო ისევ თქვენ უნდა მოგაბარო" (ე.ი. ეკლესიას), —პირობას დებს საეკლესიო გლეხი [149].

ზოგჯერ საეკლესიო გლეხები ქარხნების მეპატრონეებიც ხდებიან. მაგალითად, თბილისელ საეკლესიო გლეხ ავეტიკ სულოევს იჯარით აუღია კრწანისის საეკლესიო მიწა წელიწადში 10 მანეთად. მას ამ მიწაზე უნებართვოდ აუშენებია კირისა და აგურის ქარხნები, მაგრამ რადგან ამ ქარხნებს მისთვის ვერავითარი მოგება ვერ მოუტანია, იჯარადარი 3 წლის განმავლობაში დაგროვილი 30 თუმნის გადახდას ვერ ახერხებს, რის გამოც სინოდალურ კანტორას უნებართვოდ აშენებულ ქარხნებზე „ეკონომიკური" ზედამხედველობა დაუწესებია [150].

სხვა საეკლესიო გლეხ ვართანოვს თბილისელი მოქალაქე ნარიზანოვისაგან 60 მანეთად ჰქონდა იჯარით აღებული აგურის ქარხანა 4 წლის ვადით. რადგან ეს ქარხანა ეკლესიის მიწაზე მდებარობდა, მას ეკლესიისათვის წელიწადში 5 მანეთი ვერცხლი უნდა ეხადა. 4 წლის მანძილზე ამ თანხას შეუდგენია 20 მანეთი, რაც ვართანოვს ვერ გადაუხდია. ამის გამო სინოდალურ კანტორას შეუჩერებია ქარხნის მოქმედება [151].

გავრცელებული ყოფილა დუქნების იჯარით აღებაც. მაგალითად, თბილისის საეკლესიო გლეხ გლახა მარკაროვს იჯარით აუღია რკინის იარაღების დამამზადებელი დუქანი 12 მანეთად 3 წლის ვადით [152].

1808 წლის აღწერით თბილისში მცხოვრები საეკლესიო გლეხების რაოდენობა, რომელთაც გააჩნდათ დუქანი, ჩვენი ანგარიშით 32

სულია. საფიქრებელია, რომ უმრავლესობას იგი იჯარით ჰქონდა აღებული და ჩვეულებისამებრ გარდა საოჯახო გადასახადისა, ეკლესიასაც უხდიდნენ გადასახადს 60 კაპიკიდან 1 მან.20 კაპიკამდე; გარდა ამისა, იხდიდნენ პოლიციის შენახვის ხარჯებსაც.

საეკლესიო საიჯარო ურთიერთობების მუხლებში დიდი ადგილი ეჭირა თაფლის სანთლის დამზადების საქმესაც. მაგალითად, სოფელ ცხინვალში თაფლის სანთლის გაყიდვის საქმე იჯარით აუღია მცხეთის ტაძრის საეკლესიო გლეხ იოსებ ბედნიძეს 1 წლით 45 მანეთის საფასურით. ასევე ქალაქ გორში მცხოვრებ საეკლესიო გლეხ იაკობ ნაზარაშვილს, სახაზინო გლეხ პეტრე დაბაღაშვილსა და თავად ამილახვრების საბატონო ყმას სტეფანე ხოხობაშვილს სანთლის გაყიდვის საქმე აუღიათ 1 წლის ვადით 110 მანეთად.

საეკლესიო გლეხთა შორის ხშირი ყოფილა წისქვილების იჯარით აღების შემთხვევებიც. მაგ., სოფელ ტატისსოფელში (ბორჩალოს დისტანცია) თბილისში მცხოვრებ საეკლესიო ყმას ნონია არუთინოვს წისქვილის ქვის საჭრელი ადგილი 5 წლით აუღია იჯარით, წელიწადში სამ თუმნად.

დაბოლოს, მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ საგლეხო მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები საქართველოში ერთგვაროვანი არ იყო. მართალია, გლეხური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების მრავალგვარობა ადრეული პერიოდისათვისაც იყო დამახასიათებელი, მაგრამ წინა პერიოდისაგან განსხვავებით, XIX საუკუნის I ნახევრიდან საეკლესიო მეურნეობაში ფეოდალური რენტის შემოჭრამ და გაბატონებამ, კიდევ უფრო დააჩქარა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, რასაც, თავის მხრივ, საგლეხო მეურნეობის გაფართოება და მიწათმფლობელობისა და მიწითსარგებლობის ისეთი არაბატონყმური ფორმების განვითარება მოჰყვა, როგორიცაა ნასყიდი და იჯარით აღებული მიწები. ასეთი მიწები უკვე XIX საუკუნის I ნახევრის ბოლოსათვის საეკლესიო მეურნეობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ნასყიდი და საიჯარო მიწების კონცენტრაცია, გლეხს მეურნეობის თავისუფლად გაძღოლის საშუალებას აძლევდა და ეს მეურნეობები თანდათან უფრო მეტად ავლენდნენ მსგავსებას წვრილბურჟუაზიულ ფერმერულ მეურნეობებთან.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის როლი საეკლესიო მეურნეობაში

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან საეკლესიო გადასახადების კომუტაციიდან გამომდინარე ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების როლი განუხრელად იზრდება. ნატურალური კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევის პროცესი ამ დროისათვის იმდენად შორს იყო წასული, რომ ზოგ შემთხვევაში გადასახადის გადახდას საეკლესიო გლეხები ფულით ამჯობინებენ. არის შემთხვევები, როდესაც საეკლესიო გლეხებს გაზრდილი ფულადი გამოსაღების გადახდაც შეუძლიათ. მაგალითად, იოანე ბოდბელის განცხადებით: „საეკლესიო ყმათა აწ ძალუძსა მათგან სასარგებლოდ ეკლესიისა წელიწადში სამას თუმანს თეთრსა ფულსა ზედა დაემატოს კვალად ორმოცი თეთრი ფული, რომელისაც ძალუძთ მათ ყოველ წელლს დაუმძიმებელად შემოტანა“ [153].

მართალია, XIX საუკუნის 30-იან წლებამდე ჯერ კიდევ ნაკლებად შეიმჩნევა საეკლესიო გლეხების ჩართვა სასაქონლო-ფულად ოპერაციებში, მაგრამ, ვფიქრობთ, მასზე საუბარი ინტერესმოკლებული არ იქნება პირველ 30-წლეულშიც.

იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანობას ეწეოდნენ საეკლესიო ყმები, ქალაქად — ვაჭრობასა და მრეწველობას, თუ სოფლად სოფლის სამუშაოებს, მკვლევრები გამსვლელ გლეხთა 2 ტიპს განასხვავებენ: მიწათმოქმედსა და არამიწათმოქმედს. სწორედ არამიწათმოქმედი საეკლესიო ყმები იყვნენ ქალაქად სავაჭრო და სახელოსნო საქმიანობით დაკავებულნი.

1818 წლიდან, როგორც ცნობილია, განხორციელდა საეკლესიო გადასახადების კომუტაცია. ცხადია, ფულადი რენტის შემოღება სასაქონლო წარმოების განვითარების მნიშვნელოვანი მასტიმულირებელია. იგი გლეხობას თავისი ნაწარმის ბაზარზე გატანისაკენ უბიძგებს, და ამით შინავაჭრობის განვითარებას უწყობს ხელს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და საბაზრო კავშირურთიერთობის განვითარებამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, შეცვალა ცალკეული სოციალური ჯგუფების ბედი. მართალია, ვაჭრობაში მოქალაქეებს უპირატესი როლი ჰქონდათ, მაგრამ ვაჭრობა საქართველოში არ ყოფილა რომელიმე

ფენის პრივილეგია. მოქალაქეთა შეფარდებითი წვლილი ვაჭართა საერთო რიცხვში ამ პერიოდიდან განუხრელად კლებულობს, გლეხთა ფენიდან გამოსული ყმა-ვაჭრები კი სულ უფრო მეტად იკავებენ ადგილს. შესამჩნევი იყო მათი ჩაბმა ფულის დაგროვების მიზნით სავაჭრო-კომერციულ ოპერაციებშიც, აგრეთვე სწრაფვა მიწაზე საკუთრების მოპოვებისა და პირადი თავისუფლების ძიებისაკენ.

გლეხის ვაჭრობაში მონაწილეობა, ცხადია, არ ნიშნავდა მის გავაჭრებას. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. მაგრამ საშინაო ვაჭრობის განვითარება იწვევდა გლეხთა მასის ჩამოყალიბებას, რომლის ძირითადი, ხშირად კი ერთადერთი წყარო საქონელგაცვლაში მონაწილეობა იყო.

ჩვენ არ შევცდებით თუ აღნიშნულ პერიოდში კაპიტალისტური ტენდენციის ნათელსაყოფად თბილისის მაგალითს მოვიტანთ. იმ დროისათვის თბილისი საქართველოსა და ამიერკავკასიის არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური ცენტრიც იყო და, ამდენად, იგი გარკვეულად უსწრებდა კიდეც მთელ მხარეს, თუმცა უეჭველად ამ მხარის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების გამომხატველიც იყო. სავაჭრო-სახელოსნო ფარდულების რიცხვმა აქ 1803 წელთან შედარებით 1826 წელს 99,5 %-ით მოიმატა, მაშინ როდესაც მოსახლეობა ამ ხანებში მხოლოდ 42,6 %-ით გაიზარდა [154]. სავაჭრო-სახელოსნო ფარდულების რიცხვის ზრდის შეფარდება მოსახლეობის ზრდის ტემპთან საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, ქალაქის განვითარების ტენდენცია ვაჭრობა-ხელოსნობის თვალსაზრისით.

საეკლესიო გლეხთა ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩართულობა კარგად ჩანს 1816 წლის აღწერის საფუძველზე [155]. აღწერაში ჩამოთვლილია ე. წ. საეკლესიო ყმა-ვაჭართა და საეკლესიო ყმა-ხელოსანთა გვარები. მათი დამოკიდებულება სასულიერო უწყებისადმი გამოხატული იყო სპეციალური გადასახადებით. თუ 1811 წლამდე ასეთი პირები ეკლესიას უხდიდნენ 2 გირვანქა სანთელს, 1811 წლის შემდეგ საეკლესიო გადასახადი წელიწადში 120 მანეთის გადახდას გულისხმობდა, (კომლზე საშუალოდ 4 მანეთი) ამას გარდა, არსებობდა საქალაქო გადასახადი მახტა, რომელიც წელიწადში სულ 100 მანეთს შეადგენდა და მას მოქალაქეთა მსგავსად საეკლესიო ყმებიც იხდიდნენ.

თბილისელ საეკლესიო ყმა-ვაჭართა გვარებია:

1. სოლომონ უზბაშევი
2. იოსებ ისაკოვი
3. ნიკოლოზ ფიროვი
4. დავით როინიშვილი
5. ნონია ოთარაშვილი
6. დავით ხუციშვილი
7. გოგია კარშაკოვი
8. ალავერდ დოვლათბეგოვი
9. ნონია დანელოვი
10. ნონია საკაშვილი
11. ოგანეზ ოკიმოვი
12. იოსებ პეტროვი
13. ნონია მუნტოევი
14. მიკირტუმ ტუხოვი
15. გურგენ ტუხოვი
16. იოსებ კვეზერელი
17. ანტონ ანტონაშვილი
18. ნონია დურვალოვი
19. პეტრუს კურკიოვი
20. ნონია კვეზერელი
21. სტეფანე შაგოვი
22. სიმონ ალავერდაშვილი
23. გაბო თეიმურაზოვიჩი

სხვადასხვა კუთხიდან თბილისში ჩასახლებული საეკლესიო ყმა-ვაჭრები:

1. ზუა ახშარუმაშვილი
2. პეტრე მეთუფშე თევდორაშვილი
3. მცხეთელი გლახა
4. გლახა მეწარმე ღვთისივარაშვილი
5. სირაჯი ნინია
6. დავით ბაყალი
7. ლაზარე ბაყალი
8. პეტრე ჭონი
9. სარაჯი გოგლა
10. ფარემუზ მედოლე
    მოსეს-შვილი
11. მისი ძმა გრიგორი
12. ბაქო მამულაშვილი
13. გოგია ფეიქარი
14. არუთინ ფეიქარი
15. თეიმურაზ მებაღე
16. ლაზარე კოვზიაშვილი
17. ნაზარ დარბაზელი
18. მისი ძმა ისაი
19. სტეფანე დარბაზელი
20. ნონია ბაყალი
21. ოსია დალაქი
22. მისი ძმა აკოფა
23. დავით ვართანასშვილი
24. მამია ბაყალი
25. ნონია ხალათასშვილი
26. გვარია ფეიქარი
27. გურგენ მეკოკისშვილი
28. მისი ძმა დავითი
29. გოგია, ნონიას ძმა
30. მაზმანი დათია
31. გიკა ჭონი
32. ასლან მაზმანიშვილი
33. ნონია დალალისშვილი
34. არუთინ სირაჯი
35. დალაქი დავითაშვილი

მამასახლის თომა შადინოვის განცხადებით, დასახელებული პირებიდან 12 საეკლესიო კომლი სიღარიბის გამო არ იხდიდა ფულად გადასახადს. მათთვის „ძველი პრეზენტი“ , ანუ ნატურალური გადასახადი დარჩენილა.

ზემოთ დასახელებულ აღწერაში გარდა ყმა-ვაჭრებისა, დასახელებულია ყმა ხელოსნებიც:

1. გოგია მეკონდახე
2. ოქრუა მეკონდახე
3. ვასილ ხარაზი
4. იოსებ ხარაზი
5. მისი კალატოზი ძმა
6. გელუა სირაჯი
7. გოგია ძამუაშვილი
8. იოსებ მებაკლიშვილი
9. იოსებ ხარაზი 2
10. ისაკ თოქმაჩის ობლები
11. რამაზ თაგვიაშვილი
12. დატუა სოსიაშვილი
13. ჩინი გლახა
14. ზურაბ მჩითავი
15. იორდან სარაჯი
16. მისი ძმა ანდრეი
17. სოლომონ ლალაზაშვილი
18. ირემა თაგვიაშვილი
19. ლაზარე კაცუაშვილი
20. გრიგოლ ანტონაშვილი
21. ანტონ გრძელიაშვილი
22. ბაზაზი ბეროასშვილი
23. სიმონ ფეიქარი
24. დავით მუნჯიშვილი
25. ბაყალი მელქო
26. გოგია დალაქი
27. მისი ნათესავი ქიტესა აბრამაშვილი
28. გოგია გიონაშვილი
29. ბადალი ხაბაზი
30. მჭედელი აკოფასშვილი
31. ხურო ზაზა გოლოვნელი
32. მეკონდახე ივანესშვილი
33. ფეიქარ გოგია ალიმბაროვის ობლები
34. ოქრომჭედელი ზურაბი
35. ბაყალი ავთანდილი
36. პეტრე ალადატოვი
37. შაქარ ხატუაშვილი
38. კარაპეტ და ხოსიტა ხატუაშვილი
39. ომან ღვინიაშვილის ობლები
40. ბალდასარ სარაჯი
41. ივანე და ოსიპ სამტელუაშვილები
42. სტეფანე მჭებრიშვილი
43. კუთხაშვილის ობლები
44. ივანე კოტეტოვი
45. ფარსადან ჩაჩანაკოვი
46. გეუა ხარაზიშვილი
47. არუთინ კირაკოზოვი
48. გრიგოლ კოტეტიშვილი
49. მურად ჭაჭანაკოვი
50. პეტროს ჭაჭანაკოვი
51. გოდერძი ბიჭიკოშვილი
52. გლახა ბურდულაძე
53. მამასახლისი კოგორა
54. დათუა ციციკაშვილი
55. გასპარ ციციკაშვილი
56. ციციკაშვილები 2 ძმა
57. დავით ჯეშვიაშვილი
58. კიკო კარაპეტაშვილი
59. ბერო მახარეშვილი
60. ტეტია საჩელიშვილი

სიაში არ არის შეტანილი კიდევ 42 კომლის გვარი, აღნიშნულია მხოლოდ მათი რაოდენობა. ამრიგად, სულ საეკლესიო გლეხ-ხელოსანთა რაოდენობა აღნიშნული აღწერის მიხედვით 102 კომლი ყოფილა, ხოლო საეკლესიო ყმა-ვაჭართა — 93 კომლი. თბილისელ ვაჭარ-ხელოსანთა რაოდენობა, რომლებიც სასულიერო უწყებას ექვემდებარებოდნენ, სულ შეადგენდა 195 კომლს [156].

სულ თბილისის მაზრის 21 სოფელში ცხოვრობდა 398 კომლი საეკლესიო გლეხი (582 შრომისუნარიანი მამაკაცი). მიწათმოქმედებით დაკავებული იყო 323 საეკლესიო კომლი, ხოლო დანარჩენი 75 კომლი დღიური სამუშაოებით ან ვაჭარ-ხელოსნობით ირჩენდა თავს [157].

გორის მაზრის მიხედვით კი ასეთი სურათი გვაქვს [158]. აქ 742 საეკლესიო კომლი (695 სული შრომისუნარიანი მამაკაცი) საქმიანობისდა მიხედვით ჩვენ მიერ დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

მხოლოდ მიწათმოქმედებით იყო დაკავებული	122	საეკლესიო	კომლი
მიწათმოქმედებითა და სხვა სამუშაოთი	400	“	“
მიწათმოქმედებითა და მესაქონლეობით	11	“	“
მიწათმოქმედებითა და ხელოსნობით	11	“	“
მიწათმოქმედებითა და მოხელეობით	8“	“	
მხოლოდ ხელოსნობით	26	“	“
მხოლოდ ვაჭრობით	17	“	“
მხოლოდ მესაქონლეობით	—		
მხოლოდ მოხელეობით	39	“	“
დღიური სამუშაოებით	48	“	“
მოჯამაგირეობით	11	“	“
ქველმოქმედებით	4	“	“

კამერალური აღწერები გვიჩვენებს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის სოციალურ სიჭრელეს, რაც შრომის საზოგადოებრივ დაყოფასა და სავაჭრო მიმოქცევის არსებობაზე მიუთითებს. თუ სოფლის მაგალითზე ხელოსნებისა და ვაჭრების ხვედრითი წილი საეკლესიო გლეხთა მასაში უმნიშვნელო იყო, ქალაქებში ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ. მაგალითად, ქ. გორში 1818 წელს ცხოვრობდა 83 კომლი (406 სული) საეკლესიო გლეხი. აქედან ვაჭრობაში ჩაბმული იყო 26 კომლი, ამათგან 17 კომლი მხოლოდ ვაჭრობით ირჩენდა თავს, ზოგიერთს გააჩნდა საკუთარი დუქნებიც 1, 2, 3, 4 ცალიც კი. ისინი ძირითადად ეწეოდნენ წვრილმან ვაჭრობას, წელიწადში საკუთარი დუქნებიდან იღებდნენ 12, 18, 48 მანეთს და მეტს. 9 კომლი ვაჭრობდა უმთავრესად სასმელებით, გააჩნდათ აგრეთვე ვენახის შემოსავალი წელიწადში 5-დან 15 კოკამდე, რაც უმთავრესად ნასყიდი ვენახებიდან ჰქონდათ. ჰყავდათ 2-დან 5-მდე მსხვილფეხა, ტვირთმზიდი პირუტყვი. ვაჭრები კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთსაც.

აღსანიშანვია, მცხეთის ტაძრის გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ თბილისში, მაგრამ ეკუთვნოდნენ სოფელ კრწანისს და წარმოადგენდნენ საზოგადოებას, რომელიც შედგებოდა 42 კომლი საეკლესიო გლეხისაგან. მათ გააჩნდათ საკუთარი ვენახები და ხილის ბაღები, სადაც მოჰყავთ 234 საპალნე და 20 ჩაფი ღვინო. 1818 წელს ხილის გაყიდვით აულიათ 621 მანეთი. ღვინიდან მიღებული შემოსავალი უცნობია. ეკლესიისთვის გადაუხდიათ ღვინის ფასიდან 182 მანეთი, ხილის ფასიდან 67 მანეთი. სულ 249 მანეთი ამას გარდა, როგორც თბილისში მცხოვრები საეკლესიო გლეხები, თითოეული კომლი იხდიდა 5 მან. ვერცხლით. რადგან ღვინის გაყიდვით მიღებული შემოსავალი ჩვენთვის უცნობია, ამიტომ ვიანგარიშებთ თუ რა მოგება დარჩა საეკლესიო გლეხს ხილის გაყიდვით. თუ ხილის გაყიდვით აღნიშნულ წელს მათ 621 მანეთი აიღეს და საეკლესიო გადასახდი 67 მანეთი გადაიხადეს, გამოდის, რომ მათ გადაუხდიათ მოსავლის გაყიდვით მირებული ფასის 1/10 [159]. თუ მათ საკუთრებაში დარჩენილ 554 მანეთს კომლთა რაოდენობაზე გავყოფთ, კომლზე საშუალოდ 13-14 მანეთს მივიღებთ. გამოდის, რომ ეს თანხა საეკლესიო გლეხის ხილის გაყიდვით მიღებული წლიური მოგებაა. ასევე ღვინით ვაჭრობდა თბილისელი საეკლესიო გლეხი ტიტულა ბეგალიშვილი, მას გააჩნდა

თავად ყოჩიბაშვილისაგან 50 მანეთად ნაყიდი 150 არშინი მიწა, რომელსაც 3 წლის განმავლობაში ამუშავებდა და მოწეულ მოსავალსს ყიდდა [160]. 6 დუქნის პატრონი საეკლესიო გლეხი გიორგი პატარკაციშვილი (4 სული) კი 106 არშინ მიწას ფლობდა; 100 არშინი მიწა გააჩნდა მარკიტანტ გიორგი აბატაშვილს (7 სული); 100 არშინი და 5 დუქანი გააჩნდა პეტრუზა ავეტიკაშვილს, იგი, ამასთან, დღიურ სამუშაოსაც ეწეოდა [161].

გარდა სასმელით ვაჭრობისა, საეკლესიო გლეხები ვაჭრობდნენ სხვადასხვა წვრილმანი და მსხვილი სამრეწველო ნაწარმით, პროდუქტებით. ვაჭრობას ეწეოდნენ სხვადასხვა სავაჭრო პუნქტებსა თუ დუქნებში. აწყობდნენ ბაზრობებსაც. სავაჭრო ნაწარმთა შორის იყო ბამბისა და სელის ქსოვილები, ღვინო, ხორბალი, თევზი, მარილი, რძის პროდუქტები და სხვა. მაგალითად, 1821 წ. ქ. თელავში სხვადასხვა ნაწარმით ვაჭრობდა 15 საეკლესიო გლეხი, სასმელით ვაჭრობდა 4, მარკიტანტია – 6, სულ ვაჭრობდა 25 საეკლესიო გლეხი. მათ მფლობელობაში იყო 17 დუქანი. ვაჭარ საეკლესიო გლეხთა უმრავლესობას საკუთარი დუქანი ჰქონდა. ზოგიერთს 5 და 6 დუქანიც კი. მაგალითად, ნინია ავეტიკაშვილის ქვრივს (3 სული) – 5 დუქანი ჰქონდა, ხაჩატურ ამირანაშვილს (6 სული) 6 დუქანი, გიორგი პატარკაციშვილს (4 სული) – 6 დუქანი. საეკლესიო გლეხები საეგზარქოსო კანცელარიაში ვაჭრობის უფლებისათვის გარკვეულ გადასახადსაც იხდიდნენ, სოსია და ვაკარ ოკინოვებსა და იაკობ მოსიაშვილს (1845 წ.) სასმელების გაყიდვისათვის კანცელარიაში 15 მანეთი შეუტანიათ [162].

ვაჭრობა და ხელოსნობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. საეკლესიო გლეხები სოფლის მეურნეობისაგან თავისუფალ დროს ოჯახში ამზადებდნენ საშინაო მრეწველობის სხვადასხვა ნაწარმს.

დავთრებში, ჩვეულებრივ, ოჯახური წარმოების ხელოსნობაში აღრევის ფაქტებსაც ვხვდებით. ხელოსანთა შორის ჩამოთვლილი არიან მეტყეველები, მეაგურეები, მჭედლები, დურგლები, მექვაბეები, მეუნაგირეები, სარაჯები, დალაქები, ფეიქრები, სულ 26 სახელწოდების დარგი [163]. სოფლის ხელოსნები და ვაჭრები დაკავშირებულნი იყვნენ აგრეთვე ახლომახლო ქალაქებთან, ერთი მხრივ, გამოდიოდნენ რა ქალაქელ

შემსყიდველთა აგენტებად, მეორე მხრივ, თვით ქალაქის ხელოსნები მიდიოდნენ სოფლად და იქ ეწეოდნენ ხელოსნობას.

სხვადასხვა დარგის ხელოსანთა რაოდენობა საეკლესიო გლეხთა შორის: ქალაქ გორში 1818 წლის აღწერით 84 კომლი ცხოვრობს, დღიური სამუშაოებით დასაქმებულია – 18 კომლი. თუ შევაჯამებთ ვაჭრობაში, ხელოსნობასა და დღიურ სამუშაოებზე დაკავებულ საეკლესიო გლეხთა რაოდენობას, მივიღებთ, რომ ქ. გორის მცხოვრები 84 საეკლესიო კომლიდან სამიწათმოქმედო, საბაღვენახე სამუშაოებით მსოლოდ 5 კომლია დაკავებული (აქედან 1 მცირეწლოვანია) [164]. მიწათმოქმედთა წილად ასეთივე მცირე რაოდენობით იყვნენ ქ. თელავშიც. აქ 1821 წლის აღწერით ჩვენ მიერ 74 კომლი საეკლესიო გლეხია დათვლილი. აქედან მხოლოდ ვაჭრობაში დასაქმებულია 25 კომლი საეკლესიო გლეხი, მხოლოდ ხელოსნობით – 38, დანარჩენი 11 კომლი მიწათმოქმედებასთან ერთად სხვა სახის სამუშაოებსაც ასრულებდა, მხოლოდ მიწათმოქმედთა რიცხვი კი აქაც ძალიან მცირეა [165].

იმპერიაში უკვე არსებულმა სავაჭრო კანონმდებლობამ საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდანვე განსაზღვრა ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება ვაჭრობისადმი საქართველოში. იგი საბაჟო სისტემის მოწესრიგებას, შიდა ბაჟების გაუქმების ცდებსა და ამით ვაჭრების წახალისებაში მდგომარეობდა. კანონმა შეღავათიანი ტარიფისა და თავისუფალი ტრანზიტის შესახებ 1822 წლიდან მძლავრი ბიძგი მისცა ვაჭრობის განვითარებას, რომლის მოქმედება 10 წლის ვადით იყო გათვალისწინებული.*

ცხადია, ყოველივე ამას ვაჭართა ფენის რაოდენობრივი ზრდა მოჰყვა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ცალკე აღებულ საეკლესიო ყმა-ვაჭართა პროცენტული მაჩვენებელი საუკუნის დასაწყისთან 144,7%-ით გაიზარდა [166], თუმცა რაოდენობრივი მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის წარმომადგენლებს ეჭირათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საეკლესიო გლეხთა რაოდენობა სხვა კატეგორიის გლეხებთან შედარებით მცირეა, ამასთან, როგორც კი ისინი ვაჭრობაში გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ, მაშინვე იწყებდნენ ბრძოლას პირადი თავისუფლების მოპოვებისათვის და ხშირად სახაზინო გლეხ-

თა კატეგორიაში ან მოქალაქეთა რეგისტრში გადასვლასაც ახერხებდნენ. ამდენად, წყაროებში ხშირად ძნელი, საეკლესიო გლეხის გარჩევა სახაზინო გლეხისა ან მოქალაქისაგან. წყაროებში დაცული მასალიდან ირკვევა, რომ ამ „აღრევას“ ზოგჯერ თვით საეკლესიო გლეხი უწყობს ხელს, მაგალითად, საეგზარქოსო კანცელარია ცდილობს გამოარკვიოს საეკლესიო გლეხი მიხეილ ისაკოვი, რომელიც მოქალაქედ აცხადებს თავს, რომ ნამდვილად საეკლესიო ყმად არის მოხსენიებული 1818 წლის აღწერაში [167].

საინტერესოა სავაჭროდ გამსვლელ საეკლესიო გლეხთა შესახებ წყაროებში დაცული მასალა სახელწოდებით: „საეკლესიო გლეხებისათვის სხვადასხვა საზღვარგარეთის ქვეყნებში სავაჭრო საქმიანობისათვის გასამგზავრებელი პასპორტების შესაძენად მოწმობათა გაცემის შესახებ“ [168].

30-40-იანი წლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად, შეღავათიანი ტრანზიტის წლებია, ამან კი დიდი სტიმული მისცა ვაჭრობას. იგი ადგილობრივი ბაზრების კარჩაკეტილობას არღვევდა და ამიერკავკასიას მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში აბამდა. თბილისი საქონლის დიდ საწყობად იქცა. აქ თავს იყრიდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ასევე ჩანდნენ ევროპელი და აზიელი ვაჭრებიც. ქართული საქონელი უხვად გადიოდა რუსეთის, ირანის და თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში.

წყაროებში დაცული მასალიდან ჩანს, რომ თბილისელი საეკლესიო გლეხები ვაჭრობდნენ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში — თელავში, სიღნაღში, თიანეთში, ახალციხეში, ყვარელში, შილდაში, დუშეთში, ყაზბეგში, გორში, ქუთაისში, ბორჩალოს დისტანციაში, ელიზავეტპოლში; რუსეთის ქალაქებში — მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, მოზდოკში, გეორგიევსკში, ვლადიკავკაზში, ასტრახანში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ანდრეევსკში, ევპატორიაში, ჩერკასკში, კიევში, ყიზლარში, სტავროპოლში და სხვ. თურქეთში — ყარსში, არზრუმში, ბითლისში, კონსტანტინეპოლში და ა.შ. სპარსეთში, ხოიში, ნუხში, თავრიზში, თეირანში.

განსახილველი ხანის წინა პერიოდში მახლობელი აღმოსავლეთის ვაჭრობას ირანი უძღვებოდა, ამის გამო საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ირანთან განსაკუთრებით ცხოველი იყო. XVIII საუკუ-

ნის მიწურულიდან მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და სავაჭრო ურთიერთობის აქცენტი ძირითადად რუსეთზე იქნა გადატანილი, მაგრამ ირანთან ვაჭრობას მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი ნედლეული ბამბის ძირითადი მომწოდებელი იყო. ირანის სხვადასხვა ქალაქიდან შემოდიოდა აგრეთვე, ბამბის ქსოვილები, ლურჯი საღებავი, ყავა, ნუში, პილპილი, ქიშმიში, სვია და სხვა წვრილმანი საქონელი.

თურქეთთან ვაჭრობა, ძირითადად, ყარსისა და ახალციხის მეშვეობით წარმოებდა. თურქეთის საზღვრებიდან — არზრუმიდან, ყარსიდან, ბითლისიდან, ახალციხიდან შემოდიოდა სხვადასხვა თავსაკრავები, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, ფოლადი, ტყვია, ნალები და სხვ. [169].

ქართველი ვაჭრები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ ყარსში, არზრუმსა და კონსტანტინეპოლში, მაგრამ თუ ირანთან ვაჭრობას (როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილად ითვლება) საქართველოსათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი, ძირითადად, სავაჭრო ნედლეულის მომწოდებელი, იყო თურქეთთან ვაჭრობა ერთგვარ გაორებულ ხასიათს ატარებდა: აღმოსავლეთ საქართველო მასში აქტიურ როლს ასრულებდა და საფუძვლიან სარგებლობას პოულობდა, დასავლეთ საქართველოსათვის კი იგი ხშირად საზიანოც კი იყო. აქ ტყვეთა სყიდვის სავალალო ფაქტები კვლავ შემორჩა. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ხშირი ომები აფერხებდა ვაჭრობის ნორმალურ განვითარებას. ამიტომ და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, რუსული საქონელი თბილისის ბაზარზე სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

საქართველოს რუსეთთან ორი ძირითადი სავაჭრო გზა აკავშირებდა, დარიალის ხეობით მოზდოკამდე და თბილის-ბაქო-ასტრახანის. საქართველოს რუსეთთან ვაჭრობის ძირითად ცენტრებს მოზდოკი და ყიზლარი წარმოადგენდა. აქედან საქონელი ჩაჰქონდათ ასტრახანში, ხოლო შემდეგ რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში; კერძოდ, რუსეთის ქალაქებში მოზდოკში, ყიზლარში, ასტრახანში. ქართველი და სომეხი ვაჭრების ურთიერთობას ისიც აადვილებდა, რომ აქ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართველ-სომეხთა კოლო-

ნიები არსებობდა. აგრეთვე არაერთი ცნობა არსებობს ქართული საქონლის „მაკარიევის იარმარკაზე" გატანის შესახებ. თბილისიდან ვლადიკავკაზში და აქედან როსტოვის გავლით ნიჟნი-ნოვგოროდამდე — ასეთი იყო გზა, რომელი გზითაც საეკლესიო გლეხები დადიოდნენ ცნობილ ბაზრობაზე. საქართველოდან შემოტანილ საქონელს შორის ყურადღებას იქცევდა დიდი რაოდენობით ბეწვეული, აბრეშუმი, თავსაფრები და ხელსახოცები. აქვე ყიდულობდნენ საქონელს და აგზავნიდნენ როსტოვში. როსტოვში ტვირთს ემატებოდა რკინის ნაწარმი, თევზი და ყველაფერი ეს სასაპალნე ტრანსპორტით საქართველოში ჩამოდიოდა [170]. ნიკო ნიკოლაძის რწმუნებით. ეს მგზავრობა ნახევარი წელი გრძელდებოდა და მნიშვნელოვან ხარჯთან იყო დაკავშირებული. ერთი ყუთი ტვირთის ტრანსპორტირება არანაკლებ 5 მანეთი (ვერცხლის ფული) ჯდებოდა [171].

საეკლესიო ყმა-ვაჭრები, ძირითადად, წვრილმანი საქონლით ვაჭრობდნენ. დაბალი ეკონომიკური დონე მათ ჯერ კიდევ არ აძლევდა მსხვილ სავაჭრო საქმეებში ჩაბმის საშუალებას. ამ მხრივ წამყვანი პოზიციები კვლავ მოქალაქეებს ეკავათ, მაგრამ უკვე აღნიშნულ პერიოდში მათთან კონკურენციაში საეკლესიო ყმებიც შედიან. გზის სიშორე, გადაზიდვისა და, მიმოსვლის ხარჯები, ყველაფერი ეს მხოლოდ დიდი საქონელბრუნვის მეშვეობით ანაზღაურდებოდა. ამიტომ საგარეო ვაჭრობაში ჩვეულებრივ ყველაზე შეძლებული და ყველაზე მოხერხებული ვაჭრები ებმებოდნენ. მაგალითად, საეკლესიო გლეხები: დავით ხარაზიშვილი, რომელიც „ფართლეულით ბითუმად ვაჭრობდა სპარსეთში", გიკო ერემსაშვილი: „დიდი ვაჭრობა აქვს სხვადასხვა ადგილებში". ასეთი დიდი ბრუნვისათვის აუცილებელი იყო ვაჭრობის რაღაც ორგანიზაცია. ვაჭრობაში ჩაბმა თავიდან მცირე კაპიტალით იწყება, ეს კაპიტალი თანდათან აქ ვაჭრობაშივე უნდა გაზრდილიყო. ამიტომ ვაჭრობაში ახლად ჩაბმულ პირთა ეკონომიკურმა სისუსტემ და მსხვილ ვაჭარ-კაპიტალისტთა, სხვადასხვა დარგის ვაჭრების, საიჯარო თუ სხვა საქმეში კაპიტალის განაწილების მისწრაფებამ გამოკვეთა შრომის ორგანიზაციის მეტად ხელსაყრელი ფორმა — ეს იყო სავაჭრო ამხანაგობები [172].

ამხანაგობები შედგებოდნენ ორი და მეტი, ზოგჯერ ათეული წევრისგან. მაგალითად, თბილისელი საეკლესიო ყმა სტეფანე ალა-

ვერდოვი 1823 წელს წერს: „ვინაიდან ვარ მე სხვის ვაჭრის ხელქვეშეთი და ვაჭრობ მე ანდრიას სოფელსა შინა“. საეკლესიო გლეხები საეკლესიო მოქალაქეებთან ან სახაზინო გლეხებთან ერთად მიდიოდნენ შორეულ ადგილებში. მაგალითად, ყმა ანტონ გრიქუროვი სავაჭროდ მიდის სპარსეთის ქალაქ თავრიზში სახაზინო კატეგორიის გლეხთან ერთად, ასევე შაქარა ღარიბოვი 1823 წელს მიდის სახაზინო გლეხ გაბრიელ კუზანოვთან ერთად „პრიკაზჩიკად“ კონსტანტინეპოლში. თბილისში მცხოვრები საეკლესიო მოქალაქე სიმონ ქაზუმბეგოვი კი წერდა: „მაქვს კომერცია ჩემს ამხანაგებთან, რომელთა მეშვეობით გამოვაგზავნე საკმაო თანხის საქონელი რუსეთში და რათა მე არ დავკარგო ჩემი საკუთრება, ამ საქონლის რუსეთში გაყიდვისას, გთხოვთ, იქ ჩემი ცხოვრების უფლებას კიდევ ერთი წლით“.

ხშირად საბუთებში არ არის მითითებული ორი ან მეტი კომპანიონიდან რომელია მთავარი, ისინი თანაბრად იხსენიებიან, სინამდვილეში არათანაბარი უნდა იყოს როგორც მათი ეკონომიკური მონაწილეობა, ისე ამ საქმეში მოგების წილიც. ჯგუფური გასვლის მაგალითია ერევანში 7 კაცის ერთად წასვლა. ესენი არიან გლახა ყარაჩოელი, ბერია მიხანიშვილი, გიორგი ბერიძე, ბერული ბერიძე, ესტერ მალიაძე, გიორგი მაღალაშვილი, ტატუა ათაბეგაშვილი [173]. საბუთები ჩვეულებრივ არ იძლევა იმის საშუალებას, ვიმსჯელოთ ამხანაგობებში ცალკეული წევრის მონაწილეობის ხარისხზე, მაგრამ როგორც ჩანს, ამხანაგობებს ჩვეულებრივად ჰყავდათ მეთაური, რომელიც ამ ამხანაგობის ორგანიზატორი და ძირითადი კრედიტორიც იყო და ჰყავდა რიგითი წევრები. ამხანაგობები, ამავე დროს, სავაჭრო ურთიერთობებში ახალი ფენების ჩაბმის ეფექტური საშუალებაც იყო. ეს ხელსაყრელი იყო იმითაც, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, გლეხი ჩერდებოდა ამა თუ იმ საგარეო-სავაჭრო ცენტრში, ხოლო ამხანაგობის სხვა წევრები მათ ადგილიდან ამარაგებდნენ შესაფერისი საქონლით და თავადაც იღებდნენ გამოგზავნილ საქონელს. წყაროებში დაცული მასალიდან ჩანს, რომ ერთი რომელიმე საეკლესიო ყმა სხვა ქალაქში მყოფი ძმისთვის, მამის ან ამხანაგისათვის ითხოვდა ახალ პასპორტს ვადის გაგრძელების მიზნით. აქვეა დაზუსტებული გამსვლელ გლეხთა ვადები. იგი ჩვეულებრივ 1 თვიდან 2 წლამდეა. ხშირად ისინი ბევრად უფრო მეტხანსაც დაჰყოფდნენ საკუთარი საცხ-

ოვრებელი ადგილიდან მოწყვეტით. მაგალითად, საეკლესიო გლეხი მერაბ გოგნიაშვილი, რომელიც 1821 წლიდან ვაჭრობდა სოფელ ანდრეევსკში, 1824 წელს წერს, რომ „რადგანაც (სამღვდელოებას) არ მოუთხოვია მისთვის

რო უწყებისათვის იყო განკუთვნილი და არგადახდის შემთხვევაში მას არ მისცემდნენ პასპორტს, ანუ ბილეთს არათუ საქართველოს ფარგლებს გარეთ, არამედ საქართველოს ფარგლებში გადაადგილების უფლებისათვის.

საკითხი მოწმობებისა და პასპორტების შესახებ სამოქალაქო მთავრობის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა. 1822 წელს სახაზინო ექსპედიციას სპეციალური მითითებაც [176] კი გაუცია ეგზარქოსისათვის, რომ როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისე საქართველოს ფარგლებში, საეგზარქოსო კანცელარიიდან გაცემული მოწმობა უნდა ყოფილიყო არა უბრალო, არამედ სპეციალურ ღერბიან ქაღალდზე ეგზარქოსის ხელმოწერითა და ბეჭედით დადასტურებული. მასში განსაზღვრული იყო შემდეგი პუნქტები: ა) რა მიზეზით მიდიოდა საეკლესიო ყმა — სავაჭროდ, სამუშაოდ, თუ პირადი საჭიროებისათვის. ბ) ჰყავდა თუ არა თავდები. გ) საეკლესიო გადასახადისა და სახაზინო შესატანის წინასწარი გადახდის პირობით.

მოწმობის მისაღებად საეკლესიო გლეხს ეგზარქოსის სახელზე უნდა შეეტანა „თხოვნა", რომ „მაქუის მიუცილებელი საჭიროებაი რა წარვიდე სავაჭროთა საქმეთა ზედა", „ან დავდგე მოჯამაგირედ", შემდეგ ჩამოთვლიდა თუ რომელ ქალაქში ან ქალაქებში აპირებდა გამგზავრებას, რამდენი ხნით, რისთვისაც დაწერდა: „უმორჩილესად ვთხოვ თქუენს მაღალღირსებას მომცეთ მე მოწმობაი მისაღებელად სამოქალაქოს მმართებლობისაგან წლის ბაშფორთისა" და ასახელებდა თავდებს: „შემთხვევასა შინა ვითარიმე ჩემზედა დავათასა თავდებად ჩემთვის წარმოვადგინო მამა ჩემი", ან ძმა ჩემი, ასეთივე სახის თხოვნა შეეძლო დაეწერა მამას ან ძმას, ძმისთვის, ან შვილისთვის, სადაც უთუოდ უნდა აღენიშნა, რომ „ვითარმე მას ზედა დავათასა ყოველსავე შინა ვიქმნები მე მის თავდები და ახლავე წარმოვადგენ თქვენის მაღალ ყდ სამღვდელესობას კანცელარიაში შესახვედისა ჩემგან ამ ჩყვმ-ის წლისათვის სასარგებლოდ ეკლესიისა ხარჯსა" და ასახელებდა შესატან თანხას, ვთქვათ, „ოცდათხუთმეტ მინალთუნს ვერხცლის ფულსა" და სხვ. მას შემდეგ რაც დაიწერებოდა ასეთი თხოვნა, თავდები ვალდებული იყო მოეგვარებინა წამსვლელის საშინაო საქმეები საეკლესიო გადასახადის შეტანა ეკლესიაში. ამის შემდეგ საეგზარქოსო კანცელარია გასცემდა მოწმობას, რომ ამ საქმეზე

სამღვდელოების მხრიდან არავითარი შეფერხება არ იყო და მხოლოდ ასეთი საბუთის „მოწმობის“ მიღების შემდეგ სახაზინო ექსპედიცია გასცემდა პასპორტს „თავისუფალი ცხოვრებისათვის“ დასახელებულ ქალაქებში. მაგრამ ბევრი საეკლესიო გლეხის თხოვნაში მაინც არ არის გამოკვეთილი თუ რა საქმეზე მიდიოდა იგი და ნათქვამი იყო მხოლოდ „პირადი საჭიროებისათვის“. ქვემოთ მოვიტანთ ფაქტს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ეს მომენტი შემდეგნაირად ავხსნათ: 1823 წ. 21 დეკემბერს თბილისელი ყმა სტეფანე ალავერდოვი 1 წლით მიდის სოფელ ანდრეევსკში და წერს: უმეცრებით მომივიდა, რომ დავწერე სავაჭროდ მივდივარო, რადგანაც სავაჭროდ მიმავალმა ვაჭარმა თბილისის ხაზინაში 50 მანეთი უნდა შეიტანოს, ხოლო მე უნდა დავდგე მოჯამაგირედ „გლეხკაცთ ბაშფორთისათვის ერთმევა მხოლოდ 5 მალანთუნი“ [177]. ცხადია, თუკი სტეფანე ალავერდოვმა იცის ასეთი დიდი სხვაობის შესახებ სავაჭროდ და სამუშაოდ წამსვლელის სახაზინო შესატანის ფასებს შორის, ეს ეცოდინებათ სხვა გლეხებსაც, ვფიქრობ, რომ სწორედ ამიტომ გლეხები თხოვნაში ხშირად არ აკონკრეტებენ რა სახის საჭიროებისათვის მიდიოდნენ. ამგვარი ფაქტები საეგზარქოსო კანცელარიასა და სახაზინო ექსპედიციაში, ალბათ, მოხელეთა მოსყიდვის გზით იჩქმალებოდა. გლეხისათვის ვადის გასვლის შემთხვევაში, ახალი პასპორტი უნდა გაეცათ იმ რიცხვით, რომელ რიცხვშიც ძველს ვადა გაუთავდა, რადგან ზოგიერთები (იგულისხმება საეკლესიო გლეხები), რომლებიც დიდი ხნით ცხოვრობდნენ მოშორებულ ქალაქებში, ახალ პასპორტს იღებენ არა ძველის ყავლის გასვლის დღიდან, არამედ მოგვიანებით და ამ შუალედში ხაზინა მნიშვნელოვან შემოსავალს კარგავდაო. ფინანსთა სამინისტრო ადგენს, რომ „... ახალი პასპორტი დასახელებულ საეკლესიო გლეხებზე უნდა გაიცეს არა უგვიანეს ძველის ვადის გასვლის დღეს“. ამასთან, „პასპორტები არ გაიცემა, ვიდრე ადგილობრივ საოლქო ხაზინაში მათ მიერ არ იქნება წარმოდგენილი თანხის შესაბამისი ოდენობა“, ნათქვამია ფინანსთა მინისტრის სახაზინო ექსპედიციისადმი 23 აპრილის (1824 წ.) მიწერილობაში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული თანხა გლეხის მიერ ორ კვირაში არ იქნებოდა შეტანილი სახაზინო ექსპედიციაში, მაშინ არათუ ახალი პასპორტი გაიცემოდა,

არამედ ასეთ გლეხებს გამოასახლებდნენ თბილისში, როგორც „წერილობითი საფუძვლის გარეშე იქ მცხოვრებთ“ [178].

გლეხები, რომლებიც პირველად მიდიოდნენ საზღვარგარეთ გამოუცდელობის გამო მრავალ სირთულეს აწყდებოდნენ. სიღარიბე, დამცირება, ვალები, ასეთი მიზეზებით ჭიანურდებოდა იქ ყოფნის დრო და, შესაბამისად, რთულდებოდა უკან დაბრუნებაც. საინტერესოა ამ მხრივ საეკლესიო გლეხის მერაბ გოგნიაშვილის ისტორია. იგი 1821 წელს 6 თვით წასულა სოფელ ანდრეევსკში (დაღესტანი) სავაჭროდ, მის „კუთვნილთა ნივთთა, ღვინისა, არყისა და სხუმთა ხორაგთა და სხვადასხვისა ჭურჭულისა და ეგრეთვე მოპოვებულისა მისგან მუნ სყიდვით ცარიელისა ადგილისა და სამთა ხართა“ გასაყიდათ, რათა მევალეებისათვის ვალი გადაეხადა, „მაგრამ მცირე ფასი უძლევიათ მსყიდველთა ზემოთ აღნიშნულსა მისისა მამულისათვის, გაჰყიდა მან მხოლოდ ღვინო, არაყი და ხარები და რათამცა არ ყოფილიყო უსაქმოდ, აუშენებია მას მიწასა ზედა მიკიტნის დუქანი“ 1824 წლამდე, ე. ი. 3 წლის განმავლობაში არ გამოჩენილა და მისი შესატანი ყოველწლიურად 5 მანეთი ვერცხლი არ გადაუხდია. გლეხ გოგნიაშვილს ვერ მოუხერხებია ამ ხანებში ვალების დაფარვა, ვერც თავისი იქაური ქონება, ბაღი, დუქანი გაუყიდია და ვალებში ჩავარდნილი ეკლესიას წერდა, რომ „უქონლობისა გამო თეთრისა გადახდა არ შეუძლიან“ საეკლესიო გადასახადისა. არქიმანდრიტი ელეფთერი შუამდგომლობს გლეხს, რომ იგი დაბრუნდეს თავის სოფელ ჯიმითში, „მცნობნი“, ე.ი. ნაცნობები ჰყავს და იქნებ ასესხონ ფული „ეკლესიისა რაცა მართებს, წინააღმდეგ შემთხვევასა შინა მას მისცემს თვისა პასუხიმგებლობასა“ [179]. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ საეკლესიო გლეხს გადასახადის გადაუხდელობისათვის, თუნდაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონოდა, მაინც პასუხს აგებინებდნენ. სამწუხაროდ, საქმიდან არ ჩანს თუ რა სასჯელი იყო დაწესებული ასეთი შემთხვევისათვის.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან განსაკუთრებით იმატა გადასახადის გადახდის უნარსმოკლებული მოსახლეობის რიცხვმა, რასაც თან ერთვოდა მიწის შიმშილის გამწვავებაც. „მაწანწალათა და თვითნებურად ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებულთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა“. 1830 წლის 24 ივნისს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიაში (მათ შორის საქართველოში) მცხოვრებთათვის „არყ-

ოფნის პასპორტების გაცემის შესახებ“, რითაც შეიზღუდა საცხოვრებელი ადგილიდან თვითნებური გადაადგილება. დებულებაში ნათქვამია, რომ გლეხი, რომელსაც არ ექნებოდა სათანადო საბუთი, პირველ შემთხვევაზე დაისჯებოდა 20 წკეპლით, ხოლო მეორე ჯერზე გასამართლებდნენ. პასპორტის გარეშე სამუშაოზე ამყვანიც ისჯებოდა. პასპორტის, ანუ წერილობითი ფორმის შემთხვევაში გლეხებს უფლება ჰქონდათ 1 თვიდან 6 თვემდე ემუშავათ დაქირავებულ მუშებად [180]. აღნიშნული ღონისძიების მიზეზი ის იყო, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პერიოდში გლეხები თავს არიდებენ გადასახადებს და თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან მოწყვეტით ცდილობდნენ თავის რჩენას.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ კომუტაციამ, ერთი მხრივ, დააჩქარა საბაზრო-სასაქონლო ურთიერთობის განვითარება და გლეხობის, მათ შორის საეკლესიო გლეხის ჩართვა ამ პროცესში. მეორე მხრივ, ისინი ფულის შოვნის მიზნით მიდიან სხვადასხვა და ზოგჯერ შორეულ ადგილებშიც, კოტრდებიან, ვალებში ვარდებიან, დაქირავეულ მუშებად, მოჯამაგირეებად დგებიან. ყოველივე ეს ქმნიდა სამუშაო ძალის ბაზარს, მარტივი სასაქონლო წარმოებიდან კაპიტალისტურზე გადასვლის წანამძღვრებს და ხელს უწყობდა ფეოდალური წყობილების წიაღში კაპიტალისტური წარმოების ზოგიერთი პირობის შექმნას. ამ ბუნებრივი მოვლენის გვერდის ავლა არ შეიძლებოდა.

ამრიგად, მთავრობა ცდილობს ერთგვარად მოაწესრიგოს ვაჭრობის საქმე, დროულად გასცეს ბილეთები, 30-იან წლებში უკვე პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა შინაფეოდალური ბაჟების გასაუქმებლად, ყოველივე ეს თითქოსდა ვაჭრობის ხელშეწყობა იყო, მაგრამ ამას არსებითად რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ბალანსზე არ უმოქმედია. 1831 წლიდან იწყება თავისუფალი ტრანზიტის აკრძალვა. ამ დროიდან ვაჭრობა დაღმავალ ხაზს დაადგა, მიუხედავად ამისა, როგორც ეს ბარონ როზენის იუსტიციის მინისტრისადმი მიმართვაშია ნათქვამი: „მოქალაქეები არათუ ღარიბდებიან, არამედ მათი კაპიტალი საგრძნობლად იზრდება და არა მხოლოდ ვაჭრები,გლეხობიდან გამოსული წვრილი მრეწველები და ხელოსნებიც კი გამდიდრდნენ, მსგავსად სხვა ქალაქებსა და თვით სოფლებშიც ვაჭრობა და მრეწველობა ფრიად საგრძნობია. 1837 წლის 2 მარტს გატარებულ იქნა კანონი

[181], რომლის ძალითაც სავაჭროდ, ან სამუშაზე გამსვლელი საეკ-ლესიო გლეხები სახაზინო ექსპედიციის ბრძანებით გათავისუფლდნენ სახაზინო გადასახადისაგან. 40-იანი წლებისათვის თბილისში ქართუ-ლი წარმოშობის ვაჭარ-ხელოსანთა გვარები, რომლებიც საეკლესიო უწყებას ეკუთვნოდნენ, 211-ია, ესენია:

1. გლახა კვესაძე
2. აბრამ სულხანიშვილი
3. სოსია კულუჩისშვილი
4. სიმონ მინდიაშვილი
5. ოქროპირ ცომაია
6. იოსებ კანცუაშვილი
7. გიორგი შავიანიძე
8. იოაკიმ არჯევანიძე
9. ილარიონ კაციტაძე
10. ნინია თეთრაძე
11. სოლომონ გიორგობიანი
12. ნინია ხუდაშაშვილი
13. დავით ზარიევი
14. გოგია თუმანიშვილი
15. ივანე კოტეტოსშვილი
16. იოსებ არჯევანიძე
17. სოსია მარდალაშვილი
18. ივანე ჩილაკაძე
19. ვასილ შიოევი
20. ივანე ჯორჯალაძე
21. ზაქარია ონიკოვი
22. გიორგი მანსურაძე
23. პავლე ნაზაროვი
24. სოსია მანსურაძე
25. სოლომონ კუჭუხიძე
26. ივანე მამულოვი
27. ივანე ხიმშიევი
28. ლაზარე დეკანოზოვი
29. სოსია ლომუევი
30. ზაქარია ელიზბაროვი
32. რევაზ უნანოვი
33. დიმიტრი ჯაველოვი
34. ისააკ ტბელიაშვილი
35. კიკოლა ბანაშევი
36. სოლომონ შერმაზანოვი
37. იაკობ შოშიასშვილი
38. გიორგი ნაისურაძე
39. ზაქარია ბეჟანოვი
40. გიორგი ფორაქოვი
41. მიხეილ ონანოვი
42. ივანე დალაქიშვილი
43. ანტონ კაცაცოვი
44. პეტრე სუხიტოვი
45. იოსებ განჯალაძე
46. გიორგი ოქროევი
47. სოლომონ უტარნოვი
48. თევდორე აივასუროვი
49. ზურაბ ბერაძე
50. მიხეილ კობალაძე
51. ვასილ არდაზიანოვი
52. ნიკოლოზ აღნიევი
53. ივანე ამილბაროვი
54. იოსებ დარისპანაშვილი
55. გიორგი სულაძე
56. ივანე მამულოვი
57. სვიმონ აფრასიონოვი
58. სოლომონ დეკანოზოვი
59. იოსებ ნადირაძე
60. ნინია თხელიძე
61. გაბრიელ მიქელაძე
62. გიორგი გაბოევი

31. ალაკეერდი სულოვი
63. მიხეილ ალნიევი
64. ივანე მაისურაძე
65. გიორგი ქკრივისშვილი
66. ივანე კვეზეროვი
67. ნოდარ ბერიანიძე
68. სიმონ მანთაშევი
69. ზაქარია ბაკაროვი
70. თედია სოლომონოვი
71. ანდრია მსუქანოვი
72. გიორგი სოსიაშვილი
73. მოსე შათიროვი
74. სიმონ ბაგატოვი
75. პეტრე ხეჩაკაძე
76. იოანე პეკუსაშვილი
77. ანდრეი ზაზანასშვილი
78. ივანე თოფუროვი
79. პაშა კვეზერელოვი
80. ანდრია ჩოჩიაშვილი
81. იორამ ფარადაიშვილი
82. გიორგი დალაქისშვილი
83. ზურაბ ახპეროვი
84. მიხეილ კოტეტაშვილი
85. გიორგი ხუციშვილი
86. მიხეილ ხუციშვილი
87. გიორგი მანთაშევი
88. ზაქარია მანთაშევი
89. სოლომონ მაისუროვი
90. ქაიხოსრო ბეგიევი
91. ლაზარე მორჩილაძე
92. კონია ჯაიროვი
93. სოლომონ ლამაზოვი
94. რამაზ ლამაზოვი
95. იოსებ იაშვილი
96. ქიტესა ბიბილუროვი
97. ივანე გუგუნოვი
98. პეტრე გეორგისშვილი
99. ზაქარია დეკანოზოვი
100. ალექსეი ძეგვალოვი
101. მიხეილ დავიდოვი
102. ეგნატე ლამაზოვი
103. ივანე მიხაელოვი
104. გიორგი დავიდოვი
105. მიხეილ რაზმაძე
106. ზაქარია ივანოვი
107. გიორგი თევდორესშვილი
108. დემეტრე ორბეთაშვილი
109. ისაკ ყირიმელაშვილი
110. ზურაბ პეტრესშვილი
111. იოსებ ქიტუაშვილი
112. გლახა ქიტუაშვილი
113. იასე ჯაღატასშვილი
114. პეტრე ქიტოშვილი
115. მიხეილ ხმალაძე
116. ივანე ოქრუასშვილი
117. გიორგი ნინიევი
118. დიმიტრი სოსიევი
119. გაბრიელ კოდანასშვილი
120. ზაქარია ზაალოვი
121. გლახა მანანასშვილი
122. ზაქარია ზაზანასშვილი
123. სოლომონ ქიტუაშვილი
124. გიგოლა მჭედლიშვილი
125. გარსევან ზაზანაშვილი
126. იოსებ ქართველიშვილი
127. იასე საღარაშვილი
128. იაკობ ქართველიშვილი
129. გიორგი დათიასშვილი
130. ქიტესა მოლასშვილი
131. სოსია ხუროსშვილი
132. ..... სიმონოვი
133. ისაკ ხახაშვილი
134. შიო საღირაშვილი
135. გაბრიელ ხახასშვილი

სულ 1848 წლის კამერალური აღწერით თბილისში მცხოვრები ქართული წარმოშობის საეკლესიო გლეხთა რაოდენობა 135 კომლია [182]. გარდა ამისა აღწერაში მითითებულია 235 კომლის გვარი, რომლებიც სომხურ საეკლესიო კომლებად იწერებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი კუთვნილება დაფიქსირებულია მცხეთის სიონის, ქვათახევის, ატოცის ტაძრებისადმი.*

კომლთა აღნიშნული რაოდენობა ჩვენ მიერ დამუშავებულია მათი საქმიანობისდა მიხედვით და წინა პერიოდის აღწერებთან შედარებისას ასეთ სურათს გვაძლევს:

ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა	1823 წელი	1834 წელი	1848 წელი
მეთევზე	12	6	–
ხელსაქმით დაკავ.	29	41	–
მეაბრეშუმე	18	2	2
მეწაღე	36	38	24
ქვის მთლელი	13	10	15
მოჯამაგირე	9	–	12
მეჭედე	26	–	–
მკერავი	40	20	29
პრიკაზჩიკი	6	–	6
მქსოველი	10	9	2
მეწისქვილე	7	5	–
მექოთნე	7	5	–
მარკიტანტი	16	27	11
დაბალი	11	–	–
მეჭურქე	10	15	12
მეეტლე	2	–	–
მჭედელი	18	–	16

მესანთლე	9	5	4
მეთამბაქოე	4	1	1
ხაბაზი	10	11	3
მედუქნე	31	–	–
დამტარებელი	4	–	1
მზარეული	1	1	2
მკალავი	3	9	5
ოქრომჭედელი	11	–	7
ხურო (დურგალი)	7	19	17
დალაქი	7	5	5
მლესავი	1	–	–
მებარე	30	24	11
დანა-ჩანგლის ოსტატი	6	7	–
ბაყალი	22	4	–
სიმების ოსტატი	1	–	–
მხატვარი	3	4	–
მეუნაგირე	5	4	9
ტიკების ოსტატი	1	–	–
ყასაბი	6	3	–
მლებავი	3	3	7
თოკის მკეთებელი	2	–	–
მეწაღე	1	–	–
მეშუშე	1	2	–
მიკიტანი	–	1	–
მესაპნე	1	1	1

მეაგურე	–	3	–
მესაათე	–	1	–
მელვინე	–	3	–
მეიარაღე	–	4	4
მეჭურჭლე	–	–	4
მეაფთიაქე	1	1	1
აგურის ქარხნის მუშა	1	1	1
მნიშვ. თანხით მოვაჭრე	4	18	–
საზღვარგარეთ მოვაჭრე	5	–	–
წვრილმანი ვაჭარი	45	24	32
ღვინით მოვაჭრე	3	10	25
თევზით მოვაჭრე	3	–	1
ცხენებით მოვაჭრე	2	–	–
ბოსტნეულით მოვაჭრე	–	–	19
მიწათმოქმედი (შინამეურნე)	–	26	15
დღიურ სამუშაოზე	–	54	–
წერა-კითხვის მასწავლებელი	12	3	–
მოწაფე	1	–	–
მსახური	27	–	–
თავისი ქონებით მცხოვრები	8	–	–
მწყემსი	2	11	–
დარაჯი	–	–	1
ღარიბი	–	4	–
ს უ ლ	480	484	370

როგორც ჩვენ მიერ მოტანილი მასალიდან ირკვევა, XIX საუკუნის დასაწყისიდან საეკლესიო გლეხები ინტენსიურად იყვნენ ჩაბმული სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობაში, რაც განსაკუთრებით ქალაქებში მცხოვრებ გლეხებზე ითქმის. უკვე ამ დროისათვის როგორც თბილისელი, ისე სხვა ქალაქების — გორის, თელავის და სხვ. საეკლესიო გლეხების შემოსავლის უმთავრეს წყაროს მიწათმოქმედება კი აღარ წარმოადგენდა, არამედ ამ გლეხების აბსოლუტური უმრავლესობა სავსებით მოწყვეტილი იყო მიწათმოქმედებას და ვაჭრობა-ხელოსნობით იყო დაკავებული. ფულად-სასაქონლო ურთიერთობის შემოჭრისა და გლეხობის დიფერენციის შედეგად მომხდარი ასეთი სპეციალიზაცია, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მათ შორის მიმდინარე დიფერენციის პროცესების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებასა და დაჩქარებას.

მცირემიწიანობის პრობლემა და სოციალური დიფერენციაცია

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათსა და ტენდენციებზე მსჯელობისას განსახილველი პერიოდის საქართველოს საშინაო ცხოვრებაში თვალშისაცემია შემდეგი ცვლილებები: ფეოდალური საკუთრების მოშლა, ერთი მხრივ, მსხვილი საბაზრო პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობის წარმოშობა, მეორე მხრივ, მცირემიწიანობის პრობლემა, გლეხთა ბატონყმობიდან თავდახსნის პროცესი, სოფლის მშრომელი მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის დაწყება, დღიურ სამუშაოებზე გამსვლელთა მომრავლება, დაქირავებულ შრომაზე გადასვლა და ა.შ. ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა მხოლოდ გარედან შემოტანილი როდია. არ არსებობს პრინციპული განსხვავება XVIII საუკუნის მიწურულისა XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს შორის — „საქართველოს რუსეთთან შეერთებას არ შეუცვლია ქვეყნის განვითარების ხასიათი და მიმართულება, მხოლოდ მეტი სიღრმე და სისწრაფე მისცა მას“ [183].

ნატურალური მეურნეობის რღვევის სისწრაფე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან შეინიშნებოდა. ფულადი საგადასახადო სისტემის შემოღებამ, რომელ-

იც სასაქონლო წარმოებისა და შინაგანი ბაზრის განვითარების შედეგი იყო, ბიძგი მისცა ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ პროგრესს. 30-40-იანი წლების სიახლენი კარგად აქვს შენიშნული 1847 წელს შედგენილი ერთ-ერთ უსახელო ავტორს [184], რომელიც ყურადღებას ამახვილებს ამ პერიოდში დიდი რაოდენობით უმიწო გლეხების არსებობაზე. ასეთი გლეხები თავისი შრომით ირჩენდნენ თავს სოფლადვე სხვის მამულში, ან ქალაქებსა და დაბებს მიაშურებდნენ; აქ ლაპარაკია არა მხოლოდ გლეხების საშოვარზე დროებითი წასვლის შესახებ, არამედ მიწისგან მათ მთლიან მოწყვეტაზე, რაც ე.წ. პირველადი დაგროვების ერთ-ერთ არსებით მხარეს წარმოადგენდა.

ამავე პერიოდში ადგილი აქვს გლეხთა ფენაში ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავებას. გლეხების განსხვავებული მატერიალური მდგომარეობა, რაც, ძირითადად, მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობისა და მისგან მოწეული მოსავლის მიხედვით განისაზღვრებოდა, ყოველთვის ქმნიდა ქონებრივი დიფერენციაციის საფუძვლებს, მაგრამ ქონებრივმა უთანასწორობამ გლეხთა ფენაში განსაკუთრებით გამოკვეთილი ხასიათი XIX საუკუნის 40-იან წლებიდან მიიღო.

კამერალურ აღწერათა ნუსხები მთელ რიგ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ერთადერთ ღირებულ წყაროს წარმოადგენს გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის სურათის საჩვენებლად. აქ მოცემულია კომლთა რაოდენობა, სახნავი მიწების ფართობი, ვენახი, უფრო იშვიათად მოცემული არის კომლის სულადობა, მოწეული მოსავლისა და მუშა-პირუტყვის რაოდენობა და სხვ. გლეხების ეკონომიკური დიფერენციაციის საკითხისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა ნიშნების მიხედვით ახდენდა კლასიფიკაციას ქართული ფეოდალური კანონმდებლობა. პირველ რიგში, გლეხთა ეკონომიკური ჯგუფების გამოსავლენად, მნიშვნელობა ჰქონდა მიწის ფართობისა და კომლის სულადობრივ შეფარდებას [185]. მოგვეპოვება ისეთი დავთრებიც, სადაც ცალკეულ კომლებს მათი ეკონომიკური შეძლების აღმნიშვნელი მინაწერებიც აქვთ. მაგალითად, გორის მაზრის სოფელ სამთოვკევის საეკლესიო ყმა სოსია მჭედლიძე იმდროინდელი სტატისტიკური აღწერით ითვლება მდიდარ ყმად. მას ჰყავდა 6-სულიანი ოჯახი, ჰქონდა სახლი და 12 დღიური საეკლესიო მიწა, მოჰყავდა 100 კოდი პური, ჰქონდა 1

დღიური ვენახი. საიდანაც არ ჰქონდა შემოსავალი, სამაგიეროდ ჰყავდა 12 ხარი და ძროხა, 1 ცხენი და 100 ცხვარი. კამერალურ აღწერაში მოცემულია სოფელ ჩალაში გიორგი ბუზალაშვილის 5-სულიანი ოჯახის აღწერილობაც: მას ჰქონდა სახლი, 10 დღიური მიწა, მოჰყავდა 100 კოდი პური, ჰქონდა 1 დღიური ვენახი, მოჰყავდა 20 კოკა ღვინო, ჰყავდა 2 სკა ფუტკარი და 6 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ითვლება საკმაოდ შეძლებულ ყმად. ასევე ტეტია ღვინიძის 3-სულიანი ოჯახი, რომელსაც ჰქონდა სახლი, 15 დღიური მიწა, სადაც მოჰყავდა 150 კოდი პური; 1 დღიური ვენახი, მოჰყავდა 20 კოკა ღვინო, ჰქონდა 2 სკა ფუტკარი და 10 რქოსანი პირუტყვი — ითვლებოდა შეძლებულ ყმად [186].

როგორც ამონაწერებიდან ჩანს, გლეხური კომლის ეკონომიკური მდგომარეობის გასარკვევად გათვალისწინებული იყო გლეხის ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონება, განსაკუთრებით კი მიწის ფართობისა, მათგან მიღებული შემოსავლისა და მუშა-პირუტყვის რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრებით.

საინტერესოა 1854 წლის სიღნაღის მაზრის აღწერა [187], სადაც საეკლესიო გლეხთა ეკონომიკური კლასიფიკაცია იმთავითვე არის წარმოდგენილი. აქ მათი დაჯგუფება ხდება მდიდარ, შეძლებულ, საშუალო და ღარიბ გლეხებად შემდეგი რაოდენობით:

სოფელი	მდიდარი	შეძლებული	საშუალო	ღარიბი
კაკაბეთი	11	5	153	23
მუღანლო	6	—	49	2
კანდაური	5	—	74	8
ჩუმლაყი	2	—	65	5
ჯიმითი	9	2	191	18

აღნიშნულ აღწერაში ერთად არის მოცემული სოფ. კაკაბეთისა და მუღალნოს მიწები — საერთო ფართობი 6000 დესეტინა მიწა და 1000 დესეტინა ტყე. ამას გარდა, სოფელ კაკაბეთში საეკლესიო კომლთა მფლობელობაში აღწერილია 18 ცხენი, 418 კამეჩი, 517

ხარი, 35 ვირი, 1025 ცხვარი და თხა, 1340 ღორი. სოფელ მულანლოში — 41 ცხენი, 25 კამეჩი, 104 ხარი, 10 ვირი, 1650 თხა და ცხვარი [188].

ერთი შეხედვით კი, თვით 40-50-იანი წლების სტატისტიკით საშუალო გლეხები ბევრად აღემატებოდნენ მდიდარ და ღარიბ გლეხთა ჯამს, თუმცა ვერ დავეყრდნობით მხოლოდ სტატისტიკას, რადგან საშუალო ფენიდან პოლარული ჯგუფების გამოყოფის საყოველთაო პროცესი, ერთი მხრივ, ნასყიდი მიწების თავმოყრა მდიდართა ხელში და მეორეს მხრივ, უმიწაწყლოთა მომრავლება, რომლებიც დღიური სამუშაოებით ირჩენდნენ თავს, საკითხის უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს.

ჩვეულებრივ, მკვლევრები გლეხთა ეკონომიკური ჯგუფების დადგენისას ითვალისწინებენ თითქმის ყველაფერს — მიწის ფართობს, მის ავკარგიანობას, ვენახს, მოსავალს, პირუტყვს — კომლის სულადობრივი მაჩვენებლების გარდა, ძირითადად კი, გლეხთა ეკონომიკურ ჯგუფებად დაყოფას საფუძვლად უდებენ სახნავი მიწის ფართობს დღიურებში. ამოსავალ მომენტად მათ მიაჩნიათ სახნავი მიწის ის ფართობი, რომელიც აუცილებელია საშუალო სულიანი კომლის გამოსაკვებად და მარცვლეულით გასასტუმრებლად რენტისათვის. აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტების ჯამის მიხედვით კი სახნავი მიწის ფართობის განსაზღვრა მკვლევრისათვის არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენს, რადგან დაახლოებით მაინც ცნობილია რამდენ მოსავალს იძლეოდა დღიური მიწა.

ამ მეთოდით, საშუალო სულადობის კომლისათვის საჭირო სახნავ-სათეს მიწად მიჩნეულია 6-10 დღიური მიწა, რადგანაც ზოგმა მკვლევარმა „ნორმალური საკომლო" თავდაპირველად საშუალო გლეხზე გათვალა, მცირე სულიანებს რამდენიმე დღიური მოაკლო, მრავალ სულიანებს კი — დაუმატა. ამრიგად, საშუალო გლეხის ნორმალური საკომლოს ოდენობა 3-დან 15 დღიურამდე განისაზღვრა და მოიცვა საშუალო გლეხის კომლის სხვადასხვა სულიანი ოჯახები. ათვლის ამ მეთოდით ღარიბ და მდიდარ გლეხებსაც გამოყოფენ.

მიწის ფართობსა და მოსავალთან ერთად მუშა-პირუტყვსაც გავითვალისწინებით კი, 1818 წელს გორის მაზრაში მიწის ფართობის მიხედვით, ღარიბი გლეხი ყოფილა 183 კომლი, ანუ კომლთა საერთო

რაოდენობის 24, 7%; საშუალო – 439 კომლი (59,3%), მდიდარი 119 კომლი (16%); პურის მოსავლის მიხედვით, ღარიბი საეკლესიო გლეხი ყოფილა 284 კომლი, კომლთა საერთო რაოდენობის – 39%; საშუალო 390 (52%), ხოლო მდიდარი 69 (9%). რქოსანი საქონლის გათვალისწინების შემთხვევაში, საეკლესიო გლეხებს სულ ჰყოლიათ 4319 სული მსხვილფეხა საქონელი. 125 კომლს საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი, 10 და მეტი სული ჰყავდა 161 კომლს. სულ საეკლესიო კომლთა 22,5%-ს ჰყავდა საქონლის საერთო რაოდენობის 47,4% [189].

გორის მაზრის 1818 წლის აღწერიდან [190] ჩვენ მიერ ემპირიული სახით ამოკრეფილი მასალა ასეთი სურათი გვაძლევს:

უსახლკარო	86 საეკლ. კომლი
უმიწაწყლო	101 „
უბალვენახო	276 „
20 დღ.სახნავი და მეტი	88 „
100 კოდი მარცვლ. და მეტი	199 “
50 კოკა ღვინო და მეტი	20 “
10 სული რქოსანი პირუტყვის ზემოთ	152 “
ს უ ლ	742 “

ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს XIX საუკუნის I მესამედში საეკლესიო გლეხთა შორის მკვეთრად განსხვავებულ მატერიალურ მდგომარეობას.

ანალოგიური იყო იმერეთის 1819 წლის აღწერის მონაცემები. [191].

უმიწაწყლო	119
სახნავი მიწა არა აქვს	136
ბაღი არა აქვს	138
6-დან 10 დღ. და მეტი სახნ.მიწა	73
50 კოკა ღვინო და მეტი	178
100 კოკა ღვინო და მეტი	104
ს უ ლ	866

აქ წარმოდგენილ მასალაზე დაყრდნობით ჩვენ დავიანგარიშეთ თუ გლეხთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით რა პროცენტულ მაჩვენებელს შეადგენდა უმიწაწყლო და მდიდარ-შეძლებული გლეხები. შედეგად აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში შეძლებულთა და უმიწაწყლოთა რაოდენობა 13,5%-ია, დასავლეთ საქართველოში კი — 12,6%. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ 20-იანი წლების საქართველოში, თუმცა ჩასახულია პორალური ფენების ზრდის ტენდენცია, მაგრამ შეძლებულთა და უმიწაწყლოთა ჯამი ჯერ-ჯერობით მაინც ვერ სჭარბობს საშუალო შეძლების გლეხთა რაოდენობას.

ცხადია, მხოლოდ სახნავი მიწების მონაცემების ცოდნა საქმეს ვერ შველის, 3-დან 15 დღიურამდე მიწის მქონე გლეხი შეიძლება ნებისმიერ ეკონომიკურ ჯგუფში განაწილდეს. ასე, მაგალითად, 15 დღიური მიწის მქონე გლეხი საშუალო გლეხად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ მრავალსულიანია, ხოლო მდიდრად — თუ მცირე და საშუალო სულიანია [192].

მკვლევართა აზრით, საშუალო შეძლების გლეხი ის გლეხია, რომელსაც მის სარგებლობაში არსებული მიწა გაჭირვებით ყოფნის გამოსაკვებად და რენტის გასასტუმრებლად. ღარიბი არის ის, ვისაც მიწა არ ჰყოფნის საამისოდ და დამატებით დღიურ სამუშაოებს ან

სხვა სახის საქმიანობას ეწევა, ხოლო მდიდარი კი ის კომლია, რომელსაც მეურნეობაში ზედმეტი პროდუქტი რჩება და მის რეალიზაციას ბაზარზე ახდენს. აქ კი აუცილებელია ვიცოდეთ საშუალოდ კომლის საარსებო მინიმუმი — სახნავი ფართობის ოდენობა. გავრცელებული აზრით, 3 დღიური მიწა უნდა ყოფილიყო. ჩვენ მოვახდინეთ საეკლესიო გლეხთა კლასიფიკაცია დღიური სახნავი მიწისა და კომლის სულადობის გათვალისწინებით და გორის მაზრის 1818 წლის აღწერის მიხედვით ასეთი სურათი მივიღეთ: 1-2-სულიანი ოჯახებისათვის აუცილებელი საარსებო მინიმუმი უნდა ყოფილიყო 3 დღიური მიწა. 3-4-სულიანი ოჯახებისათვის — 6-8 დღიური, 5-6-სულიანებისთვის 10-12 დღიური, ხოლო 7-8-სულიანებისათვის — 14-16 დღიური. ამრიგად, სხვადასხვა შეძლების კომლის აუცილებელი მიწის ფართობი სავარაუდოდ 3-დან 16 დღიურამდე მერყეობდა.

ანალოგიურად, იმერეთში 1825 წლის აღწერით [193] საშუალო შეძლების გლეხებში (რომლებსაც ნორმალური საკომლო გააჩნიათ) აღმოჩნდა: 1-2-სულიანი — 36 კომლი, 3-4- სულიანი — 97 კომლი, 5-6-სულიანი — 49 კომლი, 7-8-სულიანი — 13 კომლი. სულ ნორმალური საკომლოს მქონე საშუალო გლეხის რაოდენობა 195 კომლია.

დამუშავებული მასალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო გლეხთა რაოდენობა ძალზე შემცირდა, ხოლო ღარიბთა და განსაკუთრებით კი მდიდართა რაოდენობა არაჩვეულებრივად გაიზარდა. მიგვაჩნია, რომ ასეთი გრადაცია ადეკვატურად ვერ ასახავს სინამდვილეს. მართლაც, მიწის ფართობის მიხედვით გლეხთა ეკონომიკურ ჯგუფებად უფრო კონკრეტული დიფერენცირება პრაქტიკულად გაუმართლებელია, რადგან გლეხის არათუ თითო-ოროლა, ზოგჯერ ათეულობით დღიური მიწის მეტ-ნაკლებობასაც კი, საგრძნობი ცვლილებები ვერ შეჰქონდა მის ეკონომიკურ მდგომარეობაში. ხშირად გლეხი სახნავი მიწის მხოლოდ ნაწილს თუ ამუშავებდა გამწევი ძალის უქონლობის გამო. ზოგჯერ კი, პირიქით, მუშა-პირუტყვის მქონე გლეხი დამატებით იჯარითაც იღებდა მიწას. ამაზე მეტყველებს თვით არქიმანდრიტის წერილი, რომელიც წერს რომ: „გორის მაზრის სოფელ ზერთის საეკლესიო ყმას გიორგი მიკიჩაშვილს თუმცა სამკვიდრო მამული ცოტა აქვს, მაგრამ შემძლებელი კაცი გახლავთ, შეუძლია

უმეტესის საეკლესიო ხარჯის მიცემა, თავის სამკვიდროს მამულის გარდა ხოდაბუნის მიწები უჭირავს 14 დღიური, რომელზედაც საეკ-ლესიო ხარჯი არარაი სძევს. . . (იგი) თავისი ძალით მიეთისებია". საეკლესიო გლეხთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის მაჩვენებელია დიდი რაოდენობით მიწის ოჯარით შემთხვევები მაგალითად, სოფელ დირბში (გორის მაზრა) გლახა სტეფანიძეს ოჯარით ჰქონდა აღებუ-ლი 100 დღიური სახნავი მიწა, მოჰყავდა 150 კოდი პური. 40-40 დღიური მიწა გააჩნია 3-3-სულიან კომლებს, მახარე სუხიაშვილს, მამუკა ხელიშვილსა და გაბრიელ ივანაშვილს იმერეთის სოფელ ცხორკაში (მცირემიწიანი იმერეთისათვის ეს დიდი ფართობია). ამას გარდა, აღნიშნულ მოვლენებზე დიდი ფართობის ნასყიდი მიწების არსებობაც მეტყველებს. მაგალითად, გორის მაზრის სოფლებში: სივნიეთში ელიზბარ ბერუაშვილს გააჩნდა ნასყიდი მიწა 40 დღიური, ამუშავებდა 15 დღიურს, მოჰყავდა 200 კოდი პური; სოფ. რუისში, დავით მღებრიშვილი 40 დღიური ნასყიდი მიწიდან ამუშავებდა 20 დღიურს, მოჰყავდა 250 კოდი; სოფ. თედორეთში პეტრე მაისურაძეს ჰქონდა ნასყიდი მიწა 100 დღიური, ამუშავებდა 25 დღიურს, მოჰყავ-და 300 კოდი პური და სხვა [194].

ამავე დროს შეძლებული გლეხების პარალელურად ყურადღებას იპყრობს გლეხთა ისეთი ჯგუფის მომრავლება, რომლის ძირითად საარსებო წყაროს სამუშაო ძალის გაყიდვა წარმოადგენდა. მათი რიგები ძირითადად გარესაშოვარზე გასული გლეხებით ივსებოდა, სწორედ ისინი შეადგენდნენ შემდგომში არათავისუფალი დაქირავებუ-ლი მუშახელის საკმაოდ გავრცელებულ სახეს. გარესამუშაოები XIX საუკუნის I ნახევრში საქართველოს ყველა კუთხისათვის იყო დამახ-ასიათებელი. გლეხისათვის გარესამუშაო დამატებით შემოსავლის მიღების წყარო იყო. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ვაჭრობისა და ხე-ლოსნობის გაცხოველების კვალად გარესამუშაოზე გამსვლელ გლეხთა რაოდენობაც გაიზარდა. ასეთი გლეხები მიმართავენ დღიურ სამ-უშაოს, სამუშაოს იღებდნენ გარკვეული დროით (ბატრაკები), ან დგებოდნენ მოჯამაგირეებად. ესეც დაქირავებული მუშახელის სახეა. მაგალითად, 1818 წლის გორის მაზრის კამერალური აღწერის მიხედ-ვით, აღნიშნულ მაზრაში 400 კომლი საეკლესიო გლეხთა რიცხვი, რომლებიც მიწათმოქმედებასთან ერთად დამატებითი შემოსავლის მიღების

მიზნით სხვა სახის სამუშაოებსაც ეწეოდნენ — „თავს ირჩენს მიწათ-მოქმედებით და სხვა სამუშაოთი". მაშინ, როდესაც სულ გორის მაზრაში იმ დროს 695 შრომისუნარიანი მამაკაცი იყო, ეს დაახლოებით მიწათმოქმედ გლეხთა საერთო რაოდენობის 60%-ია. გორის მაზრის სოფელ ჩალაში შიო კაცურაშვილის ოჯახი, რომელიც 5 სულისაგან შედგებოდა, ჰქონდა სახლი, 1 დღიური საეკლესიო მიწა, მოჰყავდა 10 კოდი პური, ჰქონდა 1/2 დღიური ბაღი, აყენებდა 4 კოკა ღვინოს, ჰყავდა 3 მსხვილფეხა პირუტყვი, მაგრამ გრაფაში, თუ რით ირჩენდა თავს სწერია: „საზრდოობს მუშაობით" [195]. დღიური სამუშაოებით შეიძლება ყოფილიყო დაკავებული დუქნის პატრონიც, ხელოსანიც და სხვ. მაგალითად, ქ. თელავში 100 არშინი მიწისა და დუქნის პატრონი საეკლესიო გლეხი პეტრუზა ავეტიკაშვილი ეწევა დღიურ სამუშაოებს [196]. მაგრამ გარესამუშაოებზე გასვლის უმთავრესი მიზეზი მაინც მიწის მწვავე ნაკლებობა იყო. გარესამუშაოებზე გამსვლელ გლეხთა უმრავლესობასაც სწორედ ასეთები წარმოადგენდნენ. მათ შორის გარკვეული ადგილი უჭირავთ ხიზნებს. ასე, მაგალითად, გორის მაზრის სოფელ ხელთუბანში ელიზბარ ვოლიშვილი (4 სული) სხვის სახლში ცხოვრობდა, ჰყავდა 2 მსხვულფეხა საქონელი — საზრდოობს დღიური სამუშაოებით, ასევე ამავე მაზრის სოფელ კვეშის საეკლესიო გლეხი გიორგი ბიბილაშვილის 3-სულიანი ოჯახი, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი უძრავ-მოძრავი ქონება და დღიური სამუშაოებით ირჩენს თავს და სხვ. [197].

ამრიგად, ერთი მხრივ, გაღატაკებულთა და, მეორე მხრივ, მდიდართა ფენის გამოყოფამ, გამოიწვია საეკლესიო გლეხთა შორის ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავება. თუ ადრე მას მიწის ნაკლებობა იწვევდა, XIX საუკუნის 30-40-იან წლებიდან თანდათან უფრო გამოიკვეთა სოციალური მომენტი — გლეხთა კლასობრივი დაშლა.

დასკვნა

საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში მიწათმფლობელობის ტრადიციულ ფორმას წარმოადგენდა. საეკლესიო მიწები ორ ნაწილად იყოფოდა: დასახლებულ და დაუსახლებელ საეკლესიო მამულებად. დასახლებულ მიწებს საეკლესიო გლეხები ამუშავებდნენ და ეკლესიას გადასახადს უხდიდნენ. დაუსახლებელი მიწები იჯარით გაიცემოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობს რუსეთის თვითმპყრობელობის გეგმაზომიერი ჩარევა ქვეყნის საშინაო და საეკლესიო საქმეებში. ამ მიზნით გაუქმებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (1811 წ.) და დაიწყო საეკლესიო რეფორმის გატარება. საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა: ა) საეკლესიო სტრუქტურის რეორგანიზაციას; ბ) საეკლესიო გადასახადების კომუტაციას; გ) საეკლესიო მამულების სეკულარიზაციას. უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებული ჩინოვნიკური ორგანიზაციები საქართველოში — ჯერ დიკასტერია (1811), შემდეგ კი სინოდალური კანტორა (1815) პერიოდულად აღწერდნენ და აკონტროლებდნენ საეკლესიო შემოსავლების საქმეს. საეკლესიო შემოსავლების რაოდენობა მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული საეკლესიო გლეხების რაოდენობასა და საეკლესიო მამულებზე. საეკლესიო მამულების ხვედრითი წილი მიწების საერთო რაოდენობაში, აღნიშნულ პერიოდში, 11- დან 12% -მდე მერყეობდა, ხოლო საეკლესიო გლეხთა ხვედრითი წილი გლეხთა საერთო მასაში 10-11% შეადგენდა. თვითმპყრობელობის ამოცანა სწორედ ამ მდიდარი მამულების ხელში ჩაგდება იყო, რასაც წარმატებით ახორციელებდა კიდეც მთელი XIX საუკუნის I ნახევრის განმავლობაში. საბოლოოდ კი იგი საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონების სრული სეკულარიზაციით დასრულდა.

საეკლესიო მიწებზე ეკლესიის საბატონო უფლებები ფეოდალური რენტის სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. ფეოდალური რენტის სიდიდე დამოკიდებული იყო მიწის ვარგისიანობაზე, მოწეული მოსავლის ოდენობასა და მიწათსარგებლობის ფორმებზე. XIX საუკუნის დასაწყისში მიწათსარგებლობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას — საკომლო წარმოადგენდა. 1818 წელს საეკლესიო გადასახადების კო-

მუტაციისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების კვალად, გაძლიერდა გლეხთა სწრაფვა მიწების შესყიდვის, ან დიდი ფართობის მიწის იჯარით აღებისადმი. ამ მიწებს საეკლესიო გლეხები ზოგჯერ მეორადი იჯარის წესით გაცემისა და დაქირავებული მუშახელის გამოყენებით ითვისებდნენ. მიწების მობილიზაცია გლეხს მეურნეობის თავისუფლად გაძღოლის საშუალებას აძლევდა და ასეთი მეურნეობები თანდათან სულ უფრო მეტად ავლენდნენ მსგავსებას წვრილბურჟუაზიულ ფერმერულ მეურნეობასთან.

საეკლესიო გლეხის ეკონომიკური ვალდებულება ეკლესიისადმი გადასახადების სახით გამოიხატებოდა. გადასახადების გადახდის სამგვარი ფორმა არსებობდა: პროდუქტადი, ფულადი და შრომითი. XIX საუკუნის დასაწყისში დომინირებული მდგომარეობა პროდუქტად გადასახადებს ეკავათ, მაგრამ 1818 კომუტაციის განხორციელების შემდეგ, ფულადმა რენტამ ზრდა განიცა და 40-იანი წლებიდან საეკლესიო გლეხის მეურნეობაში წამყვანი ადგილი დაიკავა. რაც შეეხება შრომა-მიგებით რენტას, ანუ შრომით ბეგარას, მას საეკლესიო გლეხთა შორის საბატონო გლეხებთან შედარებით კიდევ უფრო მცირე ადგილი ეჭირათ.

ფულადი რენტის შემოღებამ მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყნის სასაქონლო წარმოების განვითარებას. იგი გლეხობას უბიძგებდა, რაც შეიძლება მეტი ნაწარმი გაეტანა ბაზარზე, რაც, თავის მხრივ, შინავაჭრობის განვითარებას უწყობდა ხელს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და საბაზრო კავშირურთიერთობის განვითარებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეცვალა ცალკეული სოციალური ჯგუფების ბედი. მოქალაქეთა შეფარდებითი წვლილი ვაჭართა საერთო რიცხვში განუხრელად კლებულობდა, გლეხთა ფენიდან გამოსული ყმა-ვაჭრები კი, სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ სავაჭრო ოპერაციებში. მათი გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთაც ვაჭრობდა.

სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება აძლიერებდა მევახშურ ექსპლუატაციასაც, ამის შედეგად იზრდებოდა არათავისუფალი, დაქირავებული მუშახელის რაოდენობა. გაღატაკებული, უმიწაწყლო გლეხები მიმართავდნენ დღიურ სამუშაოს, სამუშაოს იღებდნენ გარკვეული დროით (ბატრაკები), ან დგებოდნენ მოჯამაგირეებად.

ამრიგად, XIX საუკუნის I ნახევარში საეკლესიო მიწათმფლობელობა საქართველოში განიცდიდა, ერთი მხრივ, თვითმპყრობელობის ზეწოლას და, მეორე მხრივ, ახალი ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში ჩაბმის აუცილებლობას, რამაც ყველაზე ადრე თავი საეკლესიო გლეხის მეურნეობაში იჩინა. ნასყიდი მიწების მომრავლება, სავაჭრო კაპიტალის განვითარება, მარტივი კოოპერაციისა თუ მანუფაქტურის ტიპის საწარმოების აღმოცენება ამ პერიოდში კაპიტალისტური წყობის მაჩვენებელია. XIX საუკუნის II ნახევარში საეკლესიო გლეხები და მამულები საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ისინი გადაყვანილ იქნენ სახაზინო უწყებაში.

ლიტერატურა და წყაროები

1. Акты собранные Кавказской археографичесой коммиссиею. (აქტები) Т. I сс.529-531.

2. იქვე, ტ. 4 გვ. 152.

3. იქვე, გვ. 140.

4. М. Келенджеридзе. Правдв об автокефалии Грузинской церкви. кутаис. 1905. с. 300.

5. აქტები, ტ. IV, გვ. 140.

6. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955. с. 21.

7. აქტები, ტ. IV, გვ. 140.

8. სცსსა, ფონდი 488, აღწერა 1, საქმე, 127, ფურცელი 7.

9. იხ. მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, თბ., მეცნიერება, 1967, გვ. 23.

10. Н. Дурново. Судьбы Грузинской церкви. Москва, 1907, с. 16.

11. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 1801-1890 წლები, თბ., 1974, გვ.89, 90.

12. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 2195, ფურც. 888.

13. იქვე.

14. იქვე, ფურც. 878.

15. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 2931, ფურც. 7, 1830.

16. იქვე, ფურც. 9.

17. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955. с. 21.

18. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 2195, ფურც. 845.

19. იქვე, ფურც. 846.

20. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. .2702, ფურც. 107.

21. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 160, ფურც. 2.

22 იქვე, საქ. 160, ფურც. 3,4.

23. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 323, ფურც. 10.

24 სცსსა, ფ. 2, აღწ. .1, საქ. 2702, ფურც. 107.

25. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 604.

26. Н. Махарадзе. Восстание в Имеретии 1819 1820 гг.с.35
27. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1, საქ. 15471. ფურც. 584.
28. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. .586, 604.
29. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1, საქ. 15471, ფურც 184.
30. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ.15471, ფურც. 288.
31. http:/www.dvaveka.pp.ru,
32. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1. საქ 2939, ფურც. 3.
33. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955. с. 47.
34. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 63.
35. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 14892, ფურც. 360.
36 სცსსა, ფ. 489. აღწ.1. საქ. 2195, ფურც. 878.
37. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1. საქ. 14892. ფურც. 91.
38. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955. с. 25.
39. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1. საქ .14892. ფურც. 91.
40. სცსსა, ფ. 489, აღწ.1, საქ. 15470 ფურც. 124,131-134,145-146. ასევე– 489, აღწ. 1 საქ. 14892, ფურც. 151.
41. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1. საქ. 15470. ფურც. 31.32.
42 სცსსა, 489. აღწ. 1, საქ. 15470, ფურც.120.121.
43. სცსსა, 489, აღწ. 1 საქ. 14892, ფურც.
44. აქტები ტ. 1 ფურც. 109-110.
45. დაუსახლებელი მიწების ფართობის შესახებ მონაცემები სასულიერო პირთაგან შეგნებულად იფარებოდა. (იხ. М. Келенджеридзе. Правдв об автокефалии Грузинской церкви. кутаис. 1905. с. 305.)
46. აქტები, ტ. 4, გვ. 845.
47 სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ 2931, ფურც.15.
48 სცსსა, ფ. 489. აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 579.
49. იქვე, ფურც. 352.
50. იქვე, ფურც. 63.

* აქედან მხოლოდ 6 იყო საეკლესიო სოფელი, დანარჩენში საეკლესიო გლეხები სახაზინო და საბატონო გლეხებთან ერთად ცხოვრობდნენ.

51. სცსსა, ფ.489. აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 604, 605.

52. სცსსა, ფ.489. აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 3.

53. სცსსა, ფ.489 აღწ. 1, საქ. 15471. ფურც. 280, 375, 183, 184 (სამეგრელოსთან დაკავშირებით, იხ. მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, თბ., გამ. მეცნიერება, 1967, გვ. 24)

54. სცსსა, Ф. 489. оп. 1. საქ. 15471, ფურც. 375.

* ჩვენ მიერ დაანგარიშებულია 11 147 კომლი. ეპ. კირიონის აზრით, სახაზინო უწყებაში გადაყვანილ საეკლესიო გლეხთა რაოდენობა 15 147 კომლია. (იხ. Ер. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархпта за столетие, Тифлис, 1901).

55. იხ. М. Келенджеридзе. Правдв об автокефалии Грузинской церкви. кутаис. 1905. с. 305.

56. სცსსა, ფ. 489, 1, საქ. 2931, ფურც.. 8.

57. სცსსა, ფ. 489, 1, საქ. 2931, ფურც.. 9.

58. Ер. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархпта за столетие, Тифлис, 1901, გვ. 38.

59. Ер. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархпта за столетие, Тифлис, 1901, გვ. 38, 39.

60. ფ.489,ა1, საქ.1179,ფურც.19].

61. სცსსა, ფ. 480, აღწ. 1, საქ. 2931, ფურც. 8.

62. სცსსა, ფ. 489. აღწ. 1., საქ. 2931. ფურც. 48-53.1830.

63. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 2195, ფურც. 1140.

64. გ. როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1999, ავტორეფერატი, გვ. 9.

65. სცსსა , ფ. 1548, აღწ. 1, საქ. 173, ფურც. 6.

66. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 92

67. გ.ძიძიგური, საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1988, გვ. 86.

68. სცსსა, ფ.488, აღწ. 1 საქ. 387 ფურც. 1..

69. სცსსა, ფ.489, აღწ. 1,საქ. 515 ფურც. 11.

70. სცსსა, ფ.489, აღწ. 1, საქ. 494, ფურც. 1.

71. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1 საქ. 274, ფურც. 1.

72 სცსსა, ფ.488, აღწ. 1 საქ. 275, ფურც. 53.
73. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1 საქ. 1120, ფურც. 5.
74. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1 საქ. 515, ფურც. 10.
75. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1,საქ. 515, ფურც. 21.
76. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1 საქ. 275, ფურც. 53.
77. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1 საქ. 276, ფურც. 6,7.
78. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1 საქ. 131, ფურც. 57.
79 სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 422, ფურც. 16.
80. სცსსა, ფ. 488, აღწ. აღწ. 1, საქ. 578, ფურც. 3.
81. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. .578,ფურც. 1.
82. ლ.გვახარია, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1960, გვ.57.
83. ლ.გვახარია, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1960, გვ.83.
84. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1173, ფურც. 58.
85. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 117.
86. სცსსა, ფ. 254, 1, საქ. 805, ფურც. 3, 8, 15, 16, 4.
87. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 582-587.
88. სცსსა, ფ. 489, აღწ.1, საქ. 2195, ფურც. 1140.
89. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ.104.
90. სცსსა,ფ. 489, აღწ. 1, საქ. 15471, ფურც 3.
91. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955. გვ. 313.
92. გ. ძიძიური, საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1988, გვ. 61
93. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 70, 18 და მრ. 1804 წ.
94. იქვე.
95. იქვე, ფურც. 29
96. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 75, 11 და მრ.
97. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 2813 , ფურც. 8.
98. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 6907, ფურც. 8.
99. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 271, ფურც. 19 და მრ.

100. სცსსა, ფ. 254, აღწ.1, საქ. 544.
101. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 805.
102. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ.. საქ. 1871, ფურც. 153, 48.
103. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 15471. ფურც.248.
104. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 384, ფურც. 6.
105. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 123
106. ე. ხოშტარია, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 36.
107. გ. ძიძIგური, საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1988 გვ. 86.
108 ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 129.
109. იქვე.
110. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544, ფურც. 1.
111. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544.
112. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 131, ფურც. 46, 47.
113. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 236, ფურც. 19
114. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 15471, ფურც. 254-258.
115. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 135, 325, 326.
116. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 271, ფურც. 14.
117. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 406, ფურც. 33.
118. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544 . 1818.
119. იქვე, საქ. 1173, ფურც. 70.
120. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 6907, ფურც. 11, 15.
121. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 803, ფურც. 8.
122. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1173, ფურც. 58.
123. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 271, ფურც. 12.
124. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1173, ფურც. 58
125. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 954, ფურც. .24.
126. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1109 ფურც. 32.
127. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 832, ფურც. 2, 7.

128. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1169, ფურც. 4.
129. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 6907, ფურც. 12.
130. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 5371, ფურც. 2.
131. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 5371, ფურც. 2.
132. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1200, ფურც. 42.
133. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1200, ფურც. 65.
134. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 6907, ფურც. 12.
135. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 954, ფურც. 25, 36.
136. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 954, ფურც. 47.
137. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 11053, ფურც. 5.
138. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, სს. 11053, 1898, 4947.
139. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1173, ფურც. 58.
140. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 233, ფურც. 18.
141. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 271, ფურც. 34.
142. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 6907, ფურც 8
143. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544,3 (1818).
144. სცსსა, ფ. 489, აღწ. 1, საქ. 15488.
145. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 2392 (1829).
146. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544. (1818).
147. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1210, ფურც. 52.
148. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 7397, ფურც. 33.
149. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 920, ფურც. 68.
150. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1057, ფურც 11.
151. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1057, ფურც. 11
152. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 109, ფურც. 16.
153. სცსსა, 489, აღწ. 1, 6045, 14.
154საშსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის I მესამედში, თბ., 1980, 13
155. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 127, ფურც. 1 და მრ.
156. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 127, ფურც. 4.
157. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 801.
158. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544.
159. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 804, ფურც. 14-23.
160. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 684, ფურც. 17.

161. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 684, ფურც. 6, 3, 15.

162. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 684, ფურც. 6, 21.

163. ე.ხოშტარია, 60.

164. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1 საქ. 540, 1818.

165. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 687, 1821.

* შელავათიანი ტარიფი გულისხმობდა უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე 5%-იან დაბეგვრას (იხ. მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის I მესამედში, თბ., 1980, გვ.121)

166. მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის I მესამედში, თბ., 1980, გვ.16.

167. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1667, ფურც. 16.

168. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, სს. 273, 332, 540, 647, 865, 942, 958, 1373, 1667, 1832, 1990, 2110, 2526.

169. იხ. მ.სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის I მესამედში, თბ., 1980, გვ. 28.

170. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955.с. 175

171. Н. Николадзе. Избранные сочинения, т. I , с.18

172. მ.სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის I მესამედში, თბ., 1980, გვ. 69, 82

173. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 56, საქ. 1373, ფურც. 39, საქ. 942 ფურც. 11 , საქ. 332, ფურც. 15, საქ. 273, საქ. ურც. 43.

174. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1074, ფურც .5

175. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ. 126

176. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 865, ფურც. 33.

177. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 942, ფურც. 54.

178. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1396 ფურც. 10 და მრ.

179. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1006, ფურც. 12.

180. И. Антелава. Государитвенные крестьяне Грузии в первой половине XIX векаю Сухуми. 1955. с. 85.

181. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1,საქ. 4747, ფურც. 3, 18, 19, 20.

* აღწერებში ცალკეა მითითებული სომეხი ეროვნების ვაჭარ-ხელოსნთა გვარები.

182. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1 საქ. .2389, ფურც 3-10.

183. ი. ანთელავა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977, გვ. 11.

184. ე. ხოშტარია, საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1971, გვ. 36.

185. გ. ძიძIგური, საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1988, გვ. 65.

186 სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544.

187. სცსსა, ფ. 239, აღწ. 1, საქ. 480 , ფურც. 1-6.

188. იქვე.

189. ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979, გვ.70.

* აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით სახნავი მიწის სიმცირით ხასიათდება.

190. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544.

191. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 805.

192. გ. ძიძიგური, საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1988, გვ. 65.

193. სცსსა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 1871, 1825.

194. სცსსა, ფ. 488, აღწ. 1, საქ. 1725, ფურც 12, 254, 1, სს 544, 805, 544.

195. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544.

196. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 687, ფ.15

197. სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქ. 544.

Тадумадзе Маия

Церковное землевладение в Грузии
(первая половина XIX века)

Резюме

Церковное землевладение в Грузии, наряду с государственным и помещичим, испокон веков являлось традиционным сектором экономики сельского хозяйства. Оно делилась на две части -- населённые и ненаселённые церковные земли. На населённых землях жили и ими ползовались церковные крестяне, а ненаселённые земели сдавали в аренду. На все эти земли Церковь считалась хозяйном.

С первых же дней присоединения Грузии к России правительство стало принимать меры для овладения церковных имении и имуществ, тем самым царизм всяческий старался привлекать грузинскую церковь на службу своей колониальной политики.

В этом аспекте особенно актуально изучение церковного землевладения.

На фоне церковной реформы, проведённой российской империей, с 1852 – 1869 по 1880 гг. огромные церковные имения и большое количество церковных крестянь окончательно перешли в казну. В замен духовенство получило мизерное жалование.

В данной работе особенно скурпулёзно рассматриваются старые и новые формы землевладения и землепользования. Изучается процесс коммутации и секуляризации.

В исследовании наглядно показывается, что интенсивное земледелие, подворно-участковая форма, а также зарождение новых специфических форм землевладения, являлись теми

основными предпосылками, которые способствовали развитию капиталистического уклада в Грузии в первой половине XIX века.

Опираясь на новый фактический материал, выявляется, что уже с 20-х годов XIX века в хозяйстве церковных крестьян денежная рента занимает доминирующее положение, а с 40-их годов почти все отросли принимают товарный характер.

В труде выдвинут так же, ряд новых положений относительно новых форм землевладения и землепользования, как например, распространение «куплённой» и «арендной» земли, которое в указанный период значительно способствовало становлению нового типа мелкоферменного хозяйства. Здесь же рассматриваются формы феодальной ренты, наглядно прослеживается процесс классовой дифференциации среди церковных крестьян, показывается их равноправное участие в товарно-денежных отношениях наряду с горожанами, ремесленниками и купцами.

И наконец, разработанный материал даёт автору возможность сводить итоги к следующему :

– Весь секуляризационный процесс в Грузии прошел в три етапа, с 1811 – 1841 гг. перемещение церковных азнауров в казну, с 1843 – 1852 гг. передача в казну всех недвижимых церковных имуществ Тифлисской губернии, и завершающий этап – с 1852 – 1869 по 1880 гг. окончательная передача в казну всех движимых и недвижимых имуществ.

– Общая масса церковных имений при передаче в казённое управление состаяла 608 060 десятин, а общее количество церковных крестян, переведённых в казённое ведомство составляло 11 1 47 дым.

Всего, в дореформенный период доля церковных земель в общей массе составляла 11-12 %, а после реформы – со

дня 13 – го ноября 1869 года, церковное землевладение в Грузии окончательно перестало существовать.

Итоги исследования могут быть использованны при разработке основных проблем аграрной истории Грузии первой половины XIX века, а также при освещении малоизученного церковного вопроса в грузинской историографии.

შინაარსი

საეკლესიო მიწათმფლობელობა და რეფორმა 3
საეკლესიო გლეხები და გადასახადები 19
საეკლესიო მიწათსარგებლობის ფორმები 27
სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის როლი
    საეკლესიო მეურნეობაში 54
მცირემიწიანობის პრობლემა და სოციალური
    დიფერენციაცია 76
დასკვნა. 85
ლიტერატურა და წყაროები 88
რეზიუმე (რუსულ ენაზე) 96

რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექრედაქტორი ლ. ნინიკაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 03. 04. 2006
საბეჭდი ქაღალდი 60x84,1/16
ნაბეჭდი თაბახი 6,25
შეკვეთა №17 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 112.